საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№45 (516)
11 - 17 დეკემბერი, 2019

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

10 **მდუღარე დრო**
**დაოკდით, ქართველებო!**



# «თქვენი ხსოვნა მუდამ იქნება ჩვენს გულებში!» — დაჰპირდნენ ზალკალიანს ნატოში 2



3 **«საბოლოოდ მოგვიხურეს კარი და ბუქარესტის სამიტიდან 11 წლის შემდეგ პანღური ამოგვკრეს»**

4 **«მაკრონის განცხადება ალიანსის დემონტაჟის ერთგვარ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ გამოვლინებად უნდა განვიხილოთ»**

## დაუკარით, უპატარძლო ქორწილია! 6




## სად არის ჩვენი ოქროს მარაგი, თუკი საერთოდ გაგვაჩნია? 11



5 გულბაათ რცხილაძე:
## «რა წაიღეს და რა ჩამოიტანეს ან ამერიკიდან, ან რუსეთიდან?»






**«ევროპული ფასეულობებით» გამოწვეული ზნეობრივი დეგრადაცია** 8-9

7


**სამედიცინო მომსახურებას გვიძვირებენ!**

14


**«უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის» მანევრები და აშშ-ის კურატორები ელადის ეკლესიაში**

ნატო და საქართველო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორ აიხსნება ის უცნაური პარადოქსი, რომ მაღალგანვითარებული ეკონომიკისა და კულტურის მქონე, აყვავებული ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები დღეს, კატასტროფულ თუ არა, სავალალო მდგომარეობაში იმყოფებიან, როცა მოსახლეობის მიგრაცია ქვეყნიდან საყოველთაო გაქცევად იქცა, ხოლო ოდესღაც მძლავრი ეკონომიკა დანგრეულია. ნუთუ ეს არის ნატოსკენ მიმავალი გზა — ავღანეთში ახალგაზრდა ქართველების სიცოცხლის ფასად და რუსეთთან გამანადგურებელი და დამანგრეველი კონფრონტაციის ფასად?**

# «თქვენი ხსოვნა მუდამ იქნება ჩვენს გულებში!» — დაჰპირდნენ ზალკალიანს ნატოში

**ვისთვის არ არის ცნობილი, რომ უდაბნოს უკიდეგანო სივრცეებში ჩაკარგული საშინელი წყურვილისგან მომაკვდავი მგზავრები უეცრად შორს ხედავენ აყვავებულ ოაზისს კრისტალურად სუფთა, მორაკრაკე ნაკადულებით და უკანასკნელ ძალებს იკრებენ, რათა ძალიან მალე თავიანთ ცხოვრებაში ყველაზე საშინელი იმედგაცრუება იწვნიონ? ეს მკვეთრი და სამწუხარო ისტორია ჩნდება უნებურად გონებაში, როდესაც საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შორის ურთიერთობას აანალიზებ.**

ლონდონში დასრულდა ნატოს მორიგი, ამჯერად საიუბილეო სამიტი, რომელზეც ბევრი საინტერესო რამ მოხდა, საქართველოს თემა კი ამ სამიტს რიკოშეტით დაუსხლტა, გინდ ყოფილა, გინდ არა. საქართველო, უკვე მერამდენე ათწლეულია, პოლიტიკის უწყლო უდაბნოს გავლით ნელა მიაბიჯებს თავისი მთავარი მიზნისკენ, მაგრამ ნატო მას რატომღაც მხოლოდ მირაჟის სახით ევლინება. და აი, **საიუბილეო სამიტზე, ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ არ არსებობს ნატოს ბლოკში საქართველოს შესვლის ზუსტი ვადა. ასევე არ არსებობს ალიანსში უკრაინის შესვლის ზუსტი ვადაც. „ნატოში ჯერ კიდევ ბუქარესტის სამიტზე გადაწყდა, რომ უკრაინა და საქართველო ალიანსის წევრები გახდებიან. ეს გადაწყვეტილება ძალაში რჩება. ამასთანავე, ჩვენ არ ვადგენთ დროის ზუსტ ჩარჩოებს. ახლა ჩვენ ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორ დავეხმაროთ ამ ქვეყნებს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით მოძრაობაში“,** — განაცხადა მან. ქართველებს უნდა უხაროდეთ, რომ, რაც მთავარია, გადაწყვეტილება ძალაში რჩება, ხოლო როდის განხორციელდება ის რეალურ ცხოვრებაში, რამდენ თაობას მოუწევს ლოდინი — ეს არც ისე მნიშვნელოვანია. თავის მხრივ, **ნატო ფიქრობს იმაზე, როგორ დაეხმაროს მაძიებლებს, იმოძრაონ სწორი მიმართულებით. სწორი მიმართულება კი არის ქართველი და უკრაინელი სამხედროების მონაწილეობა ავღანეთში საბრძოლო მოქმედებებში, რომლებიც საერთაშორისო სამშვიდობო მისიად იწოდება. ამას თვლიან ნატოსთან დამაახლოებელ ნაბიჯად. მართალია, ზუსტად არ არის განსაზღვრული, თუ რამდენი სისხლი უნდა დაღვარონ ქართველებმა და უკრაინელებმა ამ მაღალი მისიისთვის, მაგრამ, როგორც იტყვიან, რამდენიც საჭიროა, იმდენს დაღვრიან — მთავარია, გაგრძელდეს საჭირო მიმართულებით მოძრაობა.**

„არც ისე დიდი ხნის წინათ ვიყავი საქართველოში, იქ ასევე იყვნენ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს წევრები, ჩვენ ასევე ჩავედით უკრაინაში. ასე რომ, ჩვენ ორივე ქვეყანასთან ვთანამშრომლობთ, ვეხმარებით საქართველოს და უკრაინას ნატოსთან დაახლოებაში და ამას თანამშრომლობის მეშვეობით ვაკეთებთ, რაც კარგია ორივე ქვეყნისთვის. ეს ასევე კარგია ნატოსთვის, იმდენად, რამდენადაც საქართველო და უკრაინა მონაწილეობენ ალიანსის მისიების ოპერაციებში, მაგალითად, ავღანეთში“, — განაცხადა სტოლტენბერგმა.



**ნატო ფიქრობს იმაზე, როგორ დაეხმაროს მაძიებლებს, იმოძრაონ სწორი მიმართულებით. სწორი მიმართულება კი არის ქართველი და უკრაინელი სამხედროების მონაწილეობა ავღანეთში საბრძოლო მოქმედებებში, რომლებიც საერთაშორისო სამშვიდობო მისიად იწოდება. ამას თვლიან ნატოსთან დამაახლოებელ ნაბიჯად. მართალია, ზუსტად არ არის განსაზღვრული, თუ რამდენი სისხლი უნდა დაღვარონ ქართველებმა და უკრაინელებმა ამ მაღალი მისიისთვის, მაგრამ, როგორც იტყვიან, რამდენიც საჭიროა, იმდენს დაღვრიან — მთავარია, გაგრძელდეს საჭირო მიმართულებით მოძრაობა**

დღეს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები — საქართველო და უკრაინა — ჩათრეულნი არიან რუსეთთან ირიბ სამხედრო კონფლიქტში. მათი მმართველი ელიტები თავიანთი პატრონების სადირიჟორო ჯოხის მოქნევისთანავე გულმოდგინედ ლოყებდაბერილნი საყვირის ცემით სრულიად მსოფლიოში გაჰყვირიან „რუსეთის აგრესიაზე“, „რუსეთის ოკუპაციაზე“, „საერთაშორისო სამართლის დარღვევაზე“. აშკარაა, რომ საუბარია იმ საერთაშორისო სამართალზე, რომლითაც ნატომ და კოლექტიურმა დასავლეთმა ქვა ქვაზე არ დატოვა. რუსეთი არ თვლის თავს კონფლიქტების მონაწილედ. მაშინ ვინ ჩაითრია საქართველო და უკრაინა ამ დაუსრულებელ ბრძოლაში აჩრდილთან? **ეს ორი ქვეყანა მოუშუშებელ სისხლიან ჭრილობად უნდა იქცეს რუსეთის საზღვრებზე. სწორედ ამიტომ უწევს მათ „დახმარებას“ ალიანსი და დასავლეთი.** როგორ აიხსნება ის უცნაური პარადოქსი, რომ მაღალგანვითარებული ეკონომიკისა და კულტურის მქონე, აყვავებული ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები დღეს, კატასტროფულ თუ არა, სავალალო მდგომარეობაში იმყოფებიან, როცა მოსახლეობის მიგრაცია ქვეყნიდან საყოველთაო გაქცევად იქცა, ხოლო ოდესღაც მძლავრი ეკონომიკა დანგრეულია. ნუთუ ეს არის ნატოსკენ მიმავალი გზა — ავღანეთში ახალგაზრდა ქართველების სიცოცხლის ფასად და რუსეთთან გამანადგურებელი და დამანგრეველი კონფრონტაციის ფასად? რაშია საქმე? **რატომ არ აქცევს დასავლეთი საქართველოსა და უკრაინას სამოთხის კარვებად, მიუხედავად „რუსეთის მავნე გავლენისა“? რატომ ახრჩობს ვალებში უკრაინას ვაშინგტონის მიერ კონტროლირებული საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ატრიალებს რა პროცენტების მრიცხველს? რატომ აინტერესებს ეს ორი ქვეყანა დასავლეთს მხოლოდ იმ ზარალის რაოდენობის მიხედვით, რომელიც მათ შეუძლიათ რუსეთს მიაყენონ?** ზარალი, რომელიც თავად მათ ადგებათ თავიანთი მოქმედებებით, არავის აინტერესებს. ეს ხდება იმიტომ, რომ საქართველოსა და უკრაინის ხალხი დასავლეთისთვის მხოლოდ სახარჯი მასალაა. სტოლტენბერგმა საჯაროდ აღიარა, რომ ეს კარგია ნატოსთვის. ამაში ვერ შეედავები. ბუნებრივია, ნატოსთვის ეს ძალზე კარგია, მაგრამ არის თუ არა დამღუპველი ეს საქართველოსა და უკრაინისათვის? რუსეთმა **პუტინის** სიტყვებით მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ ნატოს აზროვნების ბლოკური სტერეოტიპები არ გამოდგება კარგ ინსტრუმენტად ეფექტიანი გადაწყვეტილებების საძებნად და მისაღებად, რადგან თანამედროვე მსოფლიო ძალიან სწრაფად იცვლება. **„ჩვენ არაერთხელ გადავდგით ნაბიჯები ალიანსისკენ, შევეცადეთ, შეგვეთავაზებინა კონსტრუქციული დღის წესრიგი, რამდენიმე ერთობლივი ღონისძიება გატარდა, მაგრამ 2008 წლის შემდეგ ჩვენი თანამშრომლობა, ფაქტობრივად, შეიზღუდა, რადგან ალიანსი, ჰქონდა რა მხედველობაში ჩვენ მიერ შეთავაზებული პარტნიორული ურთიერთობა, რუსეთის მიმართ უხეშად თუ არა, არაკორექტულად მოქმედებდა, საერთოდ არ ითვალისწინებდა რუსეთის ფედერაციის ინტერესებს. ამის მიუხედავად, იმედი მაქვს, რომ საერთო უსაფრთხოების, პლანეტის სტაბილური და მშვიდობიანი მომავლის ინტერესები გაიმარჯვებს“,** — აღნიშნა პუტინმა.

საქართველოსა და ნატოს ურთიერთობების აპოთეოზი იყო სამიტზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანის გამოსვლა. „ჩვენ ვაცნობიერებთ დღევანდელ ვითარებას, თუმცა ეფექტიანად ვახორციელებთ, პრაქტიკულად, ყველა ინსტრუმენტს, რომელსაც წევრობამდე მივყავართ. საქართველო უკვე მოქმედებს, როგორც ალიანსის წევრი. დღეს ჩვენ ვაცნობიერებთ იმ ვითარებას, რომ ჯერჯერობით არ არის მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება და ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ქვეყანა მზად იყოს იმ მომენტისთვის, როცა დადგება დრო ალიანსში შესვლისა. საქართველოს წვლილი, რა თქმა უნდა, მოითხოვს შემხვედრ ნაბიჯებს ნატოს მხრიდან. მუდამ გახსოვდეთ საქართველო!“ — **შეევედრა ზალკალიანი. მის გამოსვლას ოვაციებით შეხვდნენ და ერთადერთი, რაც მას შეუძლია შინ წაიღოს, ეს არის აპლოდისმენტები. როგორ პასუხს ელოდა ზალკალიანი თავის ცრემლიან მუდარაზე — მუდამ ახსოვდეთ საქართველო? ალბათ, ასეთს: „შენი ხსოვნა მუდამ იქნება ჩვენს გულებში“.**

**ეს არის ქვეყნის ნათელი მომავალი? ჯერჯერობით საქართველოს ხელისუფლება ქვეყანას სწორედ ასეთ გზაზე მიათრევს...**

**მომზადებულია eadaily.com-ზე გამოქვეყნებული**
**ირაკლი ჩხეიძის**
**მასალის მიხედვით**

**„ამდენი წლის განმავლობაში ჯიუტად იძახო ერთი და იგივე და უმტკიცო საზოგადოებას, რომ დღეს თუ არა ხვალ მაინც მიგვიღებენ ნატოში და მერე უკვე ჩვენს უსაფრთხოებას ე.წ. ცივილიზებული მსოფლიო დაიცავსო, პირდაპირი ნიშანია არამხოლოდ უსაშველო პოლიტიკური სიბეცისა, არამედ ძალიან შორს წასული ფსიქიატრიული აშლილობისა“.**

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ვალერი კვარაცხელია:

# წარმოგიდგენიათ, ისეთმა ტრადიციულმა ხალხებმა, როგორებიც ოსები და აფხაზები არიან, «ლიბერალური დიქტატის» ქვეშ ყოფნა ისურვონ?

**5 დეკემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში ეუთოს რიგით 26-ე სესიის ფარგლებში სიტყვით გამოსვლისას განსაკუთრებული ყურადღება ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონებზე გაამახვილა და განაცხადა, რომ ბოლო პერიოდში ამ რეგიონებში შექმნილი უკიდურესად მძიმე ვითარება საერთაშორისო თანამეგობრობის სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს. მისი თქმით, ყველა იმ გამოწვევის ფონზე, რომლებიც დღეს ქვეყნის წინაშე უკონტროლო ტერიტორიების სახით არსებობს, საქართველოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, განუხრელად განაგრძოს სწრაფვა ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ.**

## «საბოლოოდ მოგვიხურეს კარი და ბუქარესტის სამიტიდან 11 წლის შემდეგ, პრაქტიკულად, პანღური ამოგვკრეს»

„საქართველს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, განუხრელად განაგრძოს სვლა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის არჩეულ გზაზე და კიდევ უფრო განამტკიცოს თავისი დემოკრატია. ჩვენ მზად ვართ, ჩვენ მიერ მიღწეული პროგრესის შედეგები და სიკეთეები საოკუპაციო ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ ადამიანებსაც გავუზიაროთ“, — განაცხადა ზალკალიანმა, თუმცა მინისტრს არ განუმარტავს, კონკრეტულად რა პროგრესს გულისხმობდა ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეულ „სიკეთეებში“ ან როგორ წარმოუდგენია ქვეყანაში დემოკრატიის გაძლიერება და მთავარი — იქნება თუ არა ეს ყველაფერი კონფლიქტური რეგიონების მოსახლეობისთვის მისაღები...

რას ნიშნავს თანამედროვე დასავლური ნეოლიბერალური გაგებით „პროგრესი და მისი სიკეთეები“, რა სთავაზობს ხელისუფლება აფხაზებსა და ოსებს, როცა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციით მიღწეულ შედეგებზე საუბრობს, და, საერთოდ, რა შედეგის მომტანია დღევანდელ ვითარებაში ეს რიტორიკა?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერი კვარაცხელია.**

**— ბატონო ვალერი, საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა ეუთოს 26-ე სესიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ საქართველო განუხრელად განაგრძობს ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ სწრაფვას და ამ გზაზე მიღწეულ პროგრესს აუცილებლად გაუზიარებს აფხაზებსა და ოსებს. მან ილაპარაკა დემოკრატიის გაძლიერებაზე და არა მხოლოდ... მოდი, კიდევ ერთხელ განვუმარტოთ საზოგადოებას, რას ნიშნავს თანამედროვე დასავლური გაგებით დემოკრატიის გაძლიერება?**

— ვფიქრობ, რომ მსგავსი რიტორიკა ჩვეულებრივ განხილვას არ ექვემდებარება. ეს მედიცინის სფერო უფროა, ფსიქიატრიული კუთხით. **ამდენი წლის განმავლობაში ჯიუტად იძახო ერთი და იგივე და უმტკიცო საზოგადოებას, რომ დღეს თუ არა ხვალ მაინც მიგვიღებენ ნატოში და მერე უკვე ჩვენს უსაფრთხოებას ე.წ. ცივილიზებული მსოფლიო დაიცავსო, პირდაპირი ნიშანია არამხოლოდ უსაშველო პოლიტიკური სიბეცისა, არამედ ძალიან შორს წასული ფსიქიატრიული აშლილობისა.** ბუქარესტის 2008 წლის სამიტის მემორანდუმში ისე, ყასიდად მაინც თუ ჩაწერეს სიტყვები, რომ საქართველო ოდესმე მაინც (განუსაზღვრელ მომავალში) გახდებოდა ნატოს წევრი, ახლა, თერთმეტი წლის შემდეგ, ლონდონში გამართულ ნატოს სამიტზე საქართველო არც ერთ დოკუმენტში არ ყოფილა ნახსენები. ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს ძალიან მარტივ და გასაგებ რამეს — ამ სამიტზე უკვე ფორმალობაც აღარ იყო დაცული, რითაც საბოლოოდ მოგვიხურეს კარი და ბუქარესტის სამიტიდან თერთმეტი წლის შემდეგ, პრაქტიკულად, პანღური ამოგვკრეს...

**— დავით ზალკალიანმა აღნიშნა, რომ საქართველო ევროატლანტიკურ სრუქტურებში ინტეგრაციისა და მათ შორის დემოკრატიზაციის პროცესის სიკეთეებს აუცილებლად გაუზიარებს აფხაზებსა და ოსებს. რა აზრის ხართ ამ განცხადებაზე?**

— დავიწყოთ იმით, რა მოუტანა საქართველოს ამ აკვიატებულმა „დასავლურმა დემოკრატიამ“ და „დემოკრატიულმა რეფორმებმა“, რომლებითაც „მეოცნებე“ ხელისუფლება აფხაზებსა და ოსებს ასე აწონებს თავს. **ოცდაათწლიანი „დემოკრატიზაციის“ შემდეგ საქართველო ტერიტორიულად დაშლილი, ეკონომიკურად დანგრეული, მოსახლეობის თვალსაზრისით განახევრებული და მორალურად დეგრადირებულია.** აფხაზები და ოსები ყოველივე ამას გამადიდებელი შუშით აკვირდებიან და დასკვნაც გაკეთებული აქვთ: **გულშიც კი არ გაივლონ განადგურებულ საქართველოსთან რამე ფორმით თანაცხოვრება, რათა თვითონაც არ აღმოჩნდნენ დასავლეთის კლანჭებში, რომელიც სპობს ყველაფერ ადამიანურს, ტრადიციულს, ამაღლებულს, სულიერს და საზოგადოებაში შეაქვს ცხოველური ინსტინქტების წამახალისებელი წესი, ნარკომანიის, გარყვნილებისა და ამორალიზმის კულტი.**

ისინი კარგად ხედავენ, რომ ამ პროცესის კვალდაკვალ ჩვენ მოვყევით დასავლეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ წნეხში, რომლის უკანაც დგანან ლიბერალური ძალები და ამ ძალების მიერ ხელდასხმული სახელისუფლო გუნდი. **ჩვენ წაგვერთვა არჩევანის უფლება. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველწლიურად ვატარებთ „თავისუფალ“ არჩევნებს, რეალურად ვაკეთებთ იმ არჩევანს, რომელსაც ისინი გვიტოვებენ. საარჩევნო ტექნოლოგიები მათ ისე დახვეწილი აქვთ, რომ, როგორც უნდა ეცადოს ხალხი არჩევნებში თავისი ინტერესების გამტარებელი ადამიანებისა და პოლიტიკური ძალის არჩევას, შედეგი ყოველთვის ქვეყნისა და ხალხის საწინააღმდეგო იქნება. იმას, რაც დღეს საქართველოში ხდება, ნამდვილ დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს.** ეს ვითომ დემოკრატები ისეთი შეუწყნარებელნი არიან განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებისადმი, რომ ლამის ქუჩაში ჩაქოლონ ყველა, ვინც დემოკრატიის იმგვარ გაგებას არ ეთანხმება, როგორსაც ისინი ნერგავენ. **ეს ე.წ. ლიბერალები სინამდვილეში დემოკრატიული ტერმინოლოგიით შენიღბული ფაშისტები არიან.** საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება კი, ისევე, როგორც წინამორბედი ხელისუფლებები, ამ საერთაშორისო ფაშისტი ლიბერალების მოყვანილნი და მათი ნების გამტარებლები არიან. ბატონი ზალკალიანი ამგვარად არჩეული ხელისუფლების წარმომადგენელია და, ცხადია, ცდილობს აფხაზებისა და ოსების ისე მოტყუებას, როგორც დანარჩენი საქართველოა მოტყუებული. აქედან გამომდინარე, შეკითხვა ასე შევატრიალოთ — **აფხაზები და ოსები მოისურვებენ ამგვარ საქართველოში ცხოვრებას?**

**— ისინი უკეთეს პირობებში ცხოვრობენ?**

— შეიძლება ეკონომიკურად მათი ცხოვრება დიდად არ განსხვავდება ჩვენი ცხოვრებისგან, მაგრამ იქ არ მიმდინარეობს საზოგადოების იდენტობის წაშლის ის მომაკვდინებელი პროცესი, რომელმაც წალეკა აქაურობა. იქ არავინ დააფრიალებს ლგბტ დროშას და მამათმავლები ე.წ. გეიაღლუმებზე თავისუფალი სექსის დაკანონებას არ ითხოვენ. **იქ თუ ფილმის გადაღების საშუალება ექნებათ, საკუთარი ტრადიციებისა და ღირებულებების შესაბამის ფილმებს გადაიღებენ და არავის მოუვა აზრად, გადაგვარებულ მამრთა ან მდედრთა ურთიერთლტოლვის გულისამრევი სცენებს ერთ სცენარში მოუყაროს თავი, რათა გადამგვარებელმა დასავლეთმა ამ სიბინძურეში „ოსკარი“ უბოძოს.** აი, ესაა ჩვენი და მათი ცხოვრების წესის განმასხვავებელი ფაქტორები. ცხადია, რომ საზოგადოება არც ჩვენთან ხვდება გარყვნილებას ტაშითა და ოვაციებით, მაგრამ ჩვენთან საზოგადოებას უწევს ამ მოვლენებისგან თავის დაცვა, სახელმწიფო კი, თავისი კონსტიტუციითა და კანონებით, გარყვნილების სადარაჯოზე დგას. აფხაზებსა და ოსებს კი ამ უბედურებისგან თავის დაცვა საზოგადოებრივი ძალისხმევით არ უწევთ, მათ ამისგან თავიანთი კანონები და იურისდიქცია იცავს, ამიტომ კიდევ ერთხელ გავიმეორებ შეკითხვას, რომელიც ზემოთ დავსვი: **აფხაზები და ოსები თუნდაც ამის გამო მოინდომებენ ჩვენთან ერთად ცხოვრებას? ცხადია, არ მოინდომებენ!**

**წარმოგიდგენიათ, ისეთმა ტრადიციულმა ხალხებმა, როგორებიც აფხაზები და ოსები არიან, ისურვონ „ლიბერალური დიქტატის“, ანუ მორალის დაუნდობელი ნგრევის ვითარებაში ცხოვრება?**

**— ხელისუფლებაში ვერ აცნობიერებენ, რომ მსგავსი პოლიტიკური გზავნილები აბსოლუტურად უეფექტოა და მეტიც — კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას?**

— მათ ძალიან კარგად იციან, რომ ეს ყველაფერი საზოგადოების უმრავლესობისთვის მიუღებელია, მაგრამ ეს უმრავლესობა გამოცხადებულია ბნელ, მოძალადე, რეგრესულ ძალად, ხოლო დასავლეთიდან დაფინანსებული აგრესიული უმცირესობა — განათლებულ, პროგრესულ ელიტად. თუმცა ობიექტური რეალობა ამით არ იცვლება და ფაქტი, რომ ეს აგრესიული უმცირესობა მუდმივად ცდილობს, უმრავლესობა საკუთარი იდეოლოგიური დიქტატის ქვეშ ამყოფოს დემოკრატიის სახელით, ფაქტად რჩება. ვიღაც იტყვის, რომ ეს ყველაფერი რუსული პროპაგანდის ნაწილია და თურმე რუსული პროპაგანდა თესავს საზოგადოებაში ხელოვნურ შიშს. ასეთ შემთხვევაში, უბრალოდ, ვსვამ შეკითხვებს: **არის თუ არა ფაქტი, რომ დასავლეთი საქართველოში სექსუალური უმცირესობებისთვის უფლებების გასაზრდელად მასშტაბურ საკანონმდებლო ცვლილებებს ითხოვს? არის თუ არა ფაქტი ის, რომ დასავლეთი ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონებას მოითხოვს და ამაზე საზღვარგარეთიდან დაფინანსებული მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს?საერთოდ, არის რამე, რაც შეიძლება, დღევანდელ საქართველოში ვინმესთვის (მათ შორის — აფხაზებისა და ოსებისთვის) მიმზიდველი იყოს?**

ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ სწრაფვის ამ თითქმის ოცდაათწლიან პერიოდში საქართველომ ვერც პოლიტიკურად და ვერც ეკონომიკურად სული ვერ მოითქვა, პირიქით — გახდა ქვეყანა, რომლიდანაც, იმის გამო, რომ არსებობა შეუძლებელია, ხალხი გაქცევაზე ფიქრობს და გარბის კიდეც. დაცარიელდა ქვეყანა და დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დადგა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა ვინმესთვის შეიძლება მიმზიდველი იყოს? შეიძლება, რომ სალად მოაზროვნე ადამიანებს ასეთ ქვეყანაში ყოფნა მოუნდეთ?!

**— რა პოლიტიკური გზავნილი იქნება დღეს ყველაზე შესაბამისი ხელისუფლების მხრიდან კონფლიქტური რეგიონების მოსახლეობისადმი?**

— **უმთავრესი, რამაც ჩვენ წლების წინათ დაგვაშორა ერთმანეთს და მოგვიჭრა ერთმანეთთან მისასვლელი ყველა გზა, ეს იყო ჩვენი საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია, რაც დღეს უკვე ნათელია, რომ არანაირი სიკეთის მომტანი არ აღმოჩნდა საქართველოსთვის. ჩვენი პრობლემები დაიწყო მაშინ, როცა ვითომ დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, გავიგიჟეთ თავი და დავიწყეთ გამწარებული ანტირუსული ისტერიკა.** აფხაზები და ოსები კი ყოველთვის რუსეთზე იყვნენ ორიენტირებულნი. სხვა პოლიტიკურ ვექტორს, სხვა ორბიტას ისინი არც განიხილავდნენ. დღევანდელ ვითარებაში კი ეს საერთოდ წარმოუდგენელია. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ დღეს ჩვენ ამგვარი დილემის წინაშე ვდგავართ: ან განვაგრძობთ ოცდაათწლიან უპერსპექტივო დასავლურ კურსს და საბოლოოდ ვკარგავთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ყოველგვარ შანსს, ან რადიკალურად ვცვლით საგარეო ორიენტირს და ვიწყებთ რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორული ურთიერთობების მშენებლობას, რომლის შედეგად აფხაზებსა და ოსებთან ერთ სივრცეში აღმოვჩნდებით. მხოლოდ ამის შემდეგ ჩნდება მათთან თანაცხოვრებაზე ფიქრისა და საუბრისთვის რეალური წანამძღვრები. სხვა ყველაფერი დროის ფუჭი ხარჯვაა.

სამწუხაროდ, ამის გაკეთება დღეს, ამ ხელისუფლების და არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ მისი მოკავშირე მედასავლეთე ოპოზიციური პარტიების პირობებში, რომლებსაც მონოპოლიზებული აქვთ პოლიტიკური სივრცე, პრაქტიკულადაც და თეორიულადაც შეუძლებელია, ამიტომ საქართველო ჯერ ამ დამყაყებული პოლიტიკური სპექტრისგან უნდა გაიწმინდოს, შემდეგ კი შეიძლება რეალურ ცვლილებებზე ფიქრი.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „თუ რუსეთთან მუდმივმა კონფრონტაციამ, დაპირისპირებამ, სანქციებმა და იზოლაციის პოლიტიკამ ევროპა ვერ გახადა უფრო უსაფრთხო, დაშლილ-დაქუცმაცებულ, ჩამოქცეულ და გაღატაკებულ საქართველოს რა სიკეთეს მოუტანს?“



გურამ ნიკოლაიშვილი:

# ვეკითხები ჩვენს პრემიერს, პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს: რუსული საფრთხისგან დაგვიცავს ევროპა, რომელსაც რუსეთთან დიალოგის გარეშე საკუთარი უსაფრთხოება ვერ წარმოუდგენია?

**3-4 დეკემბერს ინგლისის დედაქალაქ ლონდონში ნატოს 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამიტის გამართვის შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ რუსეთი ალიანსის მტერი არ არის. მისი აზრით, მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობებისა, რომლებიც პოლიტიკურ ვექტორებს შორის სტრატეგიული ინტერესების თვალსაზრისით არსებობს, ნატო და რუსეთი რიგ საკითხებში პარტნიორებიც არიან: „ვინ არის ნატოს მტერი? რუსეთი მტერი აღარაა. ის კვლავ რჩება საფრთხედ, მაგრამ, ამასთანავე, გარკვეულ საკითხებში პარტნიორიცაა. ჩვენი მტერი დღეს საერთაშორისო ტერორიზმი, განსაკუთრებით ისლამური ტერორიზმია“.**

რაც შეეხება დიალოგს, იმავე პოსტში მაკრონი ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დღევანდელ ვითარებაში ცივილიზებულ მსოფლიოს კრემლთან დიალოგი აუცილებლად სჭირდება. მეტიც, მისი თქმით, აქამდე განხორციელებულმა ბოიკოტისა და იზოლაციის პოლიტიკამ ცხადყო, რომ რუსეთთან დიალოგზე წაუსვლელობას ევროპა უფრო უსაფრთხო არ გაუხდია.

**საფრანგეთის პრეზიდენტის ღია განცხადება რა გზავნილია დღეს ცივილიზებული სამყაროსთვის, რას ცვლის ეს მიდგომა მსოფლიო ასპარეზზე და რა სტრატეგიულ კორექტივებს შეიძლება საჭიროებდეს იგი საქართველოს დღევანდელ საგარეო-პოლიტიკურ ორიენტირებში? — გვესაუბრება გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს გენშტაბის ყოფილი უფროსი გურამ ნიკოლაიშვილი.**

**— ბატონო გურამ, ამას წინათ საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ რუსეთი ნატოს მტერი არ არის და მასთან დიალოგი აუცილებელია. ამის გამო ის ექსპერტებისა თუ დიპლომატების (მათ შორის დასავლელი დიპლომატების) გარკვეული წრეების კრიტიკის ქარ-ცეცხლში მოექცა. როგორ ფიქრობთ, ადეკვატურია ეს განცხადება და რა გზავნილია ის ჩვენისთანა პატარა სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც თავიანთი უსაფრთხოების ერთადერთ გარანტად სწორედ ალიანსი წარმოუდგენიათ?**

— ეს სამიტი აქამდე ჩატარებული სხვა სამიტებისგან გამოირჩეოდა იმით, რომ წინაპირობები იყო უფრო რთული. უკვე გამოჩნდნენ გარკვეული ქვეყნები ალიანსის ბირთვში, რომლებსაც ამ ფორმითა და არქიტექტურით სამხედრო ბლოკის არსებობა არ აკმაყოფილებთ. ავიღოთ თუნდაც თურქეთი, ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქვეყანაა ამ ორგანიზაციაში თავისი სტრატეგიული მდებარეობით, მრეწველობით, ეკონომიკით, ადამიანური რესურსით და სამხედრო პოტენციალით ხომ არის და არის; მაგრამ, როდესაც უკიდურესად დაეძაბა ურთიერთობა რუსეთთან და კინაღამ სამხედრო კონფრონტაციამდეც მივიდა საქმე, მან პრაქტიკულად ვერანაირი მხარდაჭერა ალიანსისგან ვერ მიიღო. ეს ნიშნავდა თეორიულად ერთ ძალიან მარტივ რამეს, რომ მეხუთე პუნქტი შეთანხმების, რომელიც მთავარი აზრია და ამოსავალი წერტილი ალიანსის არსებობის, კონკრეტულ შემთხვევაში აღმოჩნდა ფორმალური — **შეთანხმება პრაქტიკულად დარჩა ქაღალდზე და რეალურად ქვეყანა, რომელსაც რუსეთის შემდეგ, მგონი, ყველაზე მეტი სამხედრო პოტენციალი აქვს ევროპის კონტინენტზე, პრაქტიკულად, ერთი ერთზე შეატოვეს ურთულეს პოლიტიკურ ამოცანას. ამით კიდევ ერთხელ ნათელი გახდა, რომ არანაირი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა, როგორც ერთიანი მთლიანი გეოპოლიტიკური მონოლითი, არ არსებობს; არსებობს მხოლოდ ცალკეული ქვეყნების ინტერესები და სტრატეგიული ამოცანები, რომლებიც, არათუ არ ემთხვევა ყოველთვის ერთმანეთს, ზოგჯერ, შესაძლოა, ურთიერთსაწინააღმდეგოც იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ერთ სამხედრო ბლოკში შემავალ სახელმწიფოებზეა საუბარი.**

რაც შეეხება საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადებას, რომ რუსეთი ალიანსის მტერი არაა და პირიქით — რიგ საკითხებში პარტნიორიც არის, რა თქმა უნდა, რთულია იმაზე გადაჭრით საუბარი, არიან თუ არა ისინი რომელიმე საკითხში მართლა პარტნიორები, მაგრამ ერთი რამ ცხადია, მაკრონის შეფასება წინააღმდეგობაში მოდის რეზოლუციასთან, რომელიც ლონდონის სამიტზე მიიღეს და რომელშიც შავით თეთრზე წერია, რომ ალიანსისთვის ნომერი პირველი საფრთხე სწორედ რუსეთია. სხვათა შორის, **ეს რეზოლუცია საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ მასში საფრთხეების თვალსაზრისით ერთ ჭრილშია განხილული რუსეთი, ჩინეთი და ტერორიზმი. ეს კი ნიშნავს, რომ სამიტზე ვაშინგტონის პოზიცია დომინირებდა, თუმცა თავისთავად არც ესაა პრობლემა. ამერიკა ყოველთვის იყო ალიანსში დომინანტი ქვეყანა. პრობლემა არის ის, რომ ევროპას დღეს გაცილებით ძვირი პოლიტიკური და ეკონომიკური საფასურის გადახდაც უწევს ამერიკის პატრონაჟის ქვეშ არსებული უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ ყოფნისთვის, რაც „თეთრი სახლის“ ამჟამინდელი ადმინისტრაციის პოლიტიკის შედეგია და ტრამპი, მოგეხსენებათ, ყველა თავის გამოსვლაში დასავლეთს პრაქტიკულად აყვედრის, რომ აშშ ალიანსის ყველაზე მსხვილი გადამხდელი ქვეყანაა.**

**«მაკრონის განცხადება ალიანსის დემონტაჟის ერთგვარ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ გამოვლინებად უნდა განვიხილოთ»**

**— ეს ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ ალიანსის წამყვან სახელმწიფოებს შორის ინტერესთა კონფლიქტია?**

— ინტერესთა კონფლიქტი, ალბათ, ხმამაღალი ნათქვამია. მე სხვანაირად ვიტყოდი: ნატო, მოგეხსენებათ, 1949 წელს შეიქმნა, 70 წლის წინათ. ამ ხნის განმავლობაში მსოფლიო გეოპოლიტიკურმა დღის წესრიგმა გარკვეული ცვლილებები განიცადა, რამაც, ბუნებრივია, შესაბამისი კორექტივები შეიტანა დამოუკიდებელი ქვეყნების და, მათ შორის, რა თქმა უნდა, ალიანსში შემავალი სახელმწიფოების სტრატეგიულ ინტერესებშიც.

რაც შეეხება საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადებას, რომელსაც, ალბათ, გასაკვირი არაა, რომ დასავლეთში გარკვეული აჟიოტაჟი მოჰყვა, გამომდინარე იქიდან, რომ **მაკრონისგან** პირველად არ ისმის მსგავსი რიტორიკა და მოგეხსენებათ, მან მცირე ხნის წინათ ნატო ტვინმკვდარ ორგანიზაციადაც მოიხსენია, ვფიქრობ, ჩვენ ეს განცხადება ალიანსის დემონტაჟის ერთგვარ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ გამოვლინებად უნდა განვიხილოთ, თუმცა, **საფრანგეთი არ არის დღეს ერთადერთი ქვეყანა, რომლის სახელმწიფოებრივ ინტერესსაც ალიანსი ვერ აკმაყოფილებს. თურქეთი უკვე დაუფარავად აცხადებს, რომ მხარს არ დაუჭერს ორგანიზაციის გეგმას ბალტიის ქვეყნების თავდაცვის გაძლიერების თაობაზე, თუ იგი ტერორისტებად არ აღიარებს ძალებს, რომლებსაც თურქეთი ებრძვის.** სხვათა შორის, მთელი ამ პოლიტიკური ჭიდილისა და ვაჭრობების ფონზე მოსკოვსა და ანკარას შორის C-400 ტიპის ანტისარაკეტო სისტემის შესყიდვის ახალ კონტრაქტზე მიდის მუშაობა. ეს კი ნიშნავს, რომ **ვაშინგტონის სამხედრო-სამრეწველო ჰეგემონია, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ალიანსის წევრმა ყველა სახელმწიფომ და არა მხოლოდ ალიანსის წევრმა, მათ შორის ჩვენისთანა სატელიტებმაც, ამერიკაში წარმოებული ტექნიკით უნდა აღჭურვოს საკუთარი შეიარაღებული ძალები, ამ შემთხვევაში დარღვეულია. ეს არის უკვე ერთგვარი სიგნალი ვაშინგტონისთვის, რომ სამყარო აღარაა პოლიტიკური ვექტორის თვალსაზრისით ულტერნატივო,** ერთპოლუსიანი; სამყარო, სულ ცოტა, ორპოლუსიანია და ის მზარდი, შეუქცევადი სამხედრო-სამრეწველო აღმავლობა, რომელიც დღეს რუსეთშია, ამის ნათელი მაგალითია. ისე, რა თქმა უნდა, ყველა ხვდება, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნატოსთვის რუსეთი იყო დანიშნული საფრთხე, რომლისგანაც ვაშინგტონმა საფრთხობელა შექმნა...

**— რას ნიშნავს დანიშნული საფრთხე?**

— საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა უკვე რუსეთსა და დასავლეთს შორის სოციალისტური ბანაკის სახით უზარმაზარი ბუფერი გაჩნდა, ევროპას სანერვიულო არაფერი ჰქონდა, მაგრამ **ალიანსის გამუდმებულ სამხედრო-პოლიტიკურ ინტერვენციას, რომელსაც პოსტსაბჭოთა სივრცის დიდი ნაწილი უნდა აეთვისებინა და ერთგვარ რკალში მოექცია რუსეთი, სჭირდებოდა მტრის ხატი. ეს იდეოლოგიური სქემა მუშაობდა 90-იან წლებში, როცა მოსკოვს პრაქტიკულად არ ეცალა გლობალური პოლიტიკისთვის, დღეს კი უკვე კარდინალურად განსხვავებული ვითარებაა: კრემლი საერთაშორისო ასპარეზზე ცალკე ორბიტას წარმოადგენს, ის არ არის ვილაცის მიერ ხელოვნურად შექმნილი საფრთხობელა, ის რეალურ პოლიტიკურ ვექტორს ქმნის.**

ახლა საქართველოზეც ვისაუბროთ: თუ რუსეთთან მუდმივმა კონფრონტაციამ, დაპირისპირებამ, სანქციებმა და იზოლაციის პოლიტიკამ ევროპა ვერ გახადა უფრო უსაფრთხო, დაშლილ-დაქუცმაცებულ, ჩამოქცეულ და გაღატაკებულ საქართველოს რა სიკეთეს მოუტანს? ვეკითხები ჩვენს პრემიერს, პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს: რუსული საფრთხისგან დაგვიცავს ევროპა, რომელსაც რუსეთთან დიალოგის გარეშე საკუთარი უსაფრთხოება ვერ წარმოუდგენია?!

**— როგორ ფიქრობთ, რაში სჭირდება ჩვენს ხელისუფლებას ტყუილი, რომ ნატო დაგვიცავს?**

— ვფიქრობ, დღევანდელ ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში რამდენიმე კატეგორიის ძალაა თავმოყრილი: ერთი, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები არ აინტერესებს და ძალაუფლების სანაცვლოდ უსიტყვოდ ასრულებს დასავლეთის, ამ შემთხვევაში უფრო ვაშინგტონის, დესტრუქციულ მითითებებს რუსეთის წინააღმდეგ; მეორე, რომელიც ძალაუფლების რიგშია და მუდმივად კოჭს უგორებს ვაშინგტონს, რომ მას უფრო შეუძლია კრემლის გაღიზიანება; და მესამე, რომელიც მოწყვეტილია თანამედროვე მსოფლიოს გეოპოლიტიკურ რეალობას. ერთიც, მეორეც და მესამეც წარმატებით ანგრევენ სახელმწიფოს. ყოველ შემთხვევაში მათ შეჯიბრებასა და ჭიდილს ანტიქართული პოლიტიკის განხორციელებაში უკვე მოჰყვა 2008 წლის აგვისტოს ომი, ტერიტორიების მესამედის დაკარგვა და, ხვალ-ზეგ რა იქნება, კაცმა არ იცის...

**— ამ ვითარებაში გამოსავალი რა შეიძლება იყოს?**

— ერთადერთი გამოსავალი დღეს სამხედრო-პოლიტიკური მიუმხრობლობაა. კიდევ ვიმეორებ: ნატოს წევრი 80-მილიონიანი თურქეთი მივიდა დასკვნამდე, რომ ალიანსი უკვე აღარ შეესაბამება მის ინტერესებს. ნუ დაგავიწყდებათ, საუბარია ქვეყანაზე, რომელმაც თავისი არსებობის განმავლობაში 12 ომი წააგო.

რაც შეეხება ჩვენს დიალოგსა და ურთიერთობების მოგვარებას მოსკოვთან, ამის გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის ნორმალურ კალაპოტში დაბრუნება. **სანამ პოლიტიკური სპექტრი დაპყრობილი და მონოპოლიზებული აქვს აგრესიულ, რეაქციულ პოლიტიკურ უმცირესობას, რომელიც მაშინვე პუტინის აგენტის იარლიყს გაკერებს და ბინძურ კამპანიას იწყებს შენ წინააღმდეგ, როგორც კი სიტყვა დაგცდება კრემლთან დიალოგის აუცილებლობაზე,** ჩვენ სიმშვიდე არ გვიწერია. **ნებისმიერ მცდელობას ამა თუ იმ სალი და სახელმწიფოებრივი ინტერესებით მოქმედი ძალისას, დაიწყოს პირდაპირი დიალოგი, ისინი ყოველთვის პროვოკაციებისთვის გამოიყენებენ.** აი, ეს არის დღევანდელი ჩვენი რეალობა, რომელიც აცდენილია მსოფლიო გეოპოლიტიკურ კონიუნქტურას და, რაც დრო გადის, დიდ სახელმწიფოთა შორის გამუდმებულ ჭიდილში სულ უფრო ღრმა უფსკრულისკენ მიაქანებს ქვეყანას.

**«საფრანგეთი არ არის დღეს ერთადერთი ქვეყანა, რომლის სახელმწიფოებრივ ინტერესსაც ალიანსი ვერ აკმაყოფილებს. თურქეთი უკვე დაუფარავად აცხადებს, რომ მხარს არ დაუჭერს ორგანიზაციის გეგმას ბალტიის ქვეყნების თავდაცვის გაძლიერების თაობაზე, თუ იგი ტერორისტებად არ აღიარებს ძალებს, რომლებსაც თურქეთი ებრძვის»**

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

„რამდენიმე თვეა, პარტიები ქუჩებში დარბიან და უსუსური ძალებით სურთ, მოახდინონ სახელმწიფო გადატრიალება, მაგრამ არ გამოსდით ეს ერთი მიზეზის გამო — ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაცია და სხვა საკვანძო სტრუქტურები ჩამოყალიბებულები არ არიან ბოლომდე. მათ არ აქვთ გადაწყვეტილი, როგორ უნდა განვითარდეს მოვლენები საქართველოში. მათ არ სცალიათ საქართველოსთვის, ისევე, როგორც რუსეთის ხელისუფლებას არ სცალია“.

პოზიცია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# გულბაათ რცხილაძე: ქართველი პოლიტიკოსების უცხოეთში სირბილი მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი ქვეყანა სუვერენული არ არის. ჩვენ ფორმალურად ვართ დამოუკიდებელი ქვეყანა

**ზაფხულიდან „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი სატელიტი პარტიების ე.წ. ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები, რომლებმაც „სირცხვილია“ და „გაბედე“ დაირქვეს, რუსთაველის გამზირზე დგანან. რამდენიმე ხნის წინათ კი 30-მდე პარტია გაერთიანდა და ზემოაღნიშნული ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებთან ერთად მთავრობისა და საკანონმდებლო ორგანოს წევრების მისამართით ქუჩაში გაჰყვრიან: „მონა!“ „გაბედე!“. პარალელურად ე.წ. ოპოზიციური პარტიების ლიდერები ხან ამერიკაში გარბიან, ხან — რუსეთში. რატომ დადიან ე.წ. ოპოზიციის ლიდერები საზღვარგარეთ, რა მოაქვთ უცხოეთიდან საქართველოსთვის სასარგებლო? რას მოუტანს პერმანენტული, თუნდაც მცირემასშტაბიანი აქციები ქვეყანას და დააზარალებს თუ არა ხელისუფლებას? — ამ და სხვა საინტერესო თემებზე „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე გვესაუბრება:**

## «რა წაიღეს და რა ჩამოიტანეს ან ამერიკიდან, ან რუსეთიდან?»

— რა წაიღეს და რა ჩამოიტანეს ან ამერიკიდან, ან რუსეთიდან, უკვე აღარ არის საინტერესო, რადგან ქართულ პოლიტიკაში ეს დამკვიდრებული მეთოდია — აუცილებლად საზღვარგარეთ უნდა გააკეთოს რაღაც პოლიტიკოსმა და უცხოელის ზურგი უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდ პოლიტიკაში მოსვლის შანსი ნაკლებია. ქართველი პოლიტიკოსების უცხოეთში სირბილი მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი ქვეყანა სუვერენული არ არის, ეს საიდუმლო არავისთვისაა და ხშირად გვითქვამს კიდეც. **საქართველო ფორმალურად არის დამოუკიდებელი ქვეყანა.**

**რამდენიმე თვეა, პარტიები ქუჩებში დარბიან და უსუსური ძალებით სურთ, მოახდინონ სახელმწიფო გადატრიალება, მაგრამ არ გამოსდით ეს ერთი მიზეზის გამო — ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაცია და სხვა საკვანძო სტრუქტურები ჩამოყალიბებულები არ არიან ბოლომდე. მათ არ აქვთ გადაწყვეტილი, როგორ უნდა განვითარდეს მოვლენები საქართველოში, მათ არ სცალიათ საქართველოსთვის, ისევე, როგორც რუსეთის ხელისუფლებას არ სცალია.** ისინი ამბობენ, რომ ეს ქვეყნის შიდა სამზარეულოა და არ ერევიან. სინამდვილეში კი, როცა სურთ, ძალიან კარგად ერევიან. ამ **ორი ქვეყნის — რუსეთისა და ამერიკის — პოლიტიკის გაურკვევლობა საქართველოს მიმართ ქმნის პარტიების დაბნეულობასაც და არეულობასაც. საქართველოს და ქართველ პოლიტიკოსებს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლიათ.**

დააკვირდით, რა ხდება ქვეყანაში: **საქართველოს მოსახლეობა ცხოვრობს თავისი ცხოვრებით. მათ ხელი აქვთ ჩაქნეული პოლიტიკოსებსა და პარტიებზე, ხოლო პოლიტიკოსებმა ცალკე კასტა შექმნეს და "ჩალიჩობენ" პირადი საქმეების მოწყობაზე; სურთ, როგორმე შევიდნენ პარლამენტში, სწორედ ამისთვის სჭირდებათ პროპორციული არჩევნები. მათ არ ადარდებთ ხალხის ნება, პარტიების განვითარება, დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება. ყველა პოლიტიკოსი ცდილობს, უზრუნველყოს თავისი ტივტივი პარლამენტში, რათა შემდეგ იქ ააყროლოს სიტუაცია. ჯერ დღევანდელი პარლამენტი რას ჰგავს და წარმოიდგინეთ, ამდენი პარტიის წარმომადგენელი რომ შეცვივდება იქ, რა მოხდება.**

ჩვენს ქვეყანაში არის ტრაგიკომიკური ვითარება, ხალხის სურვილისა და ნების უკითხავად ცდილობენ პოლიტიკოსები რაღაც აზრის გატანას.

საზოგადოება კი ელოდება ახალი ძალის გამოჩენას, რომელიც არ ჩანს, რადგან თვითონ საზოგადოებაა სუსტი და არ შეუძლია შვას ახალი პოლიტიკური ძალა, უცხოეთიდანაც არ მოდის დირექტივა და ამიტომაც დღეს ვართ ასეთ ქაოსურ მდგომარეობაში. ქვეყანაში ანარქიის ნიშნებია, ყველა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, პოლიცია არ ერევა არაფერში, მათ მხოლოდ ხელფასი აინტერესებთ, აპათიაში არიან.

**— ცნობილი არ არის, რა ქნა ამერიკაში პირველმა ლეიბორისტმა, მაგრამ სამაგიეროდ, მოსკოვიდან დაბრუნებულმა ნინო ბურჯანაძემ ვრცელი ინტერვიუ მისცა ტელევიზიებს... შეუძლია თუ არა უმნიშვნელო ოპოზიციური პარტიის ლიდერს მოაგვაროს ისეთი პრობლემა, როგორიც არის ცხინვალის საპყრობილიდან ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის გათავისუფლება ან რუსეთ-საქართველოს შორის ავიამიმოსვლის აღდგენა?**

— ბურჯანაძის სიტყვებზე კომენტარს არ გავაკეთებ, არასერიოზულია, გამოვტოვოთ, სხვა უფრო სერიოზულზე ვილაპარაკოთ...

**ვაჟა გაფრინდაშვილს** ძალიან მარტივად შეუძლია, წამოვიდეს ცხინვალიდან, საჭიროა, საბუთს ხელი მოაწეროს და გამოუშვებენ. საბუთი ფორმალობაა, რომელშიც წერია, რომ მან საზღვარი დაარღვია, მაგრამ **არ აწერს ხელს, რადგან თვლის, რომ მისი ხელმოწერით ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებს. არადა, ეს საბუთი არის მესაზღვრის უბრალო ფურცელი, რომელსაც იურიდიული ძალა არ აქვს, არ წარმოდგენს არაფერს, არც საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის და არც საქართველოსთვის. შესაბამისად, ამ დოკუმენტზე ხელის მოწერით ცუდი ქართველი არ გახდები.** ჯობდა, ვაჟა გაფრინდაშვილს ე.წ. საზღვარი არ დაეღვია, ქვეყანა ამ უხერხულობაში არ ჩაეგდო და საერთაშორისო ორგანიზაციები არ დაებნია. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა წერილი მისწერა რუსეთის პატრიარქს და ჯერჯერობით შედეგი არ მოჰყოლია. საქართველო ჩიხშია. ჩვენ როგორი ზეწოლაც უნდა განვახორციელოთ ოსეთზე, **მათ არ სურთ პოზიციების დათმობა და იმის აღიარება, რომ ზეწოლის გამო გათავისუფლეს გაფრინაშვილი. ოსებსაც აქვთ ამბიციები და ამიტომ ექიმს მეტი გონიერების გამოჩენა მართებს, საკუთარი თავის გათავისუფლება თვითონვე შეუძლია. ვაჟა გაფრინდაშვილს ცხინვალში ცუდად არავინ ეპყრობა, კარგად არის, ჩვენ გვაქვს პირდაპირი ურთიერთობა ცხინვალთან და ვიცით, რომ გაფრინდაშვილს ზუსტად ისე ექცევიან, როგორც კავკასიაშია მიღებული სტუმრის პატივისცემა.**

> **«ქართული ოცნება» დისკრედიტებულია, გადასაფორმატებელია. ივანიშვილმა უნდა დაშალოს ეს პარტია. რისთვისღა სჭირდება «ოცნება», ეს ხომ ბალასტია?! გამოვიდეს ბიძინა და თქვას: ყველა სოროსელი, ყველა აფერისტი და გათახსირებული ჩამოვიშორე და ვდგები ხალხთან ერთად! ამ სიტყვებს თუ იტყვის ივანიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ტყუილი უთხრა თავის ამომრჩეველს, მაინც დაუდგებიან გვერდით, ნაძირალების ჩამოშორება პოლიტიკიდან გადაფარავს ივანიშვილის ტყუილებს, მაგრამ, როგორც ჩანს, არ არის ეს კაცი მზად ამის სათქმელად!**

რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს შორის ავიამიმოსვლის აღდგენას, ეს უკვე სასაცილო თემაა, ორივე მხარე სასაცილოდ იქცევა. რამდენიმე დღის წინათ მოსკოვში გავფრინდი, თვითმფრინავი ჯერ ერევანში დაფრინდა, მგზავრები არც კი ვიყავით ჩამოსული და სულ რაღაც ნახევარ საათში მოსკოვში გავფრინდით. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს თვითმფრინავი იყო დასჯილი. თუკი რუსეთს სურს, აკრძალოს ფრენები, მაშინ ასეთი მგზავრობაც უნდა აიკრძალოს. ეს არის ნახევარგადაწყვეტილება, რომელიც რუსეთის ხელისუფლებას ახასიათებს.

ჩვენები თავს იწვალებენ, მაზოხიზმში არიან, **ვერაფრით მოახერხეს ორი სიტყვის თქმა, რომ არ შეიძლებოდა რუსი პოლიტიკოსის გავრილოვის, შეურაცხყოფა. ერდოღანმა მოუხადა ბოდიში რუსეთს, მართალია, იქ უფრო დიდი და სერიოზული ამბავი მოხდა, მაგრამ მაინც კარგი მაგალითია ჩვენთვის, რადგან ძალიან შორს არ ვიყავით თურქეთში მომხდარი ამბისგან, შეიძლებოდა გავრილოვისთვის რამე დაეშავებინათ და სახელმწიფო გადატრიალების აშკარა მცდელობაც იყო.** მომხდარს „გავრილოვის ღამე“ დაარქვეს, „გავრილოვის ღამე“ არა, „ჭიჭიკოს ღამე“, როგორც **ზაქრო ქუცნაშვილმა** თქვა. **ჩვენი ხელისუფლება ჭიჭიკოს დონეა.**

**— მართალია, თქვენ თქვით, რომ ეს პატარ-პატარა აქციები ხელისუფლებას ვერაფერს დააკლებს, მაგრამ არ ფიქრობთ, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში გამუდმებული აქციები, თუნდაც მცირე მასშტაბის, მაინც გამოფიტავს ხელისუფლებას?**

— ხელისუფლებას არაფერი არ გამოფიტავს, რადგან ეს ხელისუფლება უკვე გამოფიტულია, დეცენტრალიზებული. **ვერ გაიგებ, რას აკეთებენ პრემიერი, მინისტრები, უშიშროების სამსახური. მაგალითად,** ვერ ვიგებ, რას წარმოდგენს ე.წ. სუსი. რამდენიმე ხნის წინათ წავიკითხე მათი მოხსენება შიდა ქართლზე, რომელიც პარლამენტს გაუგზავნეს. მოხსენებაში ერთი სიტყვა არ ეწერა, რა როლს ასრულებს ქაცარავა თავისი პროვოკაციებით, საუბარია რუსეთის ოკუპაციაზე, ცხინვალის მარიონეტულ რეჟიმზე, მაგრამ არაფერი წერია იმაზე, რომ ჩვენი მხრიდან პროვოკაციები ხდება. ეს ხომ უნდა იყოს უშიშროების საქმე? დღეს რომ ქვეყანაში აქციები მიმდინარეობს, საზოგადოების სიმშვიდე დარღვეულია და ეს ყველაფერი პოლიციას აწევს მხრებზე, ნორმალურია? სუსი არ უნდა უზრუნველყოფდეს ჩვენს უშიშროებას და პასუხს არ უნდა სთხოვდეს დაღვევებზე პოლიტიკური პარტიების აქტივისტებს?

რადგან ამ თემას შევეხეთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ აქ კანონმდებლობაშია გარღვევა. **თუკი მომინდა, რომ ქუჩაში კარავი გავშალო, თურმე კონსტიტუციური უფლებაა, ეს წარმოუდგენელი ლაფსუსია და აუცილებლად შესაცვლელია. უფრო მეტიც, თავზე უნდა დაახიო ხელისუფლებას. მთელი ქართული საზოგადოებაა შეწუხებული აქციებით, ქუჩაში არსებული მდგომარეობით და თურმე კონსტიტუცია იცავს ამ უმსგავსობას. ეს სამარცხვინოა. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო არ გვაქვს. ჩვენ ქართველები ვართ და არა რაღაც მომთაბარე ტომი, რომ კარვები დავდგათ თვეების განმავლობაში. ახლა წარამარა რომ იკრიბებიან და უაზრო საკითხებზე მსჯელობენ, ეს კანონი შეცვალონ, მაგრამ მხოლოდ ფულის კეთება აინტერსებთ. ორივე მხარე მხოლოდ ფულის შოვნაზეა გადასული და სახელმწიფო ინტერესები არ ადარდებს.**

არჩევნები ახლოვდება და ხალხის აზრი არ აინტერესებს არავის, ხელისუფლებას ადმინისტრაციული რესურსის იმედი აქვს, ოპოზიციას — გარედან მოსული დირექტივის.

**„ქართული ოცნება“ დისკრედიტებულია, გადასაფორმატებელია. ივანიშვილმა უნდა დაშალოს ეს პარტია, რისთვისღა სჭირდება „ოცნება“, ეს ხომ ბალასტია?! გამოვიდეს ბიძინა და თქვას: ყველა სოროსელი, ყველა აფერისტი და გათახსირებული ჩამოვიშორე და ვდგები ხალხთან ერთად! ამ სიტყვებს თუ იტყვის ივანიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ტყუილი უთხრა თავის ამომრჩეველს, მაინც დაუდგებიან გვერდით, ნაძირალების ჩამოშორება პოლიტიკიდან გადაფარავს ივანიშვილის ტყუილებს,** მაგრამ, როგორც ჩანს, არ არის ეს კაცი მზად ამის სათქმელად, შინაგანად არ არის განწყობილი ამის გასაკეთებლად. არ მგონია, ვინმე უშლიდეს მას აფერისტების, მუწუკების მოშორებას, უბრალოდ, თვითონ არ სურს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**გავიდა ეს ორი „ასოცირებული“ წელიწადი და ვინმეს შეუძლია თქვას, რა მიიღო აქედან პრაქტიკულად საქართველომ? ერთადერთი ის, რომ, ვისაც ამის მატერიალური საშუალება აქვს, გაცილებით იოლად მიდი-მოდის ევროპის ქვეყნებში და ეგაა... იმის შესახებ, რამდენს გვავალებს აქეთ ეს „ასოცირების ხელშეკრულება“ არაერთი მიმართულებით, მათ შორის ლგბტ თემის მხარდაჭერის მიმართულებითაც და რამდენად არაფერს გვაძლევს სანაცვლოდ — არაერთხელ დაწერილა და, ვისაც სურვილი აქვს გაგებისა, გაიგებს.**

# უაზრო ქართული ევროზეიმები, ანუ დაუკარით, უპატარძლო ქორწილია!

**არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რომელი მთავრობისა და ხელისუფლების პირობებში დავწერდი ამ სტატიას. ამას იმიტომ ვამბობ, რომ არავის ეგონოს, მაინცდამაინც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას ვაკრიტიკებ ამის გამო. დარწმუნებული ვარ, ზუსტად ანალოგიურად მოიქცეოდა ნაციონალების მთავრობაც. მეტიც — მგონია, მიშა სააკაშვილის უშუალო მითითებით ჩატარებული „ევროღონისძიებები“ გაცილებით პომპეზური, ხანგრძლივი და გულისგამაწვრილებელი იქნებოდა! სამარცხვინოდ წამოწყებული სამხედრო ავანტიურა და სამ დღეში წაგებული ომი გვაზეიმეს და ევროსაბჭოს თავმჯდომარეობას როგორ არ იზეიმებდნენ?! ყველაფერს რომ თავი დაანებო, მიშა, ფაქტობრივად, პირადად ხსნიდა სოფელში აშენებულ ლამის ყოველ „ჩეჩმასაც“ კი და დავიჯერო, რიგითობის პრინციპით ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყნად საქართველოს დასახელებას ექვს თვეს უზეიმოდ გამოტოვებდა?**

არა, არც იმას ვამბობ, რომ ხსენებული მოვლენა ცუდია, უარყოფითია და საერთოდ არ უნდა აღვნიშნოთ-მეთქი, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს თავისი ზომა, ფორმა და ზღვარი?!

**„2019 წლის 27 ნოემბრიდან საქართველო ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ქვეყანა ხდება“,** — ამ ინფორმაციამ შეძრა და შეაზანზარა სრულიად ქართლ-კახეთ-იმერეთ-გურია-სამეგრელო-აჭარა და სხვა დანარჩენი კუთხეები საქართველოსი. **თუმცა აჟიოტაჟი ისეთია, გეგონება, ამ სიხარულს სამაჩაბლო და აფხაზეთიც უერთდებოდეს. გეგონება, ეს სტატუსი საქართველოს საშუალებას აძლევს, ხვალ თუ არა ზეგ მაინც გაავრცელოს თბილისის იურისდიქცია ცხინვალსა და სოხუმზე და იქით — ტრაპიზონსაც გადასწვდეს...**

ნოემბრიდან მაისამდე — ექვსი თვის განმავლობაში იქნება საქართველო ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ქვეყანა და რა? რას მოგვცემს ეს პრაქტიკულად?

**უბრალოდ, ვიამაყებთ ამით, როგორც ვამაყობთ იმით, რომ ამერიკელს „ხინკალი დაევასება“, ფრანგი „ჩურჩხელით აღტაცებული დარჩება“, ხოლო იტალიელს „ფელამუშზე აფანატებს“...**

ეგ არის და ეგ! ბევრ ჩვენს მოქალაქეს წესიერად გააზრებულიც კი არ აქვს, რისი თავმჯდომარე ვართ და რა ფუნქცია გვეკისრება. სამაგიეროდ, როგორ ისმის — საქართველო „რაღაცა ევროპულის“ თავმჯდომარეა! როგორც ცნობილი ქართული ფილმის გმირი იტყოდა, „დაუკარიიით! უპატარძლო ქორწილია“.

მართლაც და, **სადაა „პატარძალი“? სად არის ის, თუნდაც მცირე პრაქტიკული შედეგი, რომლის გამოც შეიძლება მართლა ასე ძალიან გვიხაროდეს ესა თუ ის მოვლენა? არაფერიც არ იცვლება, 30 წელიწადია!**

უბრალოდ, ხან იმას გვაზეიმებენ, რომ ნატომ შორიდან დაგვანახვა „მაპზე უკეთესი“, ხან ევროსაბჭოს წევრად მიღების გამო ხმამაღლა გვაყვირებენ: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი“, ხან „შალახოს“ გვაცეკვებენ იმის გამო, რომ რაღაც ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი და რაღაცასთან „ასოცირებულები“ გავხდით და ხანაც, აგერ, საერთოდაც, რომ არც ვიცით, რა არის და რა ფუნქციები აქვს, იმის თავმჯდომარე შევიქენით და 27 ნოემბრიდან 14 დეკემბრამდე უწყვეტი ორკვირიანი საზეიმო ღონისძიებები უნდა ვმართოთ თურმე.

სიმართლე გითხრათ, მართლაც მაინტერსებს და იქნებ მომაწოდოთ ვინმემ ცნობები (მე ვერაფრით მოვიძიე): იმ ქვეყნებში, რომლებიც ჩვენამდე იყვნენ ამავე კომიტეტის თუ კომისიის თავმჯდომარეები ევროსაბჭოში, რა ხდებოდა მაშინ, როდესაც ამ თავმჯდომარეობას იბარებდნენ? სადმე, რომელიმე მეტ-ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში მაინც თუ გაიმართა ორკვირიანი საზეიმო ტაშ-ფანდური ამ სრულიად ჩვეულებრივი ფაქტის აღსანიშნავად, რომელიც ყოველ ექვს თვეში ერთხელ ხდება ხოლმე და თავმჯდომარეობა სხვადასხვა ქვეყანას მორიგეობით გადაეცემა?

ბევრმა შეიძლება ისიც კი არ იცის, რომ თურმე სწორედ ამავე „თანამდებობას“ რუსეთი უკვე არაერთხელ იკავებდა... ჰოდა, მაინტერესებს, რა არის აქ ასეთი სატაშფანდურო?!

კიდევ ვიმეორებ: ვინმემ, შარზე ხარო, რომ არ მითხრას, დადებითი და კარგი ფაქტი არის კი და შეეძლო ქვეყნის პრემიერმინისტრს ტელევიზიით მოელოცა ეს ჩვენთვის ან საგარეო საქმეთა სამინისტროს გაევრცელებინა შესაბამისი მისალოცი ტექსტი, ან ჯანდაბას! ერთდღიანი ღონისძიება დაგეგმილიყო... რა ამბავია ეს რამდენიმე კვირა ტლინკაობა და ზეიმი?! ბარემ გავაგრძელოთ რამდენიმე თვე და ამასობაში ასე ტაშ-ფანდურში ჩაივლის ჩვენი „წილი“ თავმჯდომარეობის ექვსთვიანი ვადაც, ეგებ ამითაც გავაოცოთ ევროპა, როგორც დემოკრატიით გავაოცეთ, არა?

**ჰერმან მელვილის** ნაწარმოებები — „ტაიპი“ და „ომუ“ მახსენდება, აგრეთვე,




## რაღას ვზეიმობთ, რას გადავდივართ ყირაზე და რატომ ვაწყობთ ამხელა ქაჯურ და გოიმურ ცირკებს? რა გვიხარია? რატომ მოუწოდებენ 14 დეკემბერს ქვეყანას, რომ რაღაც არნახულ საზეიმო ფერხულში ჩაებას?

დოკუმენტური წყაროები, როგორ ხვდებოდა შორეული კუნძულების აბორიგენი მოსახლეობა „საიდანღაც“ მოსულ დიდ მცურავ „ნავებზე“ შესკუპებულ „თეთრ ადამიანებს“! ეს მათთვის იყო „ღმერთების სასწაული“, ზეიმის, მსხვერპლშეწირვის, გადაბმული ცეკვა-თამაშების დღეები, სანამ არ მიხვდებოდნენ, რომ „თეთრი ადამიანების“ მიზანი, უბრალოდ, მათ ქვეყანაში არსებული ბუნებრივი სიმდიდრეების მითვისება და მოსახლეობის დამონება იყო...

არა, პირდაპირ ანალოგიას არ ვაპირებ — დღეს არც ევროპაა ისეთი სასტიკი, როგორც მაშინ იყო და დროც სულ სხვაა, მაგრამ ასეთი ველური აღტაცება ევროპის საბჭოში მიღებული პროცედურული საკითხის გამო, უბრალოდ, ქაჯობაა და მეტი არაფერი...

ისიც სათქმელია, რომ **მოსახლეობის დიდი ნაწილი იმაშიც ვერ ერკვევა, ევროსაბჭო და ევროკავშირი სხვადასხვა სტრუქტურა რომ არის. საქართველო, მაშინ, როდესაც ზურაბ ჟვანიამ თქვა: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელიო“, ევროპის საბჭოს წევრი გახდა და არა ევროპის კავშირის...**

ამას იმიტომ ვწერ, რომ ბევრს უკითხავს ჩემთვის: ხომ გავხდით, კაცო, ამ ევროპის წევრები ჟვანიას დროს და ახლა, აბა, რაღას იძახიან, კიდევ ევროპასთან ასოცირებას ხელი მოვაწერეთ და მალე წევრები გავხდებით, მეორედ უნდა გავხდეთ წევრიო? არ ესმის ხალხს, საერთოდაც, რა საჭიროა ეს ორი თითქოს პარალელური ევროსტრუქტურა — ევროსაბჭო და ევროკავშირი.

სხვათა შორის, ეს ბევრ პოლიტიკოსსაც კი არ ესმის წესიერად და ახლა მე აქ ამის ახსნას არ შევეცდები, მით უფრო, რომ არც ვარ ამ მიმართულების დიდი ექსპერტი.

უბრალოდ და მარტივად ვიტყვი: **ევროსაბჭოს წევრი არის ყველა, ვისაც არ დაეზარება, მათ შორის, რუსეთი და თურქეთიც კი, ამიტომ მართლა გასაკვირია, ამ ორგანიზაციის მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობა ასეთი საზეიმო რატომაა. აი, ევროკავშირი კი გაცილებით უფრო „ჩაკეტილი“ ორგანიზაციაა, რომელშიც მოხვედრა იოლი ნამდვილად არ არის და მისი წევრი არც რუსეთია და არც ნატოს წევრი თურქეთი.**

ასე რომ, ღრმა შინაარსობრივ განსხვავებას რომ თავი დავანებოთ, გარეგნულადაც შესამჩნევი სხვაობაა და სწორედ ამიტომაც — ვითომდა „მაშასადამე ევროპელები“ სინამდვილეში მხოლოდ „ასოცირებული ევროპელები“ ვართ და ეს სტატუსიც დიდი ვაივაგლახით მივიღეთ ორიოდე წლის წინათ, როდესაც „ასოცირების ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერას ჩვენს დედაქალაქში, კერძოდ, „განახლებულ პლეხანოვზე“, მგონი, ორთვიანი „შალახო“ და შეხტი-შეითამაშე მოჰყვა...

ეს კი, მაგრამ, **გავიდა ორი „ასოცირებული“ წელიწადი და ვინმეს შეუძლია თქვას, რა მიიღო აქედან პრაქტიკულად საქართველომ? ერთადერთი ის, რომ, ვისაც ამის მატერიალური საშუალება აქვს, გაცილებით იოლად მიდი-მოდის ევროპის ქვეყნებში და ეგაა... იმის შესახებ, რამდენს გვავალებს აქეთ ეს „ასოცირების ხელშეკრულება“ არაერთი მიმართულებით, მათ შორის ლგბტ თემის მხარდაჭერის მიმართულებითაც და რამდენად არაფერს გვაძლევს სანაცვლოდ, არაერთხელ დაწერილა და, ვისაც სურვილი აქვს გაგებისა, გაიგებს.**

გარკვეული „ევროსტანდარტების“ მოთხოვნა, რაც, ერთი მხრივ, კარგი და დადებითია, მაგრამ, მეორე მხრივ, როგორ მარწუხებს შემოაჭერს ჩვენს მოუმზადებელ ქვეყანას, ესეც გასაგებია მათთვის, ვისაც გაგება უნდა.

რა დარჩა? მხოლოდ უაზრო ზარ-ზეიმი იმის გამო, რომ სადღაც, ჰორიზონტზე, ოკეანეში გამოჩნდა დიიდი თეთრი გემი, რომელიც ჩვენკენ მოემართება და არც კი ვიცით, რა მოაქვს.

ხბოსავით აღტაცება მხოლოდ იმით, რომ „თეთრი ადამიანები“ ჩვენ მიმართ ყურადღებას იჩენენ და მოსწონთ ჩვენი კერძები და სიმღერები?

ამიტომაც ვსვამ კითხვას — „პატარაძალი“ სად არის, „პატარძალი“?

ყველაფერს თუ თავად ევროპა გვახვევს თავს, გვკარნახობს და სათავისოდ სურს, მა ჩვენ რა — ვირის თავ-ფეხი?

და, **აბა, რაღას ვზეიმობთ, რას გადავდივართ ყირაზე და რატომ ვაწყობთ ამხელა ქაჯურ და გოიმურ ცირკებს — რა გვიხარია? რატომ მოუწოდებენ 14 დეკემბერს ქვეყანას, რომ რაღაც არნახულ საზეიმო ფერხულში ჩაებას?**

ჰო, რა იყო, ზეიმში „ჩაგიიმასქენით“ და ხასიათი გაგიფუჭეთ? არ უნდა ვიქცეოდე ასე, მეც ხომ ქართველი ვარ და არ ვიცი რა, მაგრამ მაინც უნდა მიხაროდეს, ხომ?

ეჰ! კარგი! ჯანი გავარდეს! დაუკარით, უპატარძლო ქორწილია ააა!

## ხან იმას გვაზეიმებენ, რომ ნატომ შორიდან დაგვანახვა «მაპზე უკეთესი», ხან ევროსაბჭოს წევრად მიღების გამო ხმამაღლა გვაყვირებენ: «მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი», ხან «შალახოს» გვაცეკვებენ იმის გამო, რომ რაღაც ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი და რაღაცასთან «ასოცირებულები» გავხდით; ხანაც, აგერ, საერთოდაც, რომ არც ვიცით, რა არის და რა ფუნქციები აქვს, იმის თავმჯდომარე შევიქენით და 27 ნოემბრიდან 14 დეკემბრამდე უწყვეტი ორკვირიანი საზეიმო ღონისძიებები უნდა ვმართოთ თურმე

**სოდის აბები, რომელიც ევროპაში 1,5 ევრო ღირს, საქართველოში 120 ლარად იყიდება. რაც მთავარია, ევროპაში თუ იყიდი, საქართველოში ორ კოლოფზე მეტს ვერ შემოიტან, კანონი არ განებებს და ეს კანონიც სწორედ საფთიაქო ქსელებზე მორგებული გვგონია. არ არის საჭირო პროფესორობა და ანტიმონოპოლიურ სამსახურზე ტირილი, ხომ არსებობს კონკურენციის სააგენტო, რომელსაც ცხონებული ნოდარ ხადური ხელმძღვანელობდა? ახლა ვინ არის მისი ხელმძღვანელი, ეგებ ის მაინც გვითხრან და დაავალონ, რომ საფთიაქო ბაზარზე არსებული მდგომარეობა შეისწავლოს, მაგრამ ასე არ მოხდება.**

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სამედიცინო მომსახურების გაძვირება მოსახლეობას უმძიმეს ტვირთად დააწვება

**სახელმწიფო მოხელეებთან როცა გვიწევს საუბარი, ისინი ყოველთვის გვეუბნებიან: რატომ არაფერს წერთ ჯანდაცვის რეფორმაზე, ჩვენ ხომ გავაკეთეთ ის, რაც, რეგიონში კი არა, პოსტსაბჭოთა სივრცეშიც კი უპრეცედენტოაო?! რა თქმა უნდა, ხელისუფლების წარმომადგენლები საყოველთაო ჯანდაცვას გულისხმობენ, რომლის გამოც, მათი თქმით, ასიათასობით ადამიანი გადაურჩა სიკვდილს და კრედიტის აღებას ოპერაციის გაკეთების გამო. რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია, მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე ჯანმრთელობას ეხება, მაგრამ... თვითონ გვთხოვეს, აქცენტი საყოველთაო ჯანდაცვასა და საზოგადოდ, ჯანდაცვაზე გააკეთეთო და აგერ, ბატონო, არ დაგზარდით.**



დავიწყოთ იმით, რომ მიმდინარე წელს სწორედ ჯანდაცვის სახელით გააძვირეს აქციზი სიგარეტზე და, ვინც არ იცის, იმის გასაგონად ვიტყვით — სიგარეტის კოლოფი 7 ლარი თუ ღირს, 4 ლარი აქციზის გადასახადია, 3 ლარი კი თამბაქოს ღირებულება, ანუ ნახევარზე მეტი ბიუჯეტში მიდის, რომლიდანაც ხელისუფლების წარმომადგენლები კოლოსალურ ხელფასებს იღებენ. სხვათა შორის, მომავალი წლის 1 იანვრიდან საქართველოში მოწევა სტადიონებზეც აიკრძალება. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ხელისუფალნი სტადიონზე ნამყოფები არ არიან, თორემ, როგორ გინდა, სიგარეტის გარეშე საქართველოს ნაკრების თამაშს უყურო? **მომავალი წლიდან საყოველთაო ჯანდაცვა საყოველთაო აღარ იქნება, სიიდან არაერთ ადამიანს ამოიღებენ და საბოლოოდ მივალთ იქამდე, რომ საყოველთაო ჯანდაცვა სოციალურად დაუცველებს შეეხება,** ზუსტად ისე, როგორც წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში იყო. საზოგადოდ, ამჟამინდელი ხელისუფლება ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ მიდის იქით, რომ ყველაფერში წინამორბედს დაემსგავსოს და როგორ ვთქვათ, ეს კარგი და მისასალმებელიაო?!

მთავარი რეფორმა, რომელიც ჯანდაცვას მომავალი წლიდან შეეხება, კლინიკების ერთიანი ფასებია. რას ნიშნავს ეს? მაგალითად, კლინიკაში, რომელსაც უდგას ძვირად ღირებული აპარატურა, ექოსკოპია ღირს 50 ლარი. სხვა კლინიკაში, რომელსაც შედარებით მოძველებული აპარატი აქვს, ექოსკოპია ღირს 30 ლარი. ჰოდა, **ჯანდაცვის სამინისტრო ითხოვს, ყველა კლინიკას სამედიცინო მომსახურების ერთი ფასი ჰქონდეს, რადგან სახელმწიფომ ზუსტად იცოდეს, რას და როგორ იხდისო.** ერთი შეხედვით, ეს ცუდი არ არის, გეცოდინება, რომ ფასი ერთია და კარგ კლინიკაში წახვალ, მაგრამ ძაღლის თავიც მანდ არის დამარხული. **როგორ გგონიათ, კლინიკები სწორებას 30 ლარზე (პირობითად) გააკეთებენ თუ 50-ზე? რა თქმა უნდა, გააძვირებენ და გარდა იმისა, რომ იაფფასიანი აპარატურის მქონე კლინიკებს კლიენტი, უბრალოდ, აღარ ეყოლება და ისინი დაიხურება, სამედიცინო მომსახურების გაძვირება მოსახლეობას უმძიმეს ტვირთად დააწვება. სახელმწიფო ისევ ხელებს გაშლის: ჩვენ პატიოსნად ვიხდით თანადაფინანსების თანხასო. ის მეორე ნაწილი კი, რომელიც მოსახლეობის გადასახდელია, უმძიმესი ხარკი იქნება. სწორედ ხარკი, რადგან ქვედა ფენას მონური ხელფასი აქვს და ხარკს კიდევ მონები იხდიან.**

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ყველაზე ცუდი პუნქტი არის ის, რომ სახელმწიფო ქრონიკულ დაავადებებს არ აფინანსებს. რას ნიშნავს ეს? მაგალითად, თუ ალერგია გაქვთ ყვავილის მტვერზე და ეს არის ქრონიკული, სახელმწიფო დაფინანსებით არ გეხმარებათ და მთელი ცხოვრება მარტომ უნდა იხადოთ მკურნალობისა თუ წამლის ფული. ვიღაცამ, შესაძლოა, იკითხოს: სახელმწიფოს რატომ ავალდებულებო? კი არ ვავალდებულებთ, ბატონებო, ეს მათი დაპირება იყო, ამით ამაყობენ და კეთილი ინებონ, დაპირება შეასრულონ. ესეც არ იყოს, **დღემდე გაუგებარია, საყოველთაო ჯანდაცვის ფორმატში რატომ ვერ ხვდება ასეულობით ბავშვი, რომლებსაც მკურნალობა გადასარჩენად ესაჭიროებათ. ვერც იმას აგვიხსნის ვინმე, რატომ არის 70 წლის კაცისთვის ვარიკოზული ვენების გადაუდებელი ოპერაცია კოსმეტიკური ჩარევა და რატომ არ აფინანსებს სახელმწიფო?** ჰო, არ აქვს მნიშვნელობა ასაკს, თუ ვენებზე ოპერაცია გჭირდებათ, გეუბნებიან, რომ ეს კოსმეტიკური ხასიათისაა და სახელმწიფოს არ აქვს უფლება, დააფინანსოს. ანუ, სახელმწიფოს აზრით, 70 წლის კაცი ფეხების ფორმაზე ზრუნავს და არა ჯანმრთელობაზე.

**გაუგებარია, საყოველთაო ჯანდაცვის ფორმატში რატომ ვერ ხვდება ასეულობით ბავშვი, რომლებსაც მკურნალობა გადასარჩენად ესაჭიროებათ. ვერც იმას აგვიხსნის ვინმე, რატომ არის 70 წლის კაცისთვის ვარიკოზული ვენების გადაუდებელი ოპერაცია კოსმეტიკური ჩარევა და რატომ არ აფინანსებს სახელმწიფო? ჰო, არ აქვს მნიშვნელობა ასაკს, თუ ვენებზე ოპერაცია გჭირდებათ, გეუბნებიან, რომ ეს კოსმეტიკური ხასიათისაა და სახელმწიფოს არ აქვს უფლება, დააფინანსოს. ანუ, სახელმწიფოს აზრით, 70 წლის კაცი ფეხების ფორმაზე ზრუნავს და არა ჯანმრთელობაზე**

როცა ჯანდაცვაზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით წამლის ფასს. ისე, ძალიან საინტერესოდ თქვა რამდენიმე თვის წინათ პარლამენტარმა და „პსპ“-ს მფლობელმა **კახა ოქრიაშვილმა**, საქართველოში წამალი კი არ არის ძვირი, ხელფასებია დაბალიო. რა თქმა უნდა, როცა პარლამენტარი ხარ და სუფთა ხელფასი თვის ბოლოს 4 ათას ლარს უკაკუნებს, სხვისი ხელფასი დაბალი მოგეჩვენება და არც წამლის ფასი იქნება მაღალი. სახელმწიფოს ამ მიმართლებით სრული ანარქია აქვს. ანარქიაა ის, რომ, მაგალითად, **სოდის აბები, რომელიც ევროპაში 1,5 ევრო ღირს, საქართველოში 120 ლარად იყიდება. რაც მთავარია, ევროპაში თუ იყიდი, საქართველოში ორ კოლოფზე მეტს ვერ შემოიტან, კანონი არ განებებს და ეს კანონიც სწორედ საფთიაქო ქსელებზე მორგებული გვგონია. არ არის საჭირო პროფესორობა და ანტიმონოპოლიურ სამსახურზე ტირილი, ხომ არსებობს კონკურენციის სააგენტო, რომელსაც ცხონებული ნოდარ ხადური ხელმძღვანელობდა?** ახლა ვინ არის მისი ხელმძღვანელი, ეგებ ის მაინც გვითხრან და დაავალონ, რომ საფთიაქო ბაზარზე არსებული მდგომარეობა შეისწავლოს, მაგრამ ასე არ მოხდება და იცით, რატომ? იმიტომ, რომ **წამლების ბიზნესიდან კონკრეტულ ადამიანებს ყოველთვიურად მილიონობით შემოსავალი მისდით და მოსახლეობის გამო ისინი ამ შემოსავალზე უარს არ იტყვიან.**

ახლა იმას დაგისაბუთებთ, რატომ არის საფთიაქო ქსელი შეკრული და რატომ არიან ისინი ერთმანეთთან მოლაპარაკებულები. **სოდის აბები ავიღოთ. ნებისმიერმა ქსელმა აღნიშნული წამალი 50-ჯერ (?!) რომ გააიაფოს, მაინც სოლიდური მოგება დარჩება და, ახლა თუ ყიდის დღეში ათ კოლოფს, გაყიდის ათჯერ მეტს და იმაზე მეტს მიიღებს, ვიდრე ასჯერ გაძვირებული წამლით, მაგრამ არც ერთი ქსელი არ აიაფებს.** რომ ვთქვათ, ამდენს ვერ ხვდებიანო, ძალიან გულუბრყვილოები უნდა



ვიყოთ. ისინი ძალიან კარგად ხვდებიან ყველაფერს და, პირველ რიგში, იმას, რომ **საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საჭმელს არ შეჭამს, გადასახადს არ გადაიხდის, ყველაფერს მოიკლებს, მაგრამ წამალს აუცილებლად იყიდის. ეს იციან კარგად საფთიაქო ქსელის შეფებმა და სახელმწიფოს მიერ „გამწვანებული“ ადამიანების ყვლეფას წლიდან წლამდე წარმატებით ახორციელებენ.** რაც მთავარია, სახელმწიფო მათ ამ ყველაფერში ეხმარება და ერთხელაც არავის დასცდენია ის, რომ ეგებ წამლები გაიაფდეს და მიუახლოვდეს იმ ფასებს, რომლებიც რეგიონში გვაქვს. **რატომ უნდა ღირდეს ჩვენზე მძლავრი ეკონომიკის მქონე თურქეთში წამალი ათჯერ და ოცჯერ უფრო იაფი? რატომ უნდა ულირდეს საქართველოს მოქალაქეს თურქეთში წასვლა და წამლის იქ ყიდვა, თუ დიდი ოდენობით სჭირდება?** იმიტომ, რომ ასეთები ერთეულებია, მასა კი იძულებულია, აქ შეიძინოს, აქ დაიხარჯოს. პენსიონერი ვერ წავა თურქეთში წამლის საყიდლად და, როცა პენსია 200 ლარია და წამალში თვეში 100 ლარი მიდის, ისიც ხომ უნდა იფიქროს ვინმემ, რომ ეს 100 ლარი საჭმელსა და გადასახადებზე, უბრალოდ, არავის ეყოფა?! ზაფხულისთვის პენსიის მომატება რომ იგეგმება, ეგეც ვიცით, მაგრამ 20 ლარით გაზრდილ პენსიას ვერავინ იგრძნობს. ახლავე შეგვიძლია გადაჭრით იმის თქმა, რომ ამ ნამატს ავტომატურად მოჰყვება პროდუქტისა და წამლების ფასის ზრდა, მოსახლეობამ შვება რომ არ იგრძნოს. თითქოს ყველაფერი შემთხვევით ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ **შემთხვევითობა ერთხელ ხდება, მრავალჯერ მომხდარი კი უკვე კანონზომიერებაა. ჰოდა, ამ კანონზომიერებაშია ჩასმული ის, რომ რამდენჯერაც პენსია იმატებს, იმდენჯერ ზუსტად იმ პროცენტულობით იმატებს წამლის ფასი და პენსიონერი შვებას ვერ გრძნობს.**

ჰოდა, სანამ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას დაგვაყვედრით, ბატონებო, სანამ იმაზე დაიწყებთ საუბარს, რომ თურმე რეგიონში კი არა, ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში უპრეცედენტო პროგრამა განახორციელეთ, გადახედეთ მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს, დააკვირდით იმას, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას 22 მილიონი ლარი მოაკლდა, დააკვირდით იმას, რომ ფასების გათანაბრებით მოსახლეობას გადასახადი ეზრდება და მერე გველაპარაკეთ. მანამდე კი, სანამ უპრეცედენტო პროექტებზე დაიწყებთ საუბარს, ორიოდე კვირის წინ რუსეთში გადაღებულ ვიდეოსაც მოუსმინეთ, სადაც ქვეყნის პრემიერს, **დიმიტრი მედვედევს,** ერთ-ერთი კორპუსის წინ მოხუცმა ქალმა სთხოვა: ორი კვირაა, ცხელი წყალი აღარ მოდის ჩვენთან და იქნებ დაავალოთ შესაბამის სტრუქტურებს, პრობლემა მოაგვარონო. გესმით, ბატონებო, ცხელი წყალი აღარ მოდის ორი კვირააო. მოგვდიოდა ჩვენც თავის დროზე და... არ იყო ეს უპრეცედენტო!

**ბესო ბარბაქაძე**

დასავლური ფასეულობები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც კი ნეგატიურ კონტექსტში დაიწყებს მსგავს ვითარებაზე ლაპარაკს, მყისვე გამოჩნდებიან დამცველები — ყველაფრისმცოდნე „სამოქალაქო აქტივისტები“, რომლებიც თავდაყირა დააყენებენ ისტორიას და დაგადანაშაულებენ, რომ „პიროვნების აღქმის პრობლემა“ გაქვს, რომ არასაკმარისად ხარ განვითარებული ესთეტიკური და სულიერი კუთხით, მოქცეული ხარ კომპლექსების მარწუხებში და ვერ გაგიგია, რომ ადამიანურ სიყვარულს არ აქვს საზღვრები და ადამიანებს შორის გრძნობების გამოვლენამ არ იცის რასა, სქესი, ასაკი და სხვა ნიუანსები. ყველაზე საინტერესო არის ის, რომ ეს დამცველები თვითონ ტრადიციული ურთიერთობებით ცხოვრობენ, ვითარებას გვერდიდან უყურებენ და ამაში ცუდს ვერაფერს ხედავენ.**

# ახალ თაობას არწმუნებენ, რომ ჰომოსექსუალიზმი ბუნებრივი მოვლენაა

**შორეულ 1960-იან წლებში ახალი ზელანდიის პატარა ქალაქში მცხოვრებმა ახალგაზრდა ქალმა კიმ გროუვმა ცხოვრებისეული ისტორიების ხელსახოცებზე ხატვა დაიწყო. ის ამ ხელსახოცებს მეგობარ რობერტოს ჩუქნიდა ხოლმე, რომელსაც მოგვიანებით ცოლად გაჰყვა. თითოეულ ნახატს ჰქონდა მოკლე ფრაზა. ეს ცხოვრებისეული ისტორიები ძალიან საინტერესო იყო, თითოეული ფრაზა მთავრდებოდა სიტყვებით „Love is“.**

„მე ვაკეთებდი პატარა ჩანახატებს, რათა მასთან მიმეტანა ჩემი გრძნობა... ეს იგივე იყო, რაც ჩემი ემოციების დღიურების წერა. ჯერ დავხატე წვეთი, რომელიც გოგონად გადაიქცა, შემდეგ დავხატე მეორე წვეთი — ბიჭი, რომელიც ამ გრძნობის მიზეზი იყო“, — ამბობდა კიმი.

შემდეგ გამოვიდა კომიქსების წიგნი, რომელიც მოიცავდა კიმის ათეულობით ნახატს. გამოცემის უფლება უამრავმა ქვეყანამ შეიძინა და მალე ბევრისთვის საყვარელმა ფრაზებმა სუვენირები (მაისურები, ფინჯნები და სხვ.) დაამშვენა. 1990-იანი წლების დასაწყისში კი ერთმა თურქულმა კომპანიამ წიგნის გამოცემის უფლება შეიძინა და მას შემდეგ დაიწყო კიმის ისტორიების ბეჭდვა. იმ მომენტისთვის რობერტო უკვე მკვდარი იყო, მაგრამ ხსოვნა, უფრო ზუსტად მისდამი გრძნობები კიმში დღესაც ცოცხლობს და მათ, ვინც 1990-იან წლებში ან მოგვიანებით ყიდულობდა საღეჭ რეზინს Love is-ს, კარგად ახსოვთ ნამდვილი სიყვარულის ეს ამაღელვებელი ისტორიები.

ამ პატარა შესავლის მიზანიც ის არის, მკითხველისთვის გაგვეხსენებია ის ოჯახური ფასეულობები, რომლებიც პოპულარული იყო და ეჭვს არ იწვევდა, სულ რაღაც, 30 წლის წინათ, სხვათა შორის, ევროპაშიც... იმ ევროპაში, რომელიც დღეს სულ სხვა სიყვარულის პროპაგანდას ეწევა.

*** გერმანია. 2019 წლის 30 ოქტომბერი.** TW NOW-მა მედიაჯგუფ RTL-ის ვიდეოპორტალმა დაიწყო ახალი რეალური შოუს ჩვენება, ეს არის გეებისთვის განკუთვნილი პირველი შოუ გერმანიაში — **„მშვენიერი პრინცი“** (Prince Charming). შოუს ორიგინალური Prince Charming ფორმატი ეკუთვნის ამერიკულ კომპანიას, რომელიც მას 2016 წლიდან აჩვენებს. „პროგრამის ფორმატში 20-მა პრეტენდენტმა უნდა იბრძოლოს არა მხოლოდ მთავარი გმირის გულის დასაპყრობად, არამედ სხვა კანდიდატებთან ურთიერთობისთვისაც...“

პროგრამის ეთერში გაშვებამდე გერმანიაში თითქმის ყველა ბოძზე გააკრეს სარეკლამო პლაკატები, რომლებზეც გამოსახული იყვნენ შოუს მონაწილენი ერთმანეთის კოცნისას. თითოეულ პლაკატს ჰქონდა წარწერა. აი რამდენიმე სლოგანი:

სიყვარული — ეს არის, იყო „ცისფერი“.

რომანტიკა — ეს არის, იყო „ცისფერი“.

იყო ძლიერი, ნიშნავს იყო „ცისფერი“ და ა.შ.

აქ, ალბათ, ბევრს გაახსენდება ძველებური საღეჭი რეზინები Love is, რომლებითაც გულუბრყვილო გოგონა მსოფლიოს უზიარებდა თავის ჭეშმარიტ გრძნობებს და, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდა, როგორ ტრანსფორმაციას განიცდიდა ცნება სიყვარული, სულ რაღაც, 3 ათეული წლის შემდეგ.

**ლაპარაკი, რა თქმა უნდა, არ არის იმაზე, რომ ადამიანები სექსუალური კუთვნილების მიხედვით დავყოთ ნორმალურებად და არანორმალურებად, მაგრამ, თუკი წარმოვიდგენთ, რა ღირს სრულიად გერმანიაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის თითქმის ყველა გაჩერებაზე გამოკრული ამ შოუს მხოლოდ ერთი ნაბეჭდი რეკლამა, ყოველგვარი ეჭვი გაქრება — ეს უკვე აღარ არის „გადაცემა მცირე რაოდენობის ადამიანებისთვის“, ეს ჰომოსექსუალიზმის რეალური პროპაგანდაა ქვეყნის მასშტაბით.**

გერმანია ისედაც განთქმულია თავისი ტოლერანტული დამოკიდებულებით ნებისმიერი არატრადიციული (თუმცა ამჟამად, ალბათ, უკვე აღარ შეიძლება ამ სიტყვის გამოყენება, რადგან ყველაფერი ტრადიციულია) სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენელთა მიმართ — თითქოს აქ განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ გეილობის ასეთი მასშტაბური შეტევა არასდროს ყოფილა. **ეს ყველაფერი გადის ადრე დაწესებული საზღვრებიდან, სულ უფრო ძლიერდება და ემსგავსება ამერიკულს, სადაც გეითემი, დიდი ხანია, დაეუფლა ინიციატივას და უზარმაზარ რეალურ ძალაუფლებას, ხოლო გეიმოძრაობის ცალკეული წარმომადგენლები უკვე აღარც მალავენ თავიანთ სექსუალურ ორიენტაციას, პირიქით — ყველანაირად ხაზს უსვამენ, რომ არიან ჰომოსექსუალური თემის წარმომადგენლები.**

მაგალითად, სან-ფრანცისკოში მცხოვრებთა 15,4% დაუფარავად უწოდებს თავს გეის, ლესბოსელსა და ბისექსუალს, **როგორც კი ნეგატიურ კონტექსტში დაიწყებს მსგავს ვითარებაზე ლაპარაკს, მყისვე გამოჩნდებიან დამცველები — ყველაფრისმცოდნე „სამოქალაქო აქტივისტები“, რომლებიც თავდაყირა დააყენებენ ისტორიას და დაგადანაშაულებენ, რომ „პიროვნების აღქმის პრობლემა“ გაქვს, რომ არასაკმარისად ხარ განვითარებული ესთეტიკური და სულიერი კუთხით, მოქცეული ხარ კომპლექსების მარწუხებში და ვერ გაგიგია, რომ ადამიანურ სიყვარულს არ აქვს საზღვრები და ადამიანებს შორის გრძნობების გამოვლენამ არ იცის რასა, სქესი, ასაკი და სხვა ნიუანსები. ყველაზე საინტერესო არის ის, რომ ეს დამცველები თვითონ ტრადიციული ურთიერთობებით ცხოვრობენ, ვითარებას გვერდიდან უყურებენ და ამაში ცუდს ვერაფერს ხედავენ.**

მათ ავიწყდებათ ერთი რამ: ბავშვის **მენტალიტეტი ყალიბდება იმ გარემოში, რომელშიც იზრდება, და იმ მოცემულ მომენტში არსებული მორალური ნორმებით.** და, თუ ტრადიციებსა და ღირებულებებზე ჩამოყალიბებული თვალსაზრისის მქონე ზრდასრული ადამიანი მხოლოდ მხრებს აიჩეჩს და თავს გადააქნევს,




**როდესაც ტენდენცია მასობრივად ვრცელდება, მას შეუძლია ზეგავლენა იქონიოს ყველაზე, მათ შორის, მოზარდებზეც, რომლებიც უსმენენ დასავლურ მუსიკას, უყურებენ სერიალებს, ითვისებენ დასავლურ კულტურას და მასთან ერთად საეჭვო თანამედროვე ფასეულობებს. რით დასრულდება ეს ყველაფერი ევროპისთვის, უცნობია, მაგრამ კარგს არ უნდა ველოდოთ, მით უმეტეს, ისეთ პრობლემასთან ერთად, როგორიც არის უკანონო მიგრაცია. მიგრანტები კი, რომლებიც შეესივნენ ევროპას, სრულიად არ იზიარებენ თანამედროვე ევროპელთა თვალსაზრისს სქესთაშორის ურთიერთობებზე და თავიანთ სიტყვას აუცილებლად იტყვიან**

როცა მსგავს სარეკლამო პლაკატებს დაინახავს, ბავშვი ყველაფერს სხვანაირად აღიქვამს. ის ჩათვლის, რომ ეს ნორმალურია. **აი ასეთი აგიტაციის მთავარი ამოცანა: დაარწმუნონ ახალი თაობა, რომ ჰომოსექსუალიზმი ბუნებრივია და აქ განსაკუთრებული არაფერია.**

სტატისტიკის თანახმად, გერმანიაში ლგბტ მოძრაობას მოსახლეობის 7,4% მიეკუთვნება, მამაკაცების 3,1% ჰომოსექსუალია, თუმცა ბერლინის ტირგარტენში (სხვათა შორის, 2001-2014 წლებში ბერლინის ბურგომისტრი იყო **კლაუს ვოვერაიტი** — გეი) ხშირად ხდება შემთხვევები — და ჰომოსექსუალებზე ნადირობენ ჩაქუჩებით ან ასხამენ მათ საღებავს. **ლაიფციგის უნივერსიტეტის გამოკითხული სტუდენტების 41%-ს მიაჩნია, რომ საზიზღრობაა, როცა ჰომოსექსუალები ერთმანეთს საჯაროდ კოცნიან.**

ამასთანავე, სკოლებში ატარებენ გაკვეთილებს საგანში **„90 წუთი სექსუალური მრავალფეროვნების შესახებ“**, რომელიც შემუშავებულია ბერლინისა და ბრანდერბურგის სექსუალური უმცირესობების მიერ ბერლინის მთავრობის (ბურგომისტრ ვოვერაიტის მიერ, რომელმაც საჯაროდ განუცხადა საზოგადოებას: „მე ვარ გეი, და ეს არის ო'კეი!“) მხარდაჭერით.

ამის შემდეგ ბერლინელი მოზარდები ერთმანეთზე ატარებენ ექსპერიმენტებს და იღებენ ჰომოსექსუალურ გამოცდილებას, მაგრამ მათი მხოლოდ ძალიან ცოტა პროცენტი ხდება ჰომოსექსუალი, თუმცა გამოცდილება უკვე აქვთ.

ჩვეულებრივი თანამედროვე არგუმენტი „მრავალფეროვანი სექსუალური ცხოვრების“ დასაცავად ასეთია: თუ ადამიანმა გადაწყვიტა სექსუალური გამოცდილების მიღება, მაშინ ეს მისი შეგნებული არჩევანია, რომელშიც ის აბსოლუტურად თავისუფალია.

მაგრამ ასეთი დამცველები რატომღაც ხმას არ იღებენ იმაზე, რომ მიმდინარეობს ჰომოსექსუალიზმის მასირებული პროპაგანდა.

არადა, **ადამიანებს შორის განსხვავების მისახვედრად 2-3 სასკოლო გაკვეთილიც საკმარისია. ის კი, რაც ხდება, სრულიად სხვაა. ეს არის სექსუალური ორიენტაციის შეცვლისკენ რეალური მოწოდება. ეს არის დარწმუნება, გარკვეული სახის მოტივაცია და პროპაგანდა ყალბი ლოზუნგით: „იცხოვრე თავისუფლად და სრულფასოვნად!“**

და ისე, როგორც მიღებულია ამერიკაში, ევროპაშიც დაიწყეს ვითარების მიყვანა აბსურდამდე — **სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებით უმცირესობის სასარგებლოდ, ტრადიციული ოჯახებისთვის ბავშვების წართმევითა და გეიწყვილებისთვის გადაცემით და ამ ყველაფრით უმცირესობის მაღლა დაყენებით უმრავლესობაზე.**

პატარა მაგალითი: გერმანიაში არსებობს ბევრი საგადასახადო სალარო და დაქორწინებულ ადამიანებს შეუძლიათ აირჩიონ თავიანთი სალარო, რათა ცოტა ეკონომია გააკეთონ გადასახადების გადახდისას. გეიწყვილებს, რომლებიც არაოფიციალურად არიან დაქორწინებულნი, შეუძლიათ აიღონ შეღავათიანი გადასახადების სალარო, ოფიციალურად დაქორწინებულებს კი ასეთი შესაძლებლობა არ აქვთ.

და მაინც მთავარი კითხვა — **ვის სურს, მასობრივად შეცვალოს ევროპელთა მენტალიტეტი საბაზო ფასეულობების შეცვლით, ისეთით, როგორიც არის ტრადიციული ოჯახი და ბავშვები? ყველამ შესანიშნავად იცის შობადობის სტატისტიკა, რომლის გრაფიკიც განუხრელად ეშვება ქვევით. უკვე 2030 წლისთვის ევროპის სახე უფრო შავგვრემანი იქნება, ხოლო რა მოხდება 2050 წელს, ამის წარმოდგენაც კი მძიმეა.**

ჰომოსექსუალიზმით ასეთი მასირებული პროპაგანდა იწვევს იმ ევროპის გადაგვარებას, რომელიც არსებობდა დღემდე. შეიძლება დაისვას კითხვა — რა შუაშია აქ საქართველო ან სხვა მართლმადიდებელი ქვეყნები, მაგალითად, რუსეთი? ამ ევროპელებს რაც უნდათ, ის უქნიათ თავიანთ ქვეყნებში, ვისთანაც უნდათ, მასთან დაწვნენ, ჩვენ რა? მოცემულ მომენტში **რუსეთს თავისი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ჰომოსექსუალიზმის მიმართ, საქართველოში კი ბოლო ხანს ძალიან გააქტიურდნენ ე.წ. ადამიანის უფლებების დაცვის ნიღბით მოქმედი, დასავლეთიდან გულუხვად დაფინანსებული ძალები, რომლებმაც იერიში მიიტანეს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და იმ ფასეულობებზე, რომლებითაც დღემდე მოვიდა ქართველი ერი.**

როდესაც ტენდენცია მასობრივად ვრცელდება, მას შეუძლია ზეგავლენა იქონიოს ყველაზე, მათ შორის, მოზარდებზეც, რომლებიც უსმენენ დასავლურ მუსიკას, უყურებენ სერიალებს, ითვისებენ დასავლურ კულტურას და მასთან ერთად საეჭვო თანამედროვე ფასეულობებს.

რით დასრულდება ეს ყველაფერი ევროპისთვის, უცნობია, მაგრამ კარგს არ უნდა ველოდოთ, მით უმეტეს, ისეთ პრობლემასთან ერთად, როგორიც არის უკანონო მიგრაცია; მიგრანტები კი, რომლებიც შეესივნენ ევროპას, სრულიად არ იზიარებენ თანამედროვე ევროპელთა თვალსაზრისს სქესთაშორის ურთიერთობებზე და თავიანთ სიტყვას აუცილებლად იტყვიან.

**ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

**საქართველოში ტრადიციულ ფასეულობებზე დაწყებული შტურმი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. გეი და ლესბოპროპაგანდა პიკს აღწევს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მომავალ გაზაფხულზე აუცილებლად ეცდებიან, რომ გეიაღლუმი ჩატარდეს და ლგბტ პირებმა ამაყად გაიარონ ქუჩებში. ოღონდ ეს მცდელობა, როგორც არასდროს, ისე იქნება მხარდაჭერილი დასავლეთიდან და უპრეცედენტო დაფინანსებაც წამოვა.**

პრობლემა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ევროპული ფასეულობებით» გამოწვეული ზნეობრივი დეგრადაცია

**რამდენიმე თვის წინათ შიდა ქართლის პოლიციამ არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის დამზადება-გავრცელების ბრალდებით რამდენიმე პირი პასუხისგებაში მისცა. მაშინ საქმეში უცხო ქვეყნის მოქალაქეც იყო ჩართული, რომელიც ანალოგიური დანაშაულისთვის ადრე სხვა ქვეყანაში უკვე იყო გასამართლებული. საინტერესოა, რომ დაკავებულთა შორის არიან ბავშვების მშობლები და პედაგოგები.**



გასულ კვირაში შსს-მ ანალოგიური ბრალდებით შიდა ქართლში კიდევ 11 პირი დააკავა. სამწუხაროდ, ისევ მშობლები არიან საქმეში ჩართული და, იმის მიუხედავად, რომ თავად მშობლები ბრალდებას უარყოფენ, პროკურატურამ წარმოადგინა ვიდეომტკიცებულებები, რომლებშიც ჩანს, რომ მშობლები ესწრებიან პროცესს, როცა მათ არასრულწლოვან შვილებს ფოტოებს შიშველს უღებენ. ახლა, **თუ ვინმე იტყვის, მშობელი ვერ ხვდებოდა, რატომ უღებდნენ მათ სრულიად შიშველ შვილებს ფოტოებს და შემდეგ ამ ფოტოებში 2 და 3 ათას ლარს რატომ აძლევდნენ, უბრალოდ, არ დავიჯერებთ. თავად განსაჯეთ, თქვენთან რომ მოვიდეს ვინმე და გთხოვოს, თქვენს არასრულწლოვან შვილს შიშველს გადავიღებ, მერე ამ ფოტოებში დიდ ფულს გადაგიხდითო, რა რეაქცია გექნებათ?**

თუმცა, მთავარი პრობლემა არის ის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ამ ტრაგედიას (სხვა სახელს ვერ დავარქმევთ), სათავისოდ იყენებენ. მაგალითად, **ბაია პატარაიამ** განაცხადა: ბავშვები იმიტომ დათანხმდნენ ამ სურათების გადაღებას და იმიტომ არ გააპროტესტეს, რომ სექსუალური განათლება არ აქვთ და, როგორც ვამბობდი, ეს განათლება უნდა შემოვიღოთ, სკოლებში უნდა ვასწავლიდეთო. პატარაიას ლოგიკით, ბავშვებს უნდა სცოდნოდათ სექსუალური ქცევის დეტალები და ასეთი რამ არ მოხდებოდა.

ადრეც არაერთხელ დაგვიწერია, რომ **დასავლეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოები, აგერ უკვე მერამდენე წელია, ცდილობენ, წაგვართვან ყველაფერი, რაც გაგვაჩნია. უფრო ზუსტად, კი არ წაგვართვან, გააუბრალოონ, გოიმობად გამოაცხადონ და წარსულის გადმონაშთად აღიარონ. ასე აქციეს საქილიკოდ ქართული სუფრის ტრადიციები, წინაპართა პატივისცემა და კიდევ ბევრი რამ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ერის საბოლოოდ დამონება ხდება მას შემდეგ, როცა ერი თავის ისტორიას ივიწყებს, ივიწყებს საუკუნეების წინათ დამკვიდრებულ ტრადიციებს და ხდება „თანამედროვე ცხოვრების“ მიმდევარი, ხდება „თავისუფალი“ და ისეთი თავისუფალი, რომ შეუძლია, ქუჩაში გამოვიდეს და იყვიროს: „ჩემი ფუჩუ ჩემია“.**

გასულ კვირას პოლიტიკური პროცესების ფონზე ჩაიკარგა ძალიან მნიშვნელოვანი რამ: საქართველოს კინოთეატრებში გაიმართა პრემიერა ფილმისა, რომელიც ლესბოსურ სიყვარულზეა. **გეიპროპაგანდის შემდეგ ქართველ საზოგადოებას ლესბოსური სიყვარული უჩვენეს და ამტკიცებენ, რომ ეს ყველაფერი ძალიან კარგია, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია, რომ არ „ტეხავს“ და მერე რა, თუ ლესბოსელი ხარ ან გეი, ეს ხმამაღლა უნდა იყვირო და უფრო მეტიც, პროპაგანდა გასწიო.** ის, რომ საქართველოში მიმდინარე ეს პროცესები დასავლეთიდან არის მართული, იქიდანაც გამოჩნდა, რომ ფილმში „და ჩვენ ვიცეკვეთ“ მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლის ნომინაციაზე წარადგინეს ერთ-ერთ ფესტივალზე და ფილმის პროდიუსერებს იმედიც აქვთ, რომ აღნიშნული ფილმი „ოსკარის“ ნომინანტიც გახდება. არადა, თვით ფილმი არც მსახიობების უზადო შესრულებით გამოირჩევა, არც **ო. ჰენრის** ნაწარმოებების დარი სცენარით და, საზოგადოდ, ერთი მდარე ფილმია, მაგრამ, ვინაიდან მას ასეთი მწვავე რეაქცია მოჰყვა, მიხვდნენ დასავლეთში, რომ საჭიროა, ბოლომდე „გააპრავონ“ გეობა და ამიტომ ფილმს ფესტივალიდან ფესტივალზე დაათრევენ უპატრონო ცინდალივით.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ლესბოსელებზე გადაღებულ ფილმს არსად წაიღებენ, რადგან, კვლავ ვიმეორებთ, არსებული პოლიტიკური მოვლენების ფონზე ამ ფილმის პრემიერამ, რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე ათეულმა კაცმა გააპროტესტა, უხმაუროდ ჩაიარა და ასეთი ფილმებისადმი ინტერესი დასავლეთში არ აქვთ. **დასავლეთში, თუ სულში ჩაფურთხებულად არ იგრძნო ერმა თავი, ისე არ გაღიარებენ და ამიტომაც ჯერ მხოლოდ გეის როლის საუკეთესო შემსრულებელს აპიარებენ.**

**ის, რომ საქართველოში მიმდინარე ეს პროცესები დასავლეთიდან იმართება, იქიდანაც გამოჩნდა, რომ ფილმში «და ჩვენ ვიცეკვეთ» მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლის ნომინაციაზე წარადგინეს ერთ-ერთ ფესტივალზე. ფილმის პროდიუსერებს იმედი აქვთ, რომ აღნიშნული ფილმი «ოსკარის» ნომინანტიც გახდება. არადა, თვით ფილმი არც მსახიობების უზადო შესრულებით გამოირჩევა, არც ო. ჰენრის ნაწარმოებების დარი სცენარით და, საზოგადოდ, ერთი მდარე ფილმია, მაგრამ, ვინაიდან მას ასეთი მწვავე რეაქცია მოჰყვა, მიხვდნენ დასავლეთში, რომ საჭიროა, ბოლომდე «გააპრავონ» გეობა და ამიტომ ფილმს ფესტივალიდან ფესტივალზე დაათრევენ უპატრონო ცინდალივით**

სტატისტიკის მიხედვით, პედოფილიის ბრალდებით, მსოფლიოს მასშტაბით ყოველწლიურად არაერთ ადამიანს აკავებენ. თავად განსაჯეთ, მხოლოდ გასულ წელს ამერიკაში ამ ბრალდებით პასუხისგებაში 10 ათას ადამიანზე მეტი მისცეს. ზოგს დაუმტკიცეს ბრალდება, ზოგს — ვერა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს პრობლემა უდიდეს ტვირთად აწევს ზესახელმწიფოს. რა გამოდის? **ამერიკაში სექსუალური განათლება აკლიათ ბავშვებს?! პატარაია ხომ სწორედ ამერიკული მოდელის შემოტანას ითხოვს, ამ სტატისტიკიდან კი ჩანს, რომ ეს მოდელი არ ამართლებს. ანუ, იქ ბავშვებს სექსუალური განათლება აქვთ, მაგრამ, ამის მიუხედავად, არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის ინდუსტრია, პრაქტიკულად, ყვავის.** სხვათა შორის, იმავე ამერიკაში სამიოდე თვის წინათ მასშტაბური საპროტესტო აქციები გაიმართა და მშობლებმა სკოლებიდან სწორედ სექსუალური განათლების წიგნებისა და პროგრამის ამოღება მოითხოვეს, აქაოდა, ამ პროგრამამ ჩვენი შვილები უფრო გარყვნაო. გამოდის, **ამერიკა მიდის იმ გზაზე, რომელზეც ჩვენ დღეს ვართ; ჩვენ კი გვსურს, გადავიდეთ იმ რელსებზე, რომლებიდანაც ამერიკა ცდილობს გადმოსვლას.** ყველაზე საინტერესო ის არის, რომ, როცა ამერიკულ ან ევროპულ მაგალითებს იშველიებენ ქართული არასამთავრობოები, არასოდეს ამბობენ, რომ იქ რაღაცამ არ გაამართლა და იქ ამას ცუდი შედეგი მოჰყვა. პირიქით — ჯიუტად ამტკიცებენ, რომ ეს ძალიან კარგია, რომ პრობლემა მოგვარდა და მერე რა, თუ ამ პროგრამის გასაპროტესტებლად ქუჩაში 200 ათასი მშობელი გამოვიდა?! დიდი ამერიკისთვის ეს თურმე პატარა რიცხვია. ზუსტად ვიცით, იმასაც გვეტყვიან, 330-მილიონიანი ამერიკისთვის 10 ათასზე მეტი ადამიანის დაკავება ბევრი არ არის, პროცენტულად საქართველოში მეტი გამოდისო, მაგრამ ნურას უკაცრავად, ბატონებო! აქ საუბარი იმაზეა, რომ პროცესმა, რომლის დაწყებაც აქ გსურთ, ამერიკაში არ გაამართლა და გინებავთ, პროცენტულად დათვალეთ, გნებავთ — უპროცენტოდ, **სექსუალური განათლების შემოღება სკოლებში გამოსავალი ნამდვილად არ არის!**

ცალკე პრობლემაა იმ მშობლების ქცევა, რომლებიც ამ ყველაფერში ჩართულნი იყვნენ. უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვით, არაფრის მტკიცებას არ ვაპირებთ, მაგრამ, **ვიდეოს რომ დაგიდებენ, რომელშიც მშვიდად უყურებ, როგორ უღებს ვიღაც კაცი შენს არასრულწლოვან შიშველ შვილს ფოტოებს და როგორ გიხდის მერე ამ ფოტოებში მანქანის საყიდელ ფულს, უნდა იცოდე, რომ საქმე კრიმინალთან გაქვს, რადგან ჩვეულებრივი ფოტო ათასები არ ღირს და ისიც შესაძლოა, რომ ყველა სახლში ინახებოდეს ჩვილი ბავშვების შიშველი ფოტოები, რომლებშიც ათასებს არავინ გთავაზობს.** რა თქმა უნდა, ეს პრობლემაა, მაგრამ ზუსტად ისეთივე პრობლემა, როგორიც, მაგალითად, ჩვილების უარმყოფელი მშობლებისაა. პროცენტულად მცირეა, მაგრამ მაინც **არის გარკვეული რაოდენობა იმ დედებისა თუ მამების, რომლებიც შვილებს სანაგვეზე აგდებენ, ახალშობილებს კლავენ. ეს რას დავაბრალოთ: არასწორ სექსუალურ განათლებას? არ იცოდნენ, რომ ბავშვი შეიძლებოდა ჩასახულიყო?** თუ, სკოლაში რომ მიეღოთ სექსუალური განათლება და შემდეგ ჩასახულიყო ბავშვი, აღარ უარყოფდნენ და აღარ გაწირავდნენ სასიკვდილოდ? ეს არის რიგითი კრიმინალი, რომლის მსგავსიც ყველა ქვეყანაში ხდება და მას, სექსუალური განათლებით კი არა, ცნობიერების ამაღლებით, ქართული ტრადიციების დაცვით უნდა ვებრძოლოთ, ჰო, იმ ტრადიციების, რომლებიც წინაპრებმა დაგვიტოვეს და რომელთა გაქილიკება აქტიურად მიმდინარეობს.

ერთი რამ ცხადია — საქართველოში ტრადიციულ ფასეულობებზე დაწყებული შტურმი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. გეი და ლესბოპროპაგანდა პიკს აღწევს და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მომავალ გაზაფხულზე აუცილებლად შეეცდებიან, რომ გეიაღლუმი ჩატარდეს და ლგბტ პირებმა ამაყად გაიარონ ქუჩებში. ოღონდ ეს მცდელობა, როგორც არასდროს, ისე იქნება მხარდაჭერილი დასავლეთიდან და უპრეცედენტო დაფინანსებაც წამოვა. წელს გეიაღლუმის ვერჩატარებისა და მათი დევნის შემდეგ დასავლეთიდან არაერთი ათასი დოლარი გადმოირიცხა ამ ორგანიზაციის გასაძლიერებლად და, ახლა ჩუმად რომ არიან, არ ნიშნავს იმას, რომ არ ემზადებიან; პირიქით — ძლიერდებიან, საზღვარგარეთ წვრთნას გადიან და რეპეტიციებსაც ატარებენ. სწორედ ესაა პრობლემა და არა რამდენიმე ავადმყოფი ადამიანის დაკავება, რომელთა მსგავსი მეტ-ნაკლები ოდენობით ყველა ქვეყანაში არსებობს.

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. პედოფილიის საქმეზე დაკავებულთა ადვოკატმა განაცხადა: „მე ქართული ფილმები მინახავს, მაგალითად, „მაგდანას ლურჯა“ და „არაჩვეულებრივი გამოფენა“, რომლებშიც შიშველი ბავშვები ჩანან. ეს პორნოგრაფიაა?! თქვენ გაქვთ ეგ ფილმები ნახული?!“**

**ბატონო ადვოკატო, „ნახული“ არა, „ლ“ ამოაგდეთ ამ სიტყვიდან და მიხედეთ საქმეს!**

გუშინ, დღეს... ხვალ?
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაუთავებელი მიტინგები, ქალაქის ცენტრალური პროსპექტის გადაკეტვა, სამთავრობო შენობებისა და პარლამენტის ბლოკირება არა მხოლოდ ჩვენ გვიქმნის დისკომფორტს, არამედ აქ ჩამოსულ უცხოელ ტურისტებსა და ბიზნესმენებსაც. გასულ ზაფხულს ანტირუსული გამოსვლების შედეგად დავემშვიდობეთ რუს ტურისტებს, რომელთა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულები ერთად აღებული.**

# მდუღარე დრო

## დაოკდით, ქართველებო!

**საქართველოში, განსაკუთრებით მის დედაქალაქში მიმდინარე პროცესები, რომლებსაც ხშირად პოლიტიკურ პოცესებად მოიხსენიებენ, სავარძლებისთვის ბრძოლაა და მეტი არაფერი. ზაფხულში დაწყებული ბაკქანალია დღემდე გრძელდება და, როგორც ე. წ. პოლიტიკოსების ნაწილი ამბობს, მანამდე გაგრძელდება, სანამ „საოცნებო“ ხელისუფლება დაპირებას არ შეასრულებს 2020 წლის არჩევნების მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარებაზე.**



„ნაცმოძრაობისა“ და მისი განაყოფი „ევროპული საქართველოს“ უტიფარი ლიდერები კატეგორიულად ითხოვენ რიგგარეშე პროპორციულ არჩევნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში დრამატულ მომავალს უწინასწარმეტყველებენ ბიძინა **ივანიშვილს.** მას პოლიტიკურ ავადმყოფსა და ამღვრეული ტვინის პატრონს უწოდებენ, გარემოცვას კი კლოუნების გუნდად მოიხსენიებენ.

ხელისუფლება ჯიუტად აცხადებს, რომ ახსოვს თავისი დაპირება, მაგრამ ობიექტური თუ სუბიექტური ვითარების გამო ვერ ასრულებს... და, ამაში გასაკვირი არაფერია, ვინაიდან სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის, ევროპულშიც, მმართველი პარტიები ხშირად ჰპირდებიან ამომრჩეველს ბევრ რამეს, მაგრამ ვერ ასრულებენ.

დაახლოებით ასეთი განმარტება მოისმინა საზოგადოებამ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **ბიძინა ივანიშვილისგან** სატელევიზიო გამოსვლისას. გარდა ამისა, მან ბევრი სხვაც თქვა, რამაც ხალხი მისდამი ნეგატიურად განაწყო. დარწმუნებული ვარ, საზოგადოება ახლა მაინც მიხვდა ივანიშვილის დამოკიდებულებას ამომრჩევლისთვის მიცემული დაპირებების მიმართ. ასეთი ხომ უამრავი იყო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე და მის შემდეგაც.

ივანიშვილი ოლიმპიური სიმშვიდით აცხადებდა, რომ ყველაფერი შეასრულა, მაგრამ საზოგადოება ბრმაა და ვერ ხედავს.

ლიდერის სიტყვებით გათამამებული მისი პარტიის წევრები, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენლები, თუთიყუშივით იმეორებენ თავმჯდომარის სიტყვებს, ამიტომ **მოსახლეობა არჩევნების მიმართ გულგრილია, მასში ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი არ მონაწილეობს. ხალხს მობეზრდა მიტინგები, სახელისუფლო შენობა-ნაგებობების პიკეტები, გაუთავებელი ღრიანცელი, უწმაწური ლანძღვა-გინება და გაუთავებელი მუშტი-კრივი, ტელეარხების მიერ მოვლენების მიკერძოებულად და არაპროფესიონალურად გაშუქება. ისინი რატომღაც საქართველოს დამაქცევარ ოპოზიციურ პარტიებს უფრო უჭერენ მხარს.** ბევრჯერ გამოვთქვი მოსაზრება და გავიმეორებ: ხელისუფლება დანაშაულებრივ შეცდომას უშვებს, ასეთ მავნებელ პარტიებს ბიუჯეტიდან რომ აფინანსებს. შენ წერე და იკითხე, როგორც პოზიციის, ასევე ოპოზიციის უსაქციელობა კი გრძელდება უსასრულოდ. ნუთუ არ გებრალებათ დაბეჩავებული ჩვენი ხალხი?!

2012 წელს გაცემული დაპირებები 2019 წელსაც რომ არ შესრულებულა, ვის მოეთხოვება პასუხი? ცხადია იმას, ვინც ამ დაპირებებით მოიგო ხალხის გული და მანაც უყოყმანოდ მხარი დაუჭირა ხელისუფლებაში მოსასვლელად.

„ოცნება“, რომელიც, დიდი ხანია, დაეჩვია ტყუილებს, დღეს ვეღარ გადაეჩვევა, ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ მას პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გასულ ზაფხულს გაცემული დაპირება „დაავიწყდა“. გასაკვირია პარტიის ლიდერების სიჯიუტე და თავხედობა, რითაც გამოირჩევა ამ პარტიის გენერალური მდივანი, თბილისის მერი **კახა კალაძე.**

ქალაქის მერი პარტიულ თანამდებობას არ უნდა ითავსებდეს. ის პარტიული საქმეებით, მით უმეტეს, არჩევნებით არ უნდა იყოს დაკავებული, ვინაიდან დედაქალაქის ზღვა პრობლემები მოითხოვს მერის მხრიდან მთელი ყურადღების ქალაქზე კონცენტრირებას.

თბილისისთვის კატეგორიულად მიუღებელია დაწყებული და დაუმთავრებელი სამუშაოები, გადათხრილი ქუჩები, ერთმანეთში არეული ნაგავი, მტვერი და ტალახი, ავტომანქანების სავალი დავიწროებული ქუჩები, გამოუყენებელი ველობილიკები, მოუწესრიგებელი სატრანსპორტო მოძრაობა, გამწვანების დაუსრულებელი სამუშაოები, დანაშაულებრივად და უგუნურად ჩატარებული ტენდერები, ბინძური მტკვარი, დაჭაობებული ტერიტორიები და სხვ.

რაც შეეხება კალაძის განცხადებას შერეულ არჩევნებზე, მერი ამ ინიციატივის გამხმაურებლის როლში იყო, მაგრამ საზოგადოებამ ის ტექსტის ავტორად აღიქვა. განცხადების კატეგორიულმა ტონმა კი ხალხის გაღიზიანება გამოიწვია. ტონი სხვაგვარი უნდა ყოფილიყო და არა კატეგორიულ-მბრძანებლური, დაახლოებით ასეთი — ეს განცხადება კანონია და ყველა უნდა დაემორჩილოსო. სხვას არაფერს ნიშნავს მერის ნათქვამი: **„თემა დახურულია, არავითარი დათმობა არ იქნება“.**

პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე 2020 წლიდან გადასვლა „ქართული ოცნების“ ცალმხრივი პოლიტიკური ინიციატივა იყო. პროპორციული ნულოვანი ბარიერის შემოღება კი, ჩემი აზრით, პოლიტიკური შეცდომაა.

ყურადღება ნაციონალებზეა გადატანილი: „აქ ნათლად იკითხება „ნაციონალური მოძრაობის“ ჩვეული ხელწერა, რომელიც სიცრუის ტირაჟირებით ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას“. **„ოცნება“ სიცრუეში ადანაშაულებს „ნაცმოძრაობას“, „ნაცმოძრაობა“ კი — „ოცნებას“. ერთი სიტყვით, „ღორმა ღორს უთხრა: შე დრუნჩიანოო“. აი ამ ორის ჭიდილში, გაუთავებელსა და ქვეყნისათვის დამანგრეველში, ხალხი აღარავის ახსოვს, რაც ადამიანებში ორივე პარტიისადმი ზიზღსა და უნდობლობას იწვევს. დარწმუნებული ვარ, ნაცები თავიანთი განშტოებებით რომ არ ყოფილიყვნენ, ამომრჩეველი ზედაც არ შეხედავდა მატყუარა, უმაქნის „ოცნებას“, ნეპოტიზმით, მომხვეჭელობით, არაპროფესიონალიზმით, მახინჯი საკადრო პოლიტიკით სახელგანთქმულს.**

**„ოცნება“ სიცრუეში ადანაშაულებს „ნაცმოძრაობას“, „ნაცმოძრაობა“ კი — „ოცნებას“. ერთი სიტყვით, „ღორმა ღორს უთხრა: შე დრუნჩიანოო“. აი ამ ორის ჭიდილში, გაუთავებელსა და ქვეყნისათვის დამანგრეველში, ხალხი აღარავის ახსოვს, რაც ადამიანებში ორივე პარტიისადმი ზიზღსა და უნდობლობას იწვევს. დარწმუნებული ვარ, ნაცები თავიანთი განშტოებებით რომ არ ყოფილიყვნენ, ამომრჩეველი ზედაც არ შეხედავდა მატყუარა, უმაქნის „ოცნებას“, ნეპოტიზმით, მომხვეჭელობით, არაპროფესიონალიზმით, მახინჯი საკადრო პოლიტიკით სახელგანთქმულს**

კოაბიტაცია, რომელიც „ოცნებამ“ ხალხს შესთავაზა, სულაც არ იყო გამოწვეული ჰუმანიზმით, მას „ბუა“-ს ფუნქცია უნდა შეესრულებინა: არ აგვირჩევთ და იცოდეთ, ისევ ნაციონალები მოვლენ ხელისუფლებაში! 2012 წლიდან ვტრიალებთ ამ წრეზე, თუმცა არც მანამდე გვქონდა მშვიდი ცხოვრება. 30 წლის განმავლობაში ვერც ერთი არჩევნები ვერ ჩავატარეთ ძალის გამოყენებისა და სახალხო არეულობის გარეშე. „ოცნებაც“ ხომ **სააკაშვილის** გაუსაძლისი სადამსჯელო რეჟიმის მიერ უკიდურესობამდე მიყვანილი ხალხის მხარდაჭერის შედეგად მოვიდა?!

არც ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში არ არის ისეთი პოლიტიკური დაპირისპირება, მუშტი-კრივი, ძალადობა, როგორც საქართველოში. დსთ-ის წევრი არც ერთი ქვეყნის ტელესივრცე არ არის გაჯერებული ისეთი თოქშოუებით, რომლებშიც ე.წ. პარტიული ელიტა, ექსპერტები, საზოგადოების ნაწილი ტალახს ესვრიან ერთმანეთს. ამ ამაზრზენმა ვითარებამ ხალხს ტელევიზია შეაძულა, განსაკუთრებით „ტვ-პირველი“, სადაც ჟურნალისტები გრიგოლია, ჟიჟილაშვილი, სანაია, ნაცვლად ნეიტრალური და ობიექტური პოზიციისა, მხარედ გვევლინებიან, ოპოზიციის მხარდამჭერებად. ამის შემყურე საზოგადოება სასოწარკვეთილი, დაბეჩავებული, საგონებელში ჩავარდნილი, უიმედოდ სვამს კითხვას: გვეშველება რამე?

კეთილგონიერი საზოგადოება ამბობს, რომ უპასუხისმგებლო „ქოც-ნაცებსა“ და სხვა პარტიებს მხოლოდ თანამდებობები, ბიუჯეტის, ე.ი. ხალხის ფულით უზრუნველი ცხოვრება, დროსტარება, უცხოეთში ბიზნესკლასით გუნდგუნდად ფრენა და ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში ცხოვრება ხიბლავთ და არა ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობა სურთ. **პარლამენტის ბლოკირებით, პოლიცია-ოპოზიციის პერმანენტული შეხლა-შემოხლის ფონზე გაუთავებელი პიკეტებით, მიტინგებით, ქალაქის პარალიზებით ხალხი შეღონებულია. ამ დროს ქალაქის მერი და პარლამენტის თავმჯდომარე კი მიემგზავრებიან იტალიაში გასართობად. რა ჰქვია ამას, თუ არა ხალხის შეურაცხყოფა და მასხრად აგდება?!**

„ოცნება“ ისეა დარწმუნებული მომავალ გამარჯვებაში, რომ ზემოთ მოყვანილ კურიოზულ ფაქტს არაფრად აგდებს. ივანიშვილმა განაცხადა: არჩევნებში 50%-ზე მეტს დავაგროვებთო.

რა გაეწყობა. რომ იტყვიან, ძალა აღმართს ხნავს. ეს ძალა ფულია, მაგრამ არც ოპოზიციაა უფულო, განსაკუთრებით — ნაცები, თუმცა, მიუხედავად ამისა, ის აქციებზე ხალხის საჭირო რაოდენობას ვერ აგროვებს, ხელისუფლებას რომ გადაჭრით შეუტიოს, თუმცა ვინ იცის...

მათ ძიძგილაობაში **ქვეყნის ეკონომიკა სულს ღაფავს, ლარი უფასურდება, ხალხის სოციალური პირობები უარესდება, დამშეული მოსახლეობა ქვეყნიდან გარბის. „საქსტატის“ მონაცემებით, გასულ წელს 76 367 ადამიანმა დატოვა ქვეყანა. ეს მონაცემი მეტია 2017 წლის მონაცემზე — 67 269 ადამიანი. საფრანგეთის შს მინისტრმა განაცხადა, რომ „2019 წლის პირველ ნახევარში საქართველო იყო პირველ ადგილზე თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობით. ეს ანომალიაა, რადგან საქართველო საფრანგეთის მიერ აღიარებულია უსაფრთხო ქვეყნად“.**

აი, ასეთ ცრუ წარმოდგენას უქმნის ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობებს. ქვეყანა, რომელშიც სამუშაო ადგილების დეფიციტია, საწარმოები, ფაბრიკა-ქარხნები არ მუშაობს, ექსპორტზე გასატანი პროდუქციაც აბსტრაქციის საგანია; ჩვენი ექსპორტი ადამიანური რესურსია, ხალხი, რომელიც მასპინძელი ქვეყნების კანონმდებლობის დარღვევით ემიგრანტად რჩება იქ და მძიმე ფიზიკური შრომით მოპოვებული ფულით კვებავს შინ დატოვებულ ოჯახს. უცხოეთში ფეხმოკიდებულს ოჯახიც გადაჰყავს იქ საცხოვრებლად. ასე იცლება ისედაც მცირერიცხოვანი საქართველო, ქართველების ნაცვლად კი ქვეყანაში უამრავი გადამთიელი შემოედინება.

ამის შემყურე საქართველოს ხელისუფლება, ნაცვლად თავის ქებისა და ყოყოჩობისა, ნამდვილი საქმით უნდა იყოს დაკავებული — ხალხს უნდა დაანახვოს, რომ, თუ იშრომებს, შედეგიც არ დააყოვნებს. ასე რომ მოქცეულიყო, არც დაპირებული პროპორციული სისტემის შერეულზე გაცვლა დასჭირდებოდა და არც ოპოზიცია დაუპირისპირდებოდა ასე მწარედ, არც ქვეყანა იქნებოდა უმძიმეს მდგომარეობაში.

თუმცა ხელისუფლებას სადარდელი ნაკლები აქვს, რადგან უცხოეთში გადახვეწილი ცოცხალი ძალა აქ პრობლემებს აღარ უქმნის და ფულს კი გვიგზავნის, რომელმაც გასულ წელს პირდაპირ ინვესტიციებს 200 მილიონი დოლარით გადააჭარბა. ეს იმას ნიშნავს, რომ ემიგრაციის მაჩვენებელი იზრდება, ხოლო უცხოური ინვესტიციები მცირდება.

გაუთავებელი მიტინგები, ქალაქის ცენტრალური პროსპექტის გადაკეტვა, სამთავრობო შენობებისა და პარლამენტის ბლოკირება არა მხოლოდ ჩვენ გვიქმნის დისკომფორტს, არამედ აქ ჩამოსულ უცხოელ ტურისტებსა და ბიზნესმენებსაც. გასულ ზაფხულს ანტირუსული გამოსვლების შედეგად დავემშვიდობეთ რუს ტურისტებს, რომელთა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულები ერთად აღებული.

ჩვენი უგუნური პოლიტიკოსების წყალობით ზაფხულის ტურიზმი ჩავარდა. ანალოგიური რამ არის მოსალოდნელი ზამთრის ტურიზმშიც, ვინაიდან რუსეთიდან შეკვეთები სასტუმროს ნომრებზე არ არის. ასე ამბობენ გუდაურის, ბაკურიანისა და ზამთრის სხვა კურორტების სასტუმროების მეპატრონეები.

ბიძინა ივანიშვილმა ღირსეული პიროვნებები კი არ დაიყენა გვერდით, რომლებიც, საბედნიეროდ, ბევრი გვყავს, არამედ უსახური ხალხით დააკომპლექტა პარლამენტი და მთავრობა.

გემოვნება აქვს ასეთი და რა ქნას?!

გონს მოდით და დაოკდით, ქართველებო!

**ომარ მარგველაშვილი,**
**საქართველოს საინჟინერო აკადემიიის ვიცეპრეზიდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინერო აკადემიების წევრი, საქართველოსა და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი**

**სლოვაკეთამდე ცოტა ხნით ადრე თავისი ოქროს მარაგი (100 ტ) ბრიტანეთიდან დაიბრუნა პოლონეთმა. მოტივად დაასახელეს მსოფლიოში გეოპოლიტიკური ვითარების გართულება. კიდევ უფრო ადრე ამერიკასა და ინგლისში შენახული ოქროს მარაგები დაიბრუნეს თურქეთმა, გერმანიამ და სხვა ქვეყნებმა. გარდა ამისა, ბევრი ქვეყანა ბოლო წლებში სულ უფრო მეტ ოქროს ყიდულობს მარაგების გასაზრდელად.**

ამბები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სად არის ჩვენი ოქროს მარაგი, თუკი საერთოდ გაგვაჩნია?

## ევროპის ქვეყნები ამერიკასა და ინგლისში შენახულ ოქროს მარაგებს იბრუნებენ




**სლოვაკეთის ყოფილმა პრემიერმა რობერტ ფიცომ პარლამენტს მოუწოდა, უკან დაიბრუნოს ბრიტანეთში შენახული ქვეყნის ოქროს მარაგი. მისი თქმით, ინგლისელების ნდობა არ შეიძლება.**

„რა ნდობა შეიძლება არსებობდეს ბრიტანელების მიმართ „მიუნხენის შეთქმულების“ შემდეგ? რამე რომ მოხდეს, ჩვენი ოქროს ერთ გრამსაც ვერ ვიხილავთ“, — განაცხადა ფიცომ.

სლოვაკეთის ოქროს მარაგი 31,7 ტონაა და ინგლისის ბანკშია შენახული. სლოვაკეთამდე ცოტა ხნით ადრე თავისი ოქროს მარაგი (100 ტ) ბრიტანეთიდან დაიბრუნა **პოლონეთმა.** მოტივად დაასახელეს მსოფლიოში გეოპოლიტიკური ვითარების გართულება. კიდევ უფრო ადრე ამერიკასა და ინგლისში შენახული ოქროს მარაგები დაიბრუნეს **თურქეთმა, გერმანიამ** და სხვა ქვეყნებმა. გარდა ამისა, ბევრი ქვეყანა ბოლო წლებში სულ უფრო მეტ ოქროს ყიდულობს მარაგების გასაზრდელად.

ყველაფრის თავიდათავი არის ის, რომ მსოფლიო ერთპოლუსიანი აღარ არის და მისი დაყოფა რამდენიმე პოლუსად დასკვნით ფაზაში შევიდა. ადრე, როცა მსოფლიო ორპოლუსიანი და შემდეგ ცოტა ხანს ერთპოლუსიანი იყო, პოლუსის ცენტრისადმი ერთგულების გარანტიას, მისდამი ლოიალური დამოკიდებულების გამოხატვას წარმოადგენდა სწორედ ცენტრისთვის საკუთარი ოქროს მარაგის მიბარება შესანახად. დღეს ვითარება შეიცვალა. მრავალპოლუსიანი მსოფლიო იმასაც ნიშნავს, რომ ერთი რომელიმე ვალუტა, ჩვენს შემთხვევაში აშშ დოლარი, გაბატონებული აღარ იქნება და მსოფლიოს ყველა პოლუსს თავისი ფინანსები და, მაშასადამე, ფინანსების გარანტიად ყველა დროსა და ყველა ფორმაციაში მიჩნეული ოქროს მარაგი უნდა ჰქონდეს. ამა თუ იმ პოლუსს შიგნით მოქცეული ქვეყნის წონას, მის სასტარტო პოზიციებს შიდა იერარქიული საფეხურის დასაკავებლად, სხვა ფაქტორებთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, მისი ოქროს მარაგი განსაზღვრავს. სწორედ ამიტომ ყველა ცდილობს საკუთარი ოქროს უკან დაბრუნებას.

**რას ვაკეთებთ ჩვენ, ქართველები, რომლებსაც სხვა სიკეთეებთან ერთად, ოქროს საბადოც გვარგუნა განგებამ? სად არის ჩვენი ოქროს მარაგი, თუ კი საერთოდ გაგვაჩნია? თუ არ გვაქვს, რატომ არ გვაქვს? სად მიდის საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ოქრო? ვის კეთილდღეობას ხმარდება ის? ე.წ. საერთაშორისო მეგობრებს ვახმართ? და რას ვღებულობთ სანაცვლოდ? მხოლოდ საერთაშორისო „შეშფოთება-აღშფოთებას“? და როცა „საერთაშორისო მეგობრები“ რუსეთთან კარგად ივაჭრებენ ჩვენს ხარჯზე და აქედან უცერემონიოდ აიბარგებიან, რა ადგილს მოგვიგდებენ (მოგვიგდებენ იმიტომ, რომ მოსაპოვებლად არაფერს ვაკეთებთ) მსოფლიოს იმ პოლუსში, რომელსაც ტერიტორიულად ვეკუთვნით?**



## გახარია ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილზე

**„ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილსა და ამ მძიმე პრობლემის მიმართ, მინდა, გითხრათ, რომ მთავრობის ყველა შესაბამისი უწყება ჩვენს ყველა საერთაშორისო პარტნიორთან კოორდინაციით ვმოქმედებთ. იმედი მაქვს, რომ უახლოეს პერიოდში ამ მძიმე ისტორიის დასრულებას ყველა ერთმანეთს მივულოცავთ“, — განაცხადა პრემიერმა გიორგი გახარიამ.**

ბატონო გიორგი, როდის იყო, რომ „საერთაშორისო პარტნიორებმა“ თუნდაც ელემენტარული საკითხი მოგვიგვარეს, გინდა, ოსებთან და, გინდა, ფხაზებთან ურთიერთობაში?! ამ „საერთაშორისო პარტნიორებზე“ ლაპარაკით იმდენი არ ქნათ, გაფრინდაშვილს პატიმრობა არ გაუხანგრძლივოთ.



## სოროსის ორგანიზაციები საქართველოსა და რუსეთს შორის ახალი სკანდალის გამოწვევას ცდილობენ



**ჯორჯ სოროსის ფონდის მიერ ნაკვები ორგანიზაციებისა და მასმედიის ნაწილი ცდილობს, ბერლინში მოკლული ტერორისტული წარსულის მქონე ზელიმხან ხანგოშვილის საქმე საქართველოსა და რუსეთს შორის ახალი სკანდალის ასაგორებლად გამოიყენოს.**

საუბარია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრზე“ (EMC), „რონდელის ფონდსა“ და ლიბერალურების რუპორზე სახელწოდებით „ნეტგაზეთი“. სწორედ ეს სოროსული პროპაგანდისტული მანქანის ერთ-ერთი ჭანჭიკი ცდილობს, „რონდელის ფონდისა“ და „იემსის“ ე. წ. ექსპერტების მეშვეობით საინფორმაციო ფონი შექმნას, რომ საქართველო თურმე არ იქცევა მართებულად, როდესაც რუსეთს არ უპირისპირდება ბერლინში საქართველოს მოქალაქეობის მქონე ჩეჩენი ბოევიკის თუ ტერორისტის ლიკვიდაციის გამო. არგუმენტად ამ „ექსპერტებს“ მოაქვთ ის, რომ გერმანიამ რუსეთს ბრალი დასდო **ხანგოშვილის** მკვლელობის საქმის გამოძიებაში არასაკმარისად აქტიურობაში და ორი რუსი დიპლომატი გააძევა ბერლინიდან.

სოროსის ფონდის დაქირავებულ „ექსპერტებს“ იმედი აქვთ, რომ „გერმანიის მიერ რუსეთის დიპლომატების გაძევებისა და საქართველოს მოქალაქის მკვლელობაში რუსეთის სახელმწიფოს დადანაშაულების შემდეგ საქართველოს ხელისუფლება იძულებული იქნება, გამოხატოს პოზიცია“. ისინი პარალელს ავლებენ სკრიპალების საქმესთან და იხსენებენ, რომ მაშინ საქართველომ ქვეყნიდან ერთი რუსი დიპლომატი გააძევა.

რონდელის ფონდის „ექსპერტი“ შეუვალია: „სიფრთხილე არის არასწორი. რაც უნდა კონსტრუქციული პოზიცია დაიჭირო რუსეთთან, მას მაინც მოჰყვება შემდგომი ოკუპაცია და აგრესიული ქმედებები რუსეთის ხელისუფლების მხრიდან. ასე რომ, ერთადერთი სწორი გზა არის პრინციპული პოზიციის გამოხატვა საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი დასავლელი პარტნიორების მაქსიმალური ჩართულობით“, — ამბობს იგი.

რეალურად, „დასავლელმა პარტნიორებმა“, ამ შემთხვევაში — გერმანელებმა, ხანგოშვილს პოლიტიკური დევნილის სტატუსი არ აღირსეს და მას ეჭვით უყურებდნენ, როგორც ყოფილ „ბოევიკს“. მეტიც, ხანგოშვილს მალე გერმანიიდან გაძევება ემუქრებოდა. „ნეტგაზეთის“ მიერ შემოპარებული სიცრუისგან განსხვავებით, აუცილებლად აღსანიშნავია, რომ გერმანიის ხელისუფლებამ რუსეთს ბრალი მხოლოდ გამოძიებასთან არასაკმარის თანამშრომლობაში დასდო და არა ხანგოშვილის მკვლელობის დაკვეთაში. ამიტომ კარგი იქნება, ხელისუფლებამ ყური არ ათხოვოს სოროსელების მორიგ პროვოკაციას და რუსეთთან სიმშვიდე შეინარჩუნოს.

## პუტინმა და ლუკაშენკომ ორმხრივი ურთიერთობები დაარეგულირეს

**სოჭში რუსეთისა და ბელარუსის პრეზიდენტების — ვლადიმერ პუტინისა და ალექსანდრე ლუკაშენკოს შეხვედრა გაიმართა, რომელიც გაფართოებულ ფორმატში მიმდინარეობდა და ხუთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.**

რუსეთსა და ბელარუსს შორის ბევრი პრობლემა დაგროვდა, თუმცა ეს პრობლემები, მიუხედავად მათი სიმწვავის ხარისხისა, მეტწილად უფრო ტექნიკური ხასიათის იყო.

რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრმა **მაქსიმ ორეშკინმა** მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „ქვეყნებს შორის საკამათო საკითხების რაოდენობამ მნიშვნელოვნად იკლო“. კერძოდ, ორივე მხარემ მოახერხა, ერთმანეთის პოზიციები დაეახლოებინათ ნავთობისა და ბუნებრივი აირის საკითხებში.

როგორც რუსეთში ბელარუსის ელჩმა ვლ. სემაშკომ განმარტა, მხარეები სრულად შეთანხმდნენ ელექტროენერგეტიკისა და საბაჟო სამსახურების ინტეგრაციის გეგმაზე, შეუთანხმებელი დარჩა 8 პუნქტი 31-დან. სემაშკოს თქმით, მოიძებნა ბელორუსულ პროდუქტებზე შეზღუდვების გაუქმების გზები და ორ კვირაში შეთანხმდება რუსული გაზის ფასი ბელარუსისთვის.

ორი ქვეყნის ლიდერები ერთმანეთს კვლავ შეხვდებიან 20 დეკემბერს სანქტ-პეტერბურგში. მანამდე უმაღლეს დონეზე მიღწეული შეთანხმებების საექსპერტო დამუშავება მოხდება.

რუსეთსა და ბელარუსს შორის მწვავე ტონის შერბილება და მთელი რიგი საკითხების მოგვარება სიგნალი უნდა იყოს საქართველოსთვის — რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეზე ძლიერდება.

**გვერდი მოამზადა გიორგი გავაშელმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება, ტაქტიკური თვალსაზრისით, ბრწყინვალედ იყო გააზრებული. დროებით მთავრობას საკმაოდ სერიოზული ძალა (მუშები, ჯარისკაცები, მატროსები) უჭერდა მხარს, მაგრამ იმ დღეს, იმ მომენტში, იმ წუთში დროებითი მთავრობა მაინც მარტო დარჩა. დროებითი მთავრობის „სიმარტოვე“ დიდხანს არ გაგრძელდებოდა. საათები, შეიძლება წუთები წყვეტდა ყველაფერს. სწორედ ეს „წუთები“ არ გამოეპარა სტალინს. სხვა გზით ბოლშევიკები ძალაუფლებას ვერ დაეუფლებოდნენ.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №42-43, 2019 წ.

**„სტალინის ფენომენის ახსნა მკვლევართა უბრალო გატაცება არ არის. სტალინის ფენომენის ახსნის გარეშე შეუძლებელია რუსეთისა (საბჭოთა კავშირის) და, საერთოდ, კაცობრიობის ისტორიის დიდი ეპოქის გააზრება. როგორც უნდა ვაფასებდეთ სტალინს, იგი უკვე ისტორიის კუთვნილებაა, იმ ისტორიისა, რომელიც თავის თავში მალავს პასუხს ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებზე და რომელთა გაცნობიერების გარეშე შეუძლებლად მიგვაჩნია სტალინის პოლიტიკური პორტრეტის სრულქმნა“
(პროფ. ვ. გურული. „სტალინის დიდი ექსპერიმენტი“).**

# სტალინი ქართულ ისტორიოგრაფიაში

პროფესიონალი ისტორიკოს-მკველვარები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ან სრულიად იგნორირებენ ისტორიის ამ უდიდეს ბუმბერაზს და ძალ-ღონეს არ იშურებენ სრულიად უმნიშვნელო საკითხის ფუნდამენტურად განსახილველად. ამ სამარცხვინო ფაქტს ორი მიზეზი აქვს: პირველი — ისინი ვერ ბედავენ სტალინის შესახებ არსებული ზღვა მასალის შესწავლას და იციან, ხელმოცარულები დარჩებიან, თუ ვინმე, ვისაც კვლევა შეუძლია, იშრომებს და ღირსეულ დასკვნას დადებს, მათ სული აქვთ წარწყმედილი — ეშმაკს არიან მიყიდულები და უცხოეთიდან ფინანსდებიან. მეორე კატეგორიას სურს ისტორიკოსობა და ინტერესდება სტალინის თემით, მაგრამ მათ სტალინის ფენომენის განხილვად მიაჩნიათ ის, რომ, რაც შეიძლება მწარე თქვან სტალინზე, მაგალითად, ის, რომ სახე ნაყვავილარი ჰქონდა, მარცხენა ხელი — გამხმარი და დამოკლებული, კბილები — მეჩხერი და ჩაყვითლებული, მარცხენა ფეხის ორი თითი ერთმანეთზე მიტყუპებული; რომ **ვაჟა-ფშაველამ** გაზეთ „ივერიის“ რედაქციის კიბიდან წიხლისკვრით ჩამოაგდო; რომ მისი დედა ბოზი იყო და ის ნაბიჭვარია: რომ ბევრ წიგნს კი კითხულობდა, მაგრამ მაინც გაუნათლებელი და ხეპრე იყო; რომ უკრაინელი ხალხის გასაწყვეტად გოლოდომორი მოაწყო; რომ 37 წელს სისხლის კალო დაატრიალა, სრულიად უდანაშულო ადამიანები და ერები საცხოვრებელ ადგილებს მოსწყვიტა და გადაასახლა; რომ საქართველოში ინტელიგენცია გაჟლიტა, ხალხი ძალით შეყარა კოლექტივში და შიმშილით დახოცა; ჩვენს კეთილმეზობელ სახელმწიფო გერმანიას თავს დაესხა: თვითონ კი უნდოდა, გერმანიისთვის ჩაებარებინა სსრკ თავისი რესპუბლიკებით, მაგრამ რუსმა ჯარისკაცებმა სტალინის ნების საწინააღმდეგოდ მტერი დაამარცხეს და ეს შრომისმოყვარე და პატიოსანი ხალხი გაწყვიტეს, თორემ ახლა „ბავარიული ლუდი თავზე დასასხმელად გვექნებოდა“; სტალინს არ უნდა ეპატიოს ის, რომ მთვრალმა კომპოზიტორ **ევგენი მიქელაძეს** შამფური ყურებში გაუყარა, — ჩემზე უკეთესი სმენა რატომ გაქვსო. **ტიციან ტაბიძეს** კი თურმე ნაცემი ადგილები დაულპა. ზოგმა ისიც არ იცის, რომ **პაოლო იაშვილი** (ერთმა იდიოტმა ისიც თქვა, სტალინმა **პაულო კოელიო** დახვრიტაო) თურმე სტალინს თავისი ხელით დაუხვრეტია. ამტკიცებენ, როგორი ტანჯვით ამოჰხადა სული სტალინმა „განძის გუშაგ“ **ექვთიმე თაყაიშვილსა** და ქართული ისტორიოგრაფიის მამას — **ივანე ჯავახიშვილს.**

მე აქ ერთი ჩემი მოგონილი სიტყვაც არ დამიწერია, ყველაფერი ამოვიკითხე ჩვენი „სახელოვანი“ ისტორიკოსების „შემოქმედებიდან“ და, თუ ვინმეს პრეტენზია გაუჩნდება, შემდეგ საგაზეთო წერილში ამ ვაიისტორიკოსების გვარებსაც დავასახელებ.

აწ განსვენებული ჩემი მეგობარი, მწერალი და პუბლიცისტი იმასაც ამტკიცებდა, რომ ილიას ვერავინ მოკლავდა სტალინის გარდაო. ისე ჩავიდა სამარეში, თავისი ნათქვამის „ჭეშმარიტებში“ ეჭვი არ შეჰპარვია.

* „სტალინი ილია ჭავჭავაძესთან დამოკიდებულებაში განსაკუთრებულ ტაქტსა და თავშეკავებას იჩენდა. იგი არც 1901-1904 წლებში და არც შემდგომ პერიოდში ილიას წინააღმდეგ წამოწყებულ ბინძურ კამპანიაში არ ჩაბმულა. ილიას მიერ ხელდასხმულ მოღვაწეს კარგად ესმოდა ერის მამის დამსახურება, მისი ადგილი საქართველოს ახალ ისტორიაში“ (პროფ. ვ. გურული. „სტალინის დიდი ექსპერიმენტი“). აი ეს არის ნამდვილი მეცნიერული კვლევის შედეგი.

საქართველოს ეროვნულ მოძრაობაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს საქართველოს სირცხვილად წოდებული მენშევიკური ხელისუფლება, რომელმაც გაანახევრა საქართველო ტერიტორიულად და, ბოლშევიკები რომ არა, მენშევიკების მოძღვართ-მოძღვარ **ნოე ჟორდანიას** გამზადებული ჰქონდა რუკა, რომელზეც აღნიშნული იყო, ამიერკავკასიის რესპუბლიკებს რა წილი ეკუთვნოდათ, როგორც თბილისიდანმ, ასევე სრულიად საქართველოს ტერიტორიიდან.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველო უზარმაზარ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და დემოგრაფიულ დეგრადაციას რომ განიცდიდა, ეს იგრძნობა როგორც ისტორიულ, ისე ლიტერატურულ და პუბლიცისტურ წყაროებში, კულმინაციურ წერტილს კი ამ მოვლენებმა მენშევიკების ხელისუფლების პერიოდში მიაღწია.

**1980-1990-იან წლებში კიდევ უფრო შორს წავიდა ეროვნული მოძრაობის მეორე თაობა. ნაცვლად იმისა, რომ მოღალატე კომუნისტების საწინააღმდეგოდ აღემართათ მსოფლიოში პირველი სოციალური სახელმწიფოსა და თანასწორუფლებიანობის მედროშის — სტალინის პორტრეტი, რომელიც ფეხით გათელეს ათასი ჯურის ოლიგარქებმა და ქვეყნის გამყიდველებმა, წინა პლანზე წამოიწია ბოხოხიანი, გაუპარსავი კაცის ჯოხზე წამოცმულმა სურათმა, რომელსაც მეც კი, ამ ხნის კაცი, ვერ ვცნობდი, ვინ იყო. გავიდა ხანი და „მსოფლიო პოლიტიკისა და დიპლომატიის მეგავარსკვლავი“ ლევილის სოფლიდან ჯერ სამების საკათედრო ტაძარში გადმოასვენეს და ატირეს მთელი საქართველო, შემდეგ კი ქამარხანჯლიანი საზოგადოების ერთმა ნაწილმა დიდი გლოვის ზარით მთაწმინდის მიწას მიაბარა ილიას გვერდით. მოხდა სასწაული. მკვლელს მოკლულის გვერდით დაუდეს ბინა** (საეჭვოა, დიდხანს იყვნენ ერთად — გრ. ონიანი).

მჯერა, რომ ქართველი ხალხი შეშლილია ჭკუიდან, „რადგან მთვარე ზომაზე მეტად მოუახლოვდა დედამიწას“ (შექსპირი), მაგრამ მხოლოდ ერთს სჯეროდეს ეს და სხვა ამ მდგომარეობას სერიოზულად უყურებდეს, გამოდის, რომ სულელი ვარ მე და „ბედნიერი ერი“ კი — საქართველო.

***„სტალინი კარგად იცნობდა ქართულ ეროვნულ მოძრაობას, რუსულ ნაროდნიკულ სოციალიზმს, საერთაშორისო და რუსულ ანარქიზმს, ევროპულსა და ქართულ სოციალ-დემოკრატიას. რამ განაპირობა სტალინის არჩევანი, რატომ დაუკავშირდა იგი მაინცდამაინც რუსულ სოციალ-დემოკრატიას? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჭირს, თუმცა ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა შეიძლება:**



1. სტალინმა სწორად განჭვრიტა, რომ ქართული ეროვნული მოძრაობა XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან კრიზისში შევიდა. ეს მოძრაობა უკვე იმაზე მეტს ველარ მიაღწევდა, რასაც მიაღწია წინა ათწლეულებში. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგისათვის ქართული ეროვნული მოძრაობა ცალკეულ მიმდინარეობებად დაიშალა. ეროვნული მოძრაობის გამთლიანება უპერსპექტივო ჩანდა;

**2**. სტალინმა ზუსტად გააანალიზა რუსეთში შექმნილი ვითარება. რუსეთის დეცენტრალიზაცია, ქვეყნის ფედერალიზაცია და ავტონომიზაცია სასიკვდილო საფრთხით ემუქრებოდა უზარმაზარ იმპერიას, ველიკოროსები კი იმპერიის ნგრევას არ დაუშვებდნენ. სწორედ ამიტომ, ქართველ ერს, სურდა თუ არ სურდა, იმპერიის შემადგენლობაში უნდა ეცხოვრა და თავისი უახლოესი მომავალიც ამ რეალობიდან გამომდინარე განესაზღვრა.

**3**. სტალინი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის ევროპიზაცია შეუძლებელი იყო. რუსეთი ჯერ კიდევ დიდხანს დარჩებოდა თვითმყოფად, მხოლოდ რუსულ სახელმწიფოდ. რუსეთისთვის მიუღებელი იყო პოლიტიკური, ეკონომიკური თეორია, მათ შორის ევროპაში იმხანად ძალზე პოპულარული სოციალისტური დოქტრინა. რუსეთს განახლების საკუთარი, ორიგინალური გზა უნდა ეპოვა.

**«ნოე ჟორდანიამ გააკეთა მოხსენება, ორმოციოდე პოლიტიკური და საზოგადოებრივი წარმომადგენლის წინაშე: მთელი საათის განმავლობაში გვიმტკიცებდა, რომ თბილისი საქართველოს დედაქალაქი კი არ არის, არამედ ინტერნაციონალური ცენტრია, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და იმის იქით მდებარე ტერიტორია ეკუთვნის სომხებსა და აზერბაიჯანელებს და მხოლოდ დასავლეთის მესამედი — «ვერა» — და აქეთ მდებარე ტერიტორია გვეკუთვნის ქართველებსო. წარმოგიდგენიათ, რა პასუხს მიიღებდა ჩვენგან ეს მომავალი «საქართველოს თავმჯდომარე», რომლითაც ღმერთმა გვწყევლა და მოგვივლინა! მაგრამ მან იხტიბარი არ გაიტეხა, რადგან ეს იყო მისი რწმენა, მრავალგზის განცხადებული და 1912 წლის რუკითაც ბეჭედ-დასმული... კიევში»**



ნოე ჟორდანია

სტალინი დაუპირისპირდა სრულიად ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას. სტალინსა და მის მიმდინარეობას სერიოზულ ძალად არავინ თვლიდა, კრიტიკის ღირსადაც არ მიიჩნევდნენ. უფრო მეტიც, ჟანდარმერიისა და ოხრანკის მასალებში სტალინი რიგით მოღვაწედ არის წარმოდგენილი, მაშინ, როცა **ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ვლადიმერ დარჩიაშვილი, ნოე რამიშვილი, არჩილ ჯორჯაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი** და სხვა მოღვაწეები იმპერიისთვის უაღრესად საშიშ პიროვნებებად არიან დახასიათებულნი.

**შეცდნენ ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, შეცდნენ ჟანდარმერიისა და ოხრანკის გამოცდილი ანალიტიკოსები, არ შემცდარა მხოლოდ სტალინი. მან ზუსტად იცოდა, საით მიექანებოდა უზარმაზარი იმპერია. სტალინის იდეური მოწინააღმდეგენი, თუმცა ნიჭიერი, ღრმად გა-** ▶

გრიგოლ ორიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1917 წლის 25 მარტს სტალინს უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შედეგების ლიკვიდაციის გეგმა, რომლის ყველა ძირითადი დებულება უცვლელად აიღო ვლადიმერ ლენინმა. აშკარა პლაგიატორობის ფაქტი დოკუმენტურადაა დადასტურებული. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მეტად საყურადღებო მოვლენის შესახებ. სტალინისა და ლენინის ასეთი დამოკიდებულება გრძელდებოდა 1917 წლის 24 ოქტომბრამდე — გადატრიალების წინა დღემდე. სტალინი, მისთვის დამახასიათებელი სიმარტივითა და აზრის სინატიფით წამოაყენებდა რაიმე დებულებას, იმავე დებულებას და მისთვის დამახასიათებელი რთული, გაუგებარი, სიცხადეს მოკლებული ენით რამდენიმე დღის შემდეგ მიითვისებდა ლენინი.**

◀**ნსწავლული მოღვაწეები იყვნენ, მაგრამ მაინც ჩვეულებრივ ადამიანებად რჩებოდნენ, იოსებ ჯუღაშვილი კი განგებამ ჩვეულებრივი ადამიანებისგან გამოარჩია და მას სხვა, დიდი და გამორჩეული მისია დააკისრა** (პროფ. ვ.გურული „სტალინის დიდი ექსპერიმენტი“).

ამრიგად, 1917 წლის 25 მარტს სტალინს უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შედეგების ლიკვიდაციის გეგმა, რომლის ყველა ძირითადი დებულება უცვლელად აიღო **ვლადიმერ ლენინმა.** აშკარა პლაგიატორობის ფაქტი დოკუმენტურადაა დადასტურებული. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მეტად საყურადღებო მოვლენის შესახებ. სტალინისა და ლენინის ასეთი დამოკიდებულება გრძელდებოდა 1917 წლის 24 ოქტომბრამდე — გადატრიალების წინა დღემდე. სტალინი მისთვის დამახასიათებელი სიმარტივითა და აზრის სინატიფით წამოაყენებდა რაიმე დებულებას, იმავე დებულებას, მისთვის დამახასიათებელი რთული, გაუგებარი, სიცხადეს მოკლებული ენით რამდენიმე დღის შემდეგ მიითვისებდა ლენინი. ყოველ შემთხვევაში, პლაგიატის ფაქტის დადგენას დიდი ტვინის ჭყლეტა არ უნდა, თუმცა ფაქტებში გარკვევით ჩანს.

რევოლუციამ, მისმა მსვლელობამ და მარცხმა ლენინი, როგორც მოაზროვნე და პოლიტიკური მოღვაწე, გააკოტრა. იგი ახალს ვერაფერს ქმნიდა: თავს ისევ მარქსისტად ასაღებდა, კვლავ ერთ ადგილს ტკეპნიდა. ასეთ ვითარებაში რუსეთში განგებისგან განსაზღვრული მისიის აღსრულებას იწყებს იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი).

იოსებ სტალინის წინასწარმეტყველება ახდა. **1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ რუსეთის იმპერია დაანგრია, პოლიტიკური პარტიებისთვის ფართო სამოქმედო ასპარეზი გადაიშალა. სტალინის ზებუნებრივმა ნიჭმა და ენერგიამ გასაქანი ჰპოვა და სტალინი თავისი მისიის აღსრულებას შეუდგა. სტალინს ამ მისიის აღსრულება მარქსისტის მანტიამოსხმულს მოუხდა. იმხანად სტალინს მის მიერ ახალი მოძღვრების შექმნაზე რომ დაეწყო ლაპარაკი, იგი უნდა დაპირისპირებოდა ლენინს და ბოლშევიკურ პარტიას. ეს ძალზე გააძნელებდა პოლიტიკური მიზნის განხორციელებისთვის ბრძოლას. მარქსისტის მანტია კი სტალინს სულაც არ უშლიდა ხელს ჩანაფიქრის აღსრულებაში.**

სტალინი ძალაუფლების ხელში ჩაგდების გეგმას ხვეწდა, პოლიტიკური სიტუაციის ცვლილებებს ითვალისწინებდა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა 1917 წლის მარტიდან ოქტომბრამდე გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული მისი უამრავი ნაშრომი. **ლენინმა აშკარად იგრძნო სტალინის უპირატესობა. რადგან სტალინი ჯერჯერობით ლენინს არ ებრძოდა, მის ლიდერობას საფრთხეს არ უქმნიდა, ლენინი მის ნააზრევს აედევნა. მდევრის როლში იყო ლენინი 1917 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით.**

1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება ტაქტიკური თვალსაზრისით ბრწყინვალედ იყო გააზრებული. დროებით მთავრობას საკმაოდ სერიოზული ძალა (მუშები, ჯარისკაცები, მატროსები) უჭერდა მხარს. მაგრამ იმ დღეს, იმ მომენტში, იმ წუთში დროებითი მთავრობა მაინც მარტო დარჩა. დროებითი მთავრობის „სიმარტოვე“ დიდხანს არ გაგრძელდებოდა. საათები, შეიძლება წუთები წყვეტდა ყველაფერს. სწორედ ეს „წუთები“ არ გამოეპარა სტალინს. სხვა გზით ბოლშევიკები ძალაუფლებას ვერ დაეუფლებოდნენ.

ამრიგად, **ბოლშევიკური პარტიის დიდი გამარჯვება 1917 წლის 25 ოქტომბერს სულაც არ იყო განპირობებული მარქსიზმის ყოვლისშემძლეობით, იგი არც ლენინიზმის ტრიუმფს ნიშნავდა. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამდე რუსეთი ისტორიული პროცესის განვითარების კანონზომიერებამ მიიყვანა. პოლიტიკურ პარტიებს რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში გადამწყვეტი როლი არ უთამაშიათ. პოლიტიკურ პარტიათათვის ფართო სამოღვაწეო ასპარეზი შექმნა თებერვალ-მარტის რევოლუციამ. ხელისუფლებისთვის მებრძოლ პოლიტიკურ პარტიათა შორის ყველაზე ორგანიზებული აღმოჩნდა ბოლშევიკების პარტია, რომლის სტრატეგია და ტაქტიკა ეფუძნებოდა არა მარქსიზმს, არა ლენინიზმს, არამედ სოციალისტური მოძღვრების ახალ მიმდინარეობას — სტალინიზმს** (პროფ. ვ. გურული „სტალინის დიდი ექსპერიმენტი“).

„1921 წლის დამდეგს საქართველოს თავისი მთავრობისა და დამფუძნებელი კრების სახით ჰყავდა პარტიული ორგანიზაციის კრეატურა, რომელიც სახელმწიფოებრივ საქმეებში გამოუცდელი დოქტრინორობით დაუღალავად და სიჯიუტით დღენიადაგ ამცრობდნენ მაინცდამაინც თავისივე არსებობისა და მომავლის საფუძველს. საქართველოს მთავრობა გზის დასასრულს ისეთ ვიწრო ლავგარდანზე აღმოჩნდა, რომ მისი ძირს გადაძახება ერთი წკიპურტით გახდა შესაძლებელი. **ეს შემთხვევით როდი ხდებოდა. რევოლუციიდან გამოსული საქართველოს მთავრობა უფრო მეტად მაინც სოციალური დემაგოგიის მთავრობა იყო, ვიდრე დემოკრატიული და ეროვნული პოლიტიკის ორგანო. მას მართებდა, და ადვილიც იყო, რომ სწორედ ასეთ ორგანოდ ქცეულიყო, მაგრამ ეს არ მოხდა. მემამულეთათვის ანგარიშის გასწორება იყო არსებითად ამ მთავრობის მთავარი მისწრაფება.**

აგრარული რეფორმის შთაგონების წყარო იყო გლეხობის რეალური მოთხოვნილებაც და რუსეთის რევოლუციის დამთრგუნველი მაგალითი და გავლენა; მოქმედებდნენ ასევე დემაგოგიური რევოლუციური კონკურენციის ხერხები და საშუალებანი. ეს რეფორმა გარდაუვალი იყო; მაგრამ იგი განხორციელდა ისეთი ფორმებით, რომლებიც ოდნავადაც არ იაზრებდა სოფლის მეურნეობის პირობებს, მომავლის მოთხოვნილებებს და ისეთი უაღრესად დიფერენცირებული ერის ხასიათს, როგორიც ქართველები არიან.


კარლ კაუცკი და ქართველი მენშევიკები

**შეცდნენ ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, შეცდნენ ჟანდარმერიისა და ოხრანკის გამოცდილი ანალიტიკოსები, არ შემცდარა მხოლოდ სტალინი. მან ზუსტად იცოდა, საით მიექანებოდა უზარმაზარი იმპერია. სტალინის იდეური მოწინააღმდეგენი, თუმცა ნიჭიერი, ღრმად განსწავლული მოღვაწეები იყვნენ, მაგრამ მაინც ჩვეულებრივ ადამიანებად რჩებოდნენ, იოსებ ჯუღაშვილი კი განგებამ ჩვეულებრივი ადამიანებისგან გამოარჩია და მას სხვა, დიდი და გამორჩეული მისია დააკისრა**


ილია ჭავჭავაძე

შეგნებულად გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდნენ მოსახლეობის მრავალრიცხოვანი ჯგუფების მნიშვნელოვან, შედარებით განათლებულ და აუცილებელ ნაწილს.

ამასთანავე, გლეხობის სასარგებლოდ ადრინდელ მესაკუთრეთაგან კონფისკებული მიწის გასხვისების შემდგომ, გლეხთა მასაში ძალაუნებურად ძლიერდებოდა მისთვის ისედაც ჩვეული გულგრილობა პოლიტიკური წყობის საკითხებისადმი, სუსტდებოდა წინააღმდეგობის ყოველგვარი ინსტიქტი გარედან შემოჭრილი ძალის მიმართ, რადგან არ ელოდნენ, რომ იგი რაიმე საშიშროებას შეუქმნიდა უკვე ჩატარებულ რეფორმას.

მოკლედ, **საქართველოს აგრარული პოლიტიკა არც ევროპისა და მისი სამოქალაქო კოდექსებისკენ იყო გადახრილი და არც დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს უბამდა მხარს. სულმოკლეობისა და მიუხვედრელობის გამო, ყოველჟამს მოსალოდნელი შემოჭრის საპასუხოდ, საერთოდ არც მოუწადინებიათ შეიარაღებული ძალების ორგანიზება (თუნდაც 1918 წლიდან კომუნისტების მაგალითისამებრ); ამასაც საქართველოს მთავრობის ძირითადი დოქტრინა განაპირობებდა — კლასობრივი ბრძოლისა და ძალისმიერი სოციალური გადანაწილების დოქტრინა, და სწორედ ამან შეუშალა ხელი მას ეროვნულ მთავრობად გადაქცევაში.**

აგრარულმა რეფორმამ ერთნი გააღატაკა და დაამცრო, ხოლო სხვებს ისე მიაკუთვნა მიწა, რომ მათთვის რაიმე სერიოზული ფინანსური გადასახადი ან სავალდებულო სამხედრო სამსახური არ დაუკისრებია. ამის გამო უაღრესად გაჭირდა პატარა არმიის შექმნაც კი — იმ ქვეყანაში, რომელშიც ჰყავდათ მწყობრის ოფიცრები, და იმ ხალხში, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში მხედრული სიქველით მოიხვეჭა სახელი.

**როდესაც საქართველო საბჭოთა რუსეთთან შეტაკებამდე მიიყვანეს, რუსეთის არცთუ დიდი ძალებისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ყველაფერი გაკეთდა საიმისოდ, რომ შეტევაზე წამოსულ წითელ არმიას „შეიარაღებული ხალხი“ კი არ დახვედროდა, არამედ პარტიული ბელადების ჯგუფი, სახელმწიფო ხელისუფლების ექსპლუატაციის მონაწილე ფართო თანასაზოგადოება და მასთან ერთად ერთგული მიურიდების მცირე რაზმი. მთელი ეს ასაბია სულ იოლად გადაისროლეს შავ ზღვაში“** *(ზურაბ ავალიშვილი. „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“. პარიზი. 1924 წელი).*

**„ნოე ჟორდანიამ გააკეთა მოხსენება ორმოციოდე პოლიტიკური და საზოგადოებრივი წარმომადგენლის წინაშე. მთელი საათის განმავლობაში გვიმტკიცებდა, რომ თბილისი საქართველოს დედაქალაქი კი არ არის, არამედ ინტერნაციონალური ცენტრია, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და იმის იქით მდებარე ტერიტორია ეკუთვნის სომხებსა და აზერბაიჯანელებს და მხოლოდ დასავლეთის მესამედი — „ვერა“ — და აქეთ მდებარე ტერიტორია გვეკუთვნის ქართველებსო. წარმოგიდგენიათ, რა პასუხს მიიღებდა ჩვენგან ეს მომავალი „საქართველოს თავმჯდომარე“, რომლითაც ღმერთმა გვწყევლა და მოგვივლინა! მაგრამ მან იხტიბარი არ გაიტეხა, რადგან ეს იყო მისი რწმენა, მრავალგზის განცხადებული და 1912 წლის რუკითაც ბეჭედდასმული... კიევში.**

ერთად მიდიოდნენ კიევში, ბრწყინვალე, „უმაღლესი“ თავად-აზნაურობის თავადი **დ. გურამიშვილი,** თავისი „მაჟარით“, ინტელიგენციის „მარილი“ და შემდეგში „დამფუძნებელი კრების“ თავმჯდომარის ამხანაგი — **ე. თაყაიშვილი** და „უმდაბლესი“ „დემოკრატიის“ ლიდერი **ნ. ჟორდანია.** ორივე — აზნაურები. მათ წინ აღუდგნენ: გლეხი სონღულაშვილი, კოოპერატორი გაბაშვილი, „მწყემსი“ შ. ქარუმიძე და სხვა ხალხი... მეთაურებს თუ ამას დავუმატებთ, რას გვეუბნებოდნენ **გ. ბაგრატიონი, კიტა აბაშიძე, ნიკო ნიკოლაძე** და სხვანი, განა გასაკვირველი არ არის, ან ის სამი წელიწადი როგორ შევინარჩუნეთ „დამოუკიდებლობა“, რომლის ბედი ასეთი ხალხის ხელში მოექცა?! ჩვენ კი „გიჟები“ (ზემოაღნიშნულების თვალში და ტერმინოლოგიით), ამ დამოუკიდებლობის მოტრფიალენი, ბედმა „ოპოზიციის“ კუთხეში მიგვაგდო, რუსეთის რევოლუციის, რუსეთის მეფის მოადგილისა და რუსის ხიშტის წყალობით.

**გიორგი ბაგრატიონი** — მარშალი, ჯერ კიდევ ომის დროს, გვეუბნებოდა: „ერთ გუბერნატორს ვერ შევინახავთ და თქვენ დამოუკიდებლობაზე მელაპარაკებით, გიჟები ხართ, საგიჟეთში უნდა ისხდეთო“.

**კიტა აბაშიძე** — პატრიოტი-კრიტიკოსი და პუბლიცისტი: „პარიზს, მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრს, ყუმბარებით ანგრევენ (მაშინ ახალი ამბავი იყო გერმანელების Dicke Berta, პარიზში რომ რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო) და თქვენ რაღაც ქეციან საქართველოზე მელაპარაკებითო“.

**ნიკო ნიკოლაძე:** „ახლანდელ ეკონომიკურ ვითარებაში, ვისაც ფლოტი არა ჰყავს, ვერ იარსებებს და ჩვენ ერთ დიდ გემსაც ვერ ავაშენებთ, მთელი საქართველო რომ გავყიდოთო“.

ნიკოლაძე, რომელმაც ფოთი ააშენა, საქართველოს გაუყიდავად და შემდეგში გერმანიის დამარცხების წინ იქიდან ჩამოსული, გვეუბნებოდა: „გერმანია ისეთი მძლავრი, შეკრული ბლოკია, ქვეყნიერებას დაიპყრობსო“.

ასეთ გიჟებში ჭკვათამყოფელი თუ არ გაგიჟდებოდა და კიდევ დამოუკიდებლობაზე იოცნებებდა, რასაკვირველია, „გიჟად“ ჩაითვლებოდა და გვთვლიდნენ კიდეც.

ახლა, როცა დამოუკიდებლობა ვიგემეთ, ყველა გაპატრიოტდა და ეს ყველაფერი დავიწყებულია, ხშირად გვსაყვედურებენ სწორედ ჩვენ: **„როგორ ჩაუგდეთ ხელში მენშევიკებს ძალა-უფლებაო?!“ ეს საკენკი რომ არ დაგვეყარა, რუსებს უკან მოიყვანდნენ, არა ორჯონიკიძე-ქავთარაძე-ჯუღაშვილ-მდივნები, და არა 1921 წელს, არამედ ჟორდანია-ჯუღელ-გურამიშვილები — გაცილებით უფრო ადრე და დამოუკიდებლობას თვალითაც ვერ ნახავდით** (რევაზ გაბაშვილი — ცნობილი ქართველი მწერალი ქალის — ეკატერინე გაბაშვილის უფროსი ვაჟი. ემიგრანტი. „რაც მახსოვს“. პარიზი. 1959 წელი).

მართლმადიდებლური სამყარო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის ელჩი საბერძნეთში — ჯეფრი პაიეტი განაგრძობს თანამშრომლობას ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის იმ მღვდელმთავრებთან, რომლებიც სქიზმას მხარს უჭერენ. ამჯერად იგი შეხვდა სიროსის მიტროპოლიტ დოროთეს. მედიასივრცეში გავრცელდა შემდეგი ტიპის დიპლომატიური ფრაზები: „ჩვენ მადლობელნი ვართ, როგორც რელიგიური თავისუფლებისა და შემწყნარებლობის, ისე იმ ფასეულობების მხარდაჭერისთვის, რომლებსაც ჩვენ ბერძნულ მართლმადიდებლობასთან, მის უწმინდესობა ბართოლომეოსთან და მის უნეტარესობა იერონიმესთან ერთად ვიზიარებთ“.**

# «უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის» მანევრები და აშშ-ის კურატორები ელადის ეკლესიაში

**მიმდინარე კვირაში, პრაქტიკულად, ყველა ადგილობრივ ეკლესიაში მთავარი თემა იყო მსოფლიო მართლმადიდებელ სამყაროში განხეთქილების პრობლემა, რომელიც უკავშირდება „უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას“, ან, როგორც პატრიარქმა ბართოლომეოსმა მის მიერ მინიჭებულ ტომოსში მოიხსენია, „უკრაინის უწმინდეს ეკლესიას“.**

მართლმადიდებელ სამყაროში განხეთქილების პრობლემის უსწრაფესად მოგვარებაზე საუბრისას მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა **კირილემ** აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში ამ საკითხზე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის სხდომა ჩატარდება. 2 დეკემბერს მაცხოვრის ტაძარში საღმრთო ლიტურგიის შემდეგ ძმური ტრაპეზის დროს მან განაცხადა, რომ უახლოეს სინოდის სხდომაზე **„მკაფიოდ იქნება განსაზღვრული ჩვენი პოზიცია განხეთქილებებთან და იმ ჩვენს ძმებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ განხეთქილებებს მხარს უჭერენ“.**

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მოქმედი წესდების თანახმად, სინოდის სხდომას გააჩნია „ეკლესიის, როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ცხოვრების“ კანონიკური საკითხების გადაჭრის უმაღლესი უფლება. სხდომა ტარდება, სულ ცოტა, ერთხელ ოთხი წლის განმავლობაში, თუმცა კირილეს პატრიარქობის პერიოდში 2 წელიწადში ერთხელ ტარდება. ბოლოს ჩატარდა 2017 წლის დეკემბერში. ასე რომ, მომდევნო კრებას უნდა ველოდოთ წლის დასრულებამდე და არა უგვიანეს 2020 წლის თებერვლის დასაწყისისა.

„ნორმანდიული ოთხეულის“ შეხვედრისა და მის წინააღმდეგ შესაძლო საპროტესტო აქციების გამო „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიაც“ გააქტიურდა. იგი ცდილობს, გასწრებაზე ითამაშოს. მათი სინოდის სხდომა ჩატარდა 5 დეკემბერს, უკრაინაში კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის სხდომის წინა დღეს, თუმცა განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის“ სინოდის სხდომა გაიმართებოდა 14 დეკემბერს. „უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში“ ადამიანების ძალით გადაყვანის პრაქტიკა საგრძნობლად შემცირდა. მათი „სამწყსო“ არ იზრდება. თავიანთ რიგებში მართლმადიდებელი სამრევლოების გადასვლაზე მათ პრობლემები აქვთ. ამასთანავე, **ეპიფანე დუმენკომ** 5 დეკემბერს BBC News Украiна-სთან ვრცელ ინტერვიუში განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში „უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში“ „გადასვლის“ ახალ ტალღას უნდა ველოდოთ. აქ დუმენკო აშკარად იტყუება. **„უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში“ „გადასვლის ტალღა“ მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ უკრაინის ოპოზიცია პროტესტის ტალღის წამოწევას მოახერხებს სახელმწიფო დეპარტამენტის დახმარებით. ამ შემთხვევაში ნაციონალისტურად განწყობილნი კვლავ დაიწყებენ ქვეყანაში პარპაშს და „მოსკოვის ეკლესიის“ რღვევას.**

გადასვლების სტატისტიკის თაობაზე 2019 წლის 3 დეკემბერს ტელეარხ „Россия-24“ -თან ინტერვიუში უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა მმართველმა, ბორისპოლისა და ბროვარის მიტროპოლიტმა **ანტონმა** ისაუბრა. მისი თქმით, **„უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის“ შექმნიდან ერთი წლის განმავლობაში მის რიგებში გადავიდა ან ძალით გადაიყვანეს უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის 1%-ზე ნაკლები, დაიკავეს დაახლოებით 100 ტაძარი, 220 სამრევლო უკანონოდ გადარეგისტრირდა და დაახლოებით 78 სამრევლო ნებაყოფლობით გადავიდა. ეს სულ უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილი 12 000-ზე მეტი სამრევლოს 1%-ზე ნაკლებს შეადგენს, თანაც რამდენიმე სამრევლო უკვე დაბრუნდა უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში.** BBC News Украiна-სთან იმავე ინტერვიუში დუმენკომ თქვა, რომ „ახლა რამდენიმე ადგილობრივი ეკლესიის ჯერია“, რომლებიც მზად არიან, აღიარონ „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია“, თუმცა, ეპიფანეს თქმით, მას „არ სურს პროგნოზირება, რადგან ეს უმადური საქციელია“. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დუმენკოს მხედველობაში ჰქონდა ალბანეთისა და ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიები. რამდენიმე დღის წინათ გაიმართა ჟიტომირისა და ნოვოგრად-ვოლინსკის მიტროპოლიტ **ნიკოდიმოსისა** და უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო საეკლესიო ურთიერთობათა განყოფილების თავმჯდომარის მოადგილის, დეკანოზ **ნიკოლოზ დანილევიჩის** ვიზიტი ბულგარეთში. იმსახურა რა ლიტურგიაზე ლოვჩანის მიტროპოლიტ გაბრიელთან ერთად (რომელიც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მომხრეთა არაფორმალური ლიდერია), მან 6 დეკემბერს ბულგარეთის სატელეგრაფო სააგენტოში ჩაატარა პრესკონფერენცია თემაზე „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია დღეს“ და აჩვენა დოკუმენტური ფილმი უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურ მიტროპოლიტ **ონოფრეზე.** მან ბულგარელ ჟურნალისტებთან უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის ამჟამინდელ მდგომარეობასა და კონსტანტინოპოლის სქიზმატური საქმიანობის შედეგებზე ისაუბრა.

**ალბანეთში ვიზიტით ჩავიდა სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ყველაზე გავლენიანი მღვდელმთავარი, ჩერნოგორიისა და პრიმორიის მიტროპოლიტი ამფილოქე. ცნობისთვის: ჩერნოგორიაში იგი არაერთხელ გამხდარა თავდასხმების ობიექტი პროამერიკული პოლიტიკური კურსის მქონე ხელისუფლების კრიტიკის გამო. შეხვედრის მთავარ საკითხს წარმოადგენდა ადგილობრივ ეკლესიებს შორის ურთიერთობებში კონსტანტინოპოლის მოქმედებებით გამოწვეული სირთულეები.**

რაც შეეხება ალექსანდრიისა და ელადის მართლმადიდებელ ეკლესიებში არსებულ ვითარებას, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი განაგრძობს საბერძნეთის ხელისუფლებასა და დიასპორასთან თანამშრომლობას. **აშშ-ის ელჩი საბერძნეთში — ჯეფრი პაიეტი განაგრძობს თანამშრომლობას ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის იმ მღვდელმთავრებთან, რომლებიც სქიზმას მხარს უჭერენ. ამჯერად იგი შეხვდა სიროსის მიტროპოლიტ დოროთეს. მედიასივრცეში გავრცელდა შემდეგი ტიპის დიპლომატიური ფრაზები: „ჩვენ მადლობელნი ვართ როგორც რელიგიური თავისუფლების და შემწყნარებლობის, ისე იმ ფასეულობების მხარდაჭერისათვის, რომლებსაც ჩვენ ბერძნულ მართლმადიდებლობასთან, მის უწმინდესობა ბართლომეოსთან და მის უნეტარესობა იერონიმესთან ერთად ვიზიარებთ“.** დოროთემ მადლობა გადაუხადა ელჩს და აღნიშნა, რომ „ელადის ეკლესია ყოველთვის მხარს უჭერდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, რომელიც ყველასთვის დედაეკლესიაა“. ელჩი თანმიმდევრულ მუშაობას აწარმოებს ელადის ეკლესიის მღვდელმთავრებთან. ამ ეკლესიაში არ უნდა იყვნენ განსხვავებულად მოაზროვნე სასულიერო პირები და მონაზვნები.

ამ მიტროპოლიაში ელჩის ვიზიტი არ არის შემთხვევითი. ეს არის ეკლესიის ერთ-ერთი დიდი მიტროპოლია, ეკუთვნის 13 მონასტერი (რომელთაგან ერთი VIII საუკუნეშია დაარსებული), 137 სამრევლო ტაძარი, საკუთარი FM რადიოსადგური და ოთხი პერიოდული გამოცემა.

საყურადღებოა ბერძნული დიასპორის მოქმედებები. მიმდინარე კვირაში ალექსანდრიის პატრიარქმა თეოდორემ კაიროში ხელი დაასხა აკრის ახალ მიტროპოლიტ **პეტრეს.** მის იურისდიქციაში შედის დასავლეთ აფრიკის ქვეყნები: განა, კოტ დ’ივუარი, ბურკინა-ფასო და მალი. როქი გასაგებია. მიტროპოლიის წინა მმართველი, ეთნიკური არაბი, მიტროპოლიტი **ნარკისი** პატრიარქ თეოდორეს ვიკარიუსი გახდა. იგი დაიბადა იორდანიაში, გაიარა ბერძნული სკოლა ელადის ეკლესიაში. ახალ ადგილზე იგი მოწოდებულია, გააძლიეროს „ალექსანდრიის“ მუშაობა თეოდორე III-ისთვის მნიშვნელოვან არაბულ მიმართულებაზე — ჩრდილოეთ აფრიკაში, უპირველეს ყოვლისა, ეგვიპტეში. გააჩნია რა სოლიდური კავშირები ისტორიულ სამშობლოში მართლმადიდებელ სასულიერო პირებთან, **ნარკისი იერუსალიმის საპატრიარქოსთან და მისდამი დაქვემდებარებულ იორდანიის ოთხ საეგზარქოსთან მთავარი მომლაპარაკებელი გახდება. მისი მიზანია, ან არ დაუშვას იერუსალიმის პატრიარქის მიერ დაანონსებული სრულიად მართლმადიდებლური კრების არაბერძნული სცენარით ჩატარება, ან საერთოდ არ დაუშვას ამ კრების ჩატარება.** თვითონ კათედრის ახალგამომცხვარი მმართველი მიტროპოლიტი პეტრე — ბერძენი დიასპორიდან, დაიბადა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში და კარგად იცნობს შავი კონტინენტის ცხოვრებას. მიტროპოლიტ პეტრეს ხელდასხმა მოხდა ღვთისმსახურებაზე კაიროში, ბერძენი და კვიპროსელი მაღალი რანგის დიპლომატებისა და ბერძნული დიასპორის მაღალჩინოსანი პირების თანდასწრებით და ხაზგასმულად ბერძნული დროშების თანხლებით.

ბიზანტიის, უფრო სწორად კი, როგორც თვითონ უწოდებდნენ, რომის იმპერიისდროინდელი ბერძნების ძველი დიდებულებისადმი ნოსტალგია ამჟამად მძლავრად ღვივდება. ეს არის ძირეული სხვაობა მელქიტურ ბერძნულ საპატრიარქოსა და ეგვიპტის ძირძველ მკვიდრ კოპტებს შორის. ბერძნების ეროვნული სიამაყე მართლმადიდებლურ სამყაროში განხეთქილებისათვის ძლიერი ინსტრუმენტია. ქრისტიანობის გარიჟრაჟზე და მართლმადიდებლური სწავლების გავრცელების პერიოდში **მართლმადიდებლობის** ზეიმის საშუალებად ოსტატურად გამოიყენებოდა ეს დიდებულება, ახლა კი იგი იმ ბოროტი ძალების ხელში აღმოჩნდა, რომლებსაც განხეთქილება შეაქვთ მართლმადიდებლურ სამყაროში.

**სერგეი კულაკოვი**



**«უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის» შექმნიდან ერთი წლის განმავლობაში მის რიგებში გადავიდა ან ძალით გადაიყვანეს უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის 1%-ზე ნაკლები. დაიკავეს დაახლოებით 100 ტაძარი, 220 სამრევლო უკანონოდ გადარეგისტრირდა და დაახლოებით 78 სამრევლო ნებაყოფლობით გადავიდა. ეს სულ უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილი 12 000-ზე მეტი სამრევლოს 1%-ზე ნაკლებს შეადგენს, თანაც რამდენიმე სამრევლო უკვე დაბრუნდა უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში**

„ჩვენ ვმართავთ საქმიან დიალოგს ბალკანეთის ყველა სახელმწიფოსთან; მივისწრაფვით, ხელი შევუწყოთ კეთილმეზობლური და ურთიერთგაგების ატმოსფეროს შექმნას, კონფლიქტის პოტენციალის შემცირებას ევროპის კონტინენტის ამ ნაწილში. რუსეთი მზად არის, მხარი დაუჭიროს კოსოვოს პრობლემის შესაძლო კომპრომისულ გადაწყვეტას, თუ ასეთი რამ მიღებული იქნება ბელგრადსა და პრიშტინას შორის. ჩვენ, რა თქმა უნდა, მხარს დავუჭერთ სერბეთის პოზიციას“

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსეთმა სირიის შემდეგ ბალკანეთში კონფლიქტების მოგვარებას მიჰყო ხელი



**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სოჭში სერბეთის პრეზიდენტი ალექსანდრე ვუჩიჩი მიიღო. მოლაპარაკებების თემა იყო არა მხოლოდ კულტურული და ეკონომიკური კავშირები ორ ქვეყანას შორის, არამედ კოსოვოს პრობლემაც.**

„რუსეთი, ისევე, როგორც სერბეთი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სტაბილურობასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას ამ რეგიონში. ჩვენ ვმართავთ საქმიან დიალოგს ბალკანეთის ყველა სახელმწიფოსთან, მივისწრაფვით, ხელი შევუწყოთ კეთილმეზობლური და ურთიერთგაგების ატმოსფეროს შექმნას, კონფლიქტის პოტენციალის შემცირებას ევროპის კონტინენტის ამ ნაწილში. რუსეთი მზად არის, მხარი დაუჭიროს კოსოვოს პრობლემის შესაძლო კომპრომისულ გადაწყვეტას, თუ ასეთი რამ მიღებული იქნება ბელგრადსა და პრიშტინას შორის. ჩვენ, რა თქმა უნდა, მხარს დავუჭერთ სერბეთის პოზიციას“, — თქვა პუტინმა.

საპასუხოდ, ვუჩიჩმა განაცხადა, რომ 1999 წელს რუსეთის სათავეში პუტინი რომ ყოფილიყო, ვერავინ გაბედავდა ბელგრადის დაბომბვას. პრეზიდენტებმა ერთმანეთს გაუზიარეს თვალსაზრისი ბალკანეთში შექმნილ ვითარებაზე.

# რუსეთთან კეთილმეზობლობის ფასი: ჩინეთისკენ მიმავალი ახალი გაზსადენი მონღოლეთზე გაივლის

**რუსეთსა და მონღოლეთს კარგი შესაძლებლობები აქვთ ენერგეტიკული თანამშრომლობის გასაღრმავებლად და მასში სხვა ქვეყნების ჩასართველად. ამის თაობაზე განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მონღოლეთის პრემიერმინისტრ უხნააგიინ ჰურელსუჰთან შეხვედრისას.**



„რაც შეეხება ენერგეტიკას, ჩვენ გვაქვს განვითარების კარგი შესაძლებლობები, მათ შორის, მესამე ქვეყნების მონაწილეობითაც. პატივცემულო პრემიერმინისტრო, ჩვენ მზად ვართ, მხარი დავუჭიროთ მონღოლეთის დიალოგს ევრაზიის ეკონომიკურ კავშირთან. ვიცი, რომ ჩვენი მონღოლი მეგობრები ინტერესს იჩენენ ამ საკითხის მიმართ და სურთ თანამშრომლობა“, — თქვა რუსეთის პრეზიდენტმა. პუტინმა მიუთითა, რომ რუსეთ-მონღოლეთის საქონელბრუნვამ შარშან 21%-ით მოიმატა, ხოლო მიმდინარე წლის პირველი 8 თვის განმავლობაში — 15%-ით. ლაპარაკია თხევადი ბუნებრივი აირის, ნავთობპროდუქტების, ელექტროენერგიისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდებაზე.

ამის პარალელურად ცნობილი შეიქნა, რომ **რუსული კომპანია „გაზპრომი“ მუშაობს ჩინეთში მომავალი ახალი გაზსადენის პროექტზე. გაზსადენი მონღოლეთის ტერიტორიას გაივლის.**

**რუსეთ-მონღოლეთის საქონელბრუნვამ შარშან 21%-ით მოიმატა, ხოლო მიმდინარე წლის პირველი 8 თვის განმავლობაში — 15%-ით. ლაპარაკია თხევადი ბუნებრივი აირის, ნავთობპროდუქტების, ელექტროენერგიისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდებაზე**



# ალიევმა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დანიშნა

**აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა პარლამენტი დაითხოვა და რიგგარეშე არჩევნები 2020 წლის 9 თებერვლისთვის დანიშნა. შესაბამისი განკარგულება გამოქვეყნებულია სახელმწიფოს მეთაურის ვებგვერდზე.**

მილიმეჯლისის (პარლამენტის) მორიგი არჩევნები აზერბაიჯანში 2020 წლის ნოემბერში უნდა ჩატარებულიყო.

# ვუჩიჩი რუსეთს ეწვევა გამარჯვების 75 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე 2020 წლის 9 მაისს



**სერბეთის პრეზიდენტი ალექსანდრე ვუჩიჩი დათანხმდა მიწვევას და ის გამარჯვების 75 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე 2020 წლის 9 მაისს რუსეთს ეწვევა. ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა სოჭში სერბ კოლეგასთან მოლაპარაკების შემდეგ.**

პუტინმა აღნიშნა, რომ რუსეთი მოხარული იქნება წითელ მოედანზე გამართული აღლუმის მონაწილეთა შორის სერბი სამხედროების გამოჩენის.




# პოლონელების ფერისცვალება

## პოლონელებიც გონს მოდიან, საქართველოს ისტებლიშმენტს კი საშველი არ დაადგა

**პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ ლონდონში გამართული ნატოს სამიტის შედეგებზე მსჯელობისას განაცხადა, რომ მოსკოვი არ არის ალიანსის მტერი. პოლონეთის ლიდერმა იყნოსა, საიდან უბერავდა ქარი და გადაწყვიტა, დისონანსში არ შესულიყო ტრამპსა და მაკრონთან.**

დუდას მოსაზრება რუსეთის შესახებ პასუხი იყო ჟურნალისტების ორ კითხვაზე და არა მისი პროგრამული განცხადების ნაწილი. პრეზიდენტმა დასაწყისში ხაზი გაუსვა, რომ ნატოს კონტექსტში **„ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ რომელიღაც მტერზე საერთაშორისო დონეზე“.** შემდეგ მან დააზუსტა, რომ რუსეთი არის **„ჩვენი მეზობელი, რომელსაც ვეთანხმებით ყველა საკითხში“, „რუსეთის ზოგიერთი ქმედება მიუღებელია“, მაგრამ „არ არსებობს არანაირი მტრული დამოკიდებულება მის მიმართ“. დუდამ აღნიშნა, რომ „რუსეთი — ეს არის მეზობელი, პარტნიორი, იმიტომ, რომ დღევანდელი მსოფლიო წარმოადგენს ეკონომიკური გაცვლების დიდ ველს და ამის გამო უნდა ვიმსჯელოთ სხვადასხვა საკითხზე“.**

# გამოკითხული იტალიელების ნახევარზე მეტი ამბობს, რომ რასისტული ქმედებები გამართლებულია



**გამოცემა „გარდიანის“ ინფორმაციით, გამოკითხული იტალიელების ნახევარზე მეტი ამბობს, რომ რასისტული ქმედებები ზოგჯერ ან ყოველთვის გამართლებულია.**

საზოგადოებრივი აზრის კვლევების კომპანია SWG-მა 1500 ადამიანი გამოკითხა. რესპონდენტთა 10%-მა განაცხადა, რომ რასისტული ქმედებები ყოველთვის გამართლებულია, ხოლო 45%-მა თქვა, რომ რასისტული ქმედებები, შესაძლოა, მისაღები იყოს, გააჩნია სიტუაციას. დანარჩენი 45%-ის აზრით, რასისტული ქმედებები სრულიად მიუღებელია.




# შვედეთში ანტისემიტურმა თავდასხმებმა მოიმატა

**სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, შვედეთში ანტისემიტური თავდასხმების რაოდენობამ მოიმატა.** დანაშაულის პრევენციის საბჭოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, ანტისემიტური თავდასხმების რაოდენობამ ორ წელიწადში 52%-ით მოიმატა. 2016 წელს ასეთი 182 შემთხვევა აღირიცხა, 2018 წელს კი — 278. შვედეთის საზოგადოებრივ მაუწყებელთან საუბრისას რიგითი ებრაელებიც ადასტურებენ ამ მოვლენას და აცხადებენ, რომ სხვა ქვეყანაში გადასვლაზე ფიქრობენ.

**გვერდი მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძე**

გული, ჩადექ საგულესა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დამღალა და მღლის ის საშინელი ყოფა, რომელიც ქვეყანაშია და რომელსაც ვერ ვეგუები. ვერც ვერასოდეს შევეგუები ადამიანების გულგრილობას, შურს, ბოროტებით მოწინააღმდეგის განადგურების სურვილს“.**

გულიკო ჩაფიძე:

# თუ დამკვიდრდა ის «სიახლე», რომელსაც სამინისტრო გვთავაზობს, მედიცინა განადგურდება

**საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ბოლოს და ბოლოს, ინფარქტების განყოფილებები რომ შეიქმნა, ამ სტრუქტურების სათავეში ყველგან ქალები აღმოჩნდნენ, რუსეთის გარდა, სადაც ინფარქტის განყოფილებას პროფესორი ევგენი ჩაზოვი ჩაუყენეს სათავეში, საბჭოთა კავშირის ჯანდაცვის მომავალი მინისტრი, საქართველოში — ქალბატონი გულიკო ჩაფიძე. იქიდან მოყოლებული (უფრო ადრიდანაც) ქართული მედიცინის კაბადონზე მისი ვარსკვლავი ბრწყინვალებს.**



ლეგენდარული გულიკო ჩაფიძე

ვსხედვართ მისი სახელობის კლინიკის 503-ე პალატაში მკურნალი და პაციენტი, რომელიც, საუბედუროდ, ჟურნალისტიც არის და „კომპეტენტურობით“ მოვარაყებული დილეტანტური შეკითხვებით საქმეს აცდენს ექიმს.

უწინარესად, არკვევს, რას ნიშნავს კარდიოლოგია, რომელიც მოიცავს გულის ყველა დაავადებას...

— ანთების, ინტოქსიკაციის შედეგად რომ ჩნდება, ესაა მანკები, მიოკარდიტი, იშემიური დაავადება, კარდიომიოპათიები.

**— თქვენ, ქალბატონო გულიკო, მხოლოდ ჩამოთვალეთ გულის დაავადებები და მე, მსმენელი, უკვე დავითრგუნე. თქვენ, როგორც ვიცი, ამ სფეროში 61 წელი მოღვაწეობთ.**

— 65 წელიწადია.

**— მით უფრო!.. ხომ არ დაიღალეთ?**

— არა, მუშაობისგან არა, ცხოვრებისგან — ძალიან. ჩემი ცხოვრების მეორე ნახევარი წარმოუდგენლად მძიმე იყო, განსხვავებით პირველი ნახევრისგან, რომელიც შეიძლება ბედის ნებიერას ჰქონდეს: გარემო — არაჩვეულებრივად კარგი, ოჯახში, შეიძლება ითქვას, იდეალური პირობები, შესანიშნავი მეუღლე, მშობლები, რომლებიც ყველანაირად მეხმარებოდნენ, საყვარელი შვილები...

და ერთ დღეს უეცრად დაინგრა ეს ყველაფერი: ჯანმრთელი შვილი ხელიდან გამოგვეცალა. ავარიამ შეიწირა. შემდეგ მოყვა ამას მეუღლის გარდაცვალება, მეორე ვაჟის, შვილიშვილის ამ ცხოვრებიდან წასვლა.

ამან ძალიან დამღალა: **„დავიღალე, დავიღალე, მოდი ჩემთან, უფალო!“... დამღალა კი არა, გამანადგურა. ავადმყოფების მკურნალობას, მუშაობას არ დავუღლივარ. პირიქით, სულ ვეძებ (იმათ გარდა, ვინც ვიცი, ვისზეც ნათქვამი აქვთ) მძიმე ავადმყოფებს, კლინიკის ყველა სართულს ჩამოვივლი ყოველ დღე, ვნახულობ.**

**— გაკლიათ და ივსებთ?**

— ჯერ ერთი, მე თვითონ მაქვს ამის სურვილი. მეორე, ახალგაზრდებს უნდა ავუხსნა, ვურჩიო, გარკვეული კონსულტაცია მივცე, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, რა უნდა გაკეთდეს ავადმყოფის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დიდი პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ, რაც შემიძლია, ვეხმარები. როგორც წესი, ახალგაზრდა ექიმების მიერ არჩეული მკურნალობის სტრატეგია სწორია და თანამედროვე მოთხოვნებს მაქსიმალურად უპასუხებს.

**დამღალა და მღლის ის საშინელი ყოფა, რომელიც ქვეყანაშია და რომელსაც ვერ ვეგუები. ვერც ვერასოდეს შევეგუები ადამიანების გულგრილობას, შურს, ბოროტებით მოწინააღმდეგის განადგურების სურვილს.**

მორწმუნე ვარ. **რომ გითხრა, ძალიან მორწმუნე-მეთქი, ალბათ, არა. ჩემი ეკლესიაში შესვლა დაიწყო შვილის გარდაცვალების შემდეგ. უწმინდესმა შთამაგონა. და, საერთოდ, ჩემს ცხოვრებაში ძალიან დიდი წვლილი სწორედ მას მიუძღვის. მან არ წამაქცია. ყველაფერი გააკეთა, ამ ცხოვრებისკენ ჩემ შემოსაბრუნებლად... თავის მოკვლა მქონდა გადაწყვეტილი. მაშინ წამიყვანეს უწმინდესთან. პირველივე დღეებში ჩემი უბედურების.**

სხვა საზრუნავი დამაწვა მხრებზე: შვილიშვილები უნდა გამეზარდა. მარტო დავრჩი. სიკეთე უნდა გამეკეთებინა, ეკლესიაშიც უნდა ვყოფილიყავი და, ექიმის მოვალეობაც უნდა შემესრულებინა.

ჩემი ყოველი დილა იწყება ლოცვით. ადრე, როცა წაკითხვა მიწევდა, ორ საათს ვანდომებდი. ახლა, როცა უკვე ზეპირად ვიცი, ერთი საათი მჭირდება.

**— სიხარულს რა განიჭებთ, ქალბატონო გულიკო?**

— ის, რომ ორი შვილიშვილი მყავს. სამი მყავდა, მაგრამ ერთი, 23 წლის ბიჭი დამეღუპა.

მყავს ოთხი შვილთაშვილი. ესენია ჩემი სიხარული და, ამასთან ერთად, რასაკვირველია, ჩემი, როგორც მკურნალის, საქმიანობა.

არასოდეს მიფიქრია, დილით რატომ არ უნდა დავაგვიანო; მძიმე ავადმყოფი ვნახო, ის, ვისაც რამდენჯერმე სჭირდება დახედვა, იმდენჯერვე მივიდე; ან ტელეფონით დავუკავშირდე, ან ახალგაზრდა მედპერსონალის მეშვეობით, რომელიც ჩემთან კაბინეტში ზის. გავიგო მისი ამბავი.

**დღის მეორე ნახევარში, როგორც წესი, ვკითხულობ სპეციალურ ლიტერატურას, ვეცნობი მედიცინის სიახლეებს, ჩემმა პატარა შვილთაშვილმა, წიგნებში და ჟურნალებში ჩემს ჩაკირკიტებას რომ უყურა (მაშინ უფრო პატარა იყო), მითხრა: სულ რომ ზიხარ და კითხულობ, შენ, ალბათ, გიჭირს დამახსოვრება და სწავლა, თორემ მე ერთხელ წავიკითხავ და ვიხსომებო** *(ვიცინით გულიანად).*

ესენი მანიჭებენ სიხარულს და, **როცა ავადმყოფს გამოჯანმრთელებაში ხელს შევუწყობ, რაღაცას რომ გავუკეთებ, არ ვამბობ — სასწაულს, ის მახარებს.**

სია მაქვს ავადმყოფების, ყოველ დღე ახალ სიას ჩამოვწერ, ქვევიდან მოვყვები, მეშვიდე სართულამდე ავდივარ, თუ რამ სჭირდებათ, ვეხმარები და, ცოტა მაინც თუ ეშველა, ის მამშვიდებს.

აი, ახლა თქვენც შემოგიარეთ.

**— მადლობელი ვარ დიდად... თქვენ რომ ახსენეთ საგალობელი „დავიღალე, დავიღალე, მოდი ჩემთან, უფალო“, ავტორი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია... წლებია, მის გვერდით ხართ.**

— ოცდაათი წელიწადია უკვე.

**— შეგიძლიათ, მითხრათ, როგორი პიროვნებაა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი, როგორი ადამიანია ყოფით ურთიერთობაში?**

— თუ შეიძლება წარმოვიდგინოთ ამქვეყნად წმინდა ადამიანი, ასეთია საქართველოს პატრიარქი **ილია II.** მე მისნაირი სიკეთე და სიყვარული არც მინახავს, არც გამიგია. რაც გინდა დააშავოს ადამიანმა, ყველას მიმტევებელია. ცოცხალი მაგალითია თანადგომის, თანალმობის.

**ორი შვილი, შვილიშვილი და მეუღლე დავკარგე. მეუღლეც, ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდა იყო. იმან ვერ გაუძლო. მე გავუძელი, ხომ ხედავთ. არც ერთხელ არ დავცემულვარ, უწმინდესმა არც ერთხელ არ დამაჩოქა, ქედის მოდრეკის უფლება არ მომცა.**

ერთხელ მონასტერშიც კი წამიყვანა— ეს მეორე შვილის გარდაცვალების შემდეგ იყო, სადაც თვე-ნახევარი დავყავი, როცა მიწა გამომეცალა ფეხქვეშ... კონსულტაციაზე გერმანიაში წავიყვანე, რადგან აქ, ჩვენთან ვერ დასვეს დიაგნოზი, გული კი მეუბნებოდა, რომ ეს ჩვეულებრივი ფილტვების ანთება არ იყო.

გერმანიაში წავიყვანე-მეთქი შვილი. კონსულტაციის შემდეგ გერმანელი კოლეგებისგან რომ გამოვედი, პირველი ზარი (როგორ გათვალა, მიკვირს) უწმინდესის იყო:

— გულიკო, როგორ ხარ?

— უწმინდესო, დავიღუპე-მეთქი, და გაჩერდიო, მითხრა, — ყველაფერი კარგად იქნებაო.

— არ იქნება კარგად, ვუპასუხე, სასწაულები არ ხდება.

— ხდება სასწაულები! წამოიყვანე და წამოდით.

ყველაზე დიდი თანადგომა, მიუხედავად იმისა, რომ უზარმაზარი საქმე აბარია, ქრისტეს მოძღვრების დაცვის, ქართველი ერის სულიერების, რწმენის განმტკიცების ისტორიულად მნიშვნელოვანი საქმე, ერთი დღეც არ მიგრძვნია, ჩემზე რომ არ ფიქრობდა.

სწორედ მაშინ აპირებდა გერმანიაში ჩასვლას უწმინდესი. გვიან ღამეს დამირეკეს და მეუბნებიან, რომ ჩემთან უნდა დალაპარაკება. მიაწოდეს ყურმილი და მეუბნება:

— გულიკო, შენ წამოხვალ ჩემთან ერთად. ღამის რეისით მიფრინავდა, სამ თუ ოთხ საათზე.

— ვერ წამოვალ, არ შემიძლია-მეთქი.



გულო, ჩადექ საგულესა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ბოლო წლებში მინისტრებად ვინ არ დაგვისვეს — ეკონომისტი, ფინანსისტი, ისტორიკოსი, ვინც გინდა, მაგრამ არა ექიმი. რა ენაზე უნდა გველაპარაკა ჩვენ, ექიმებს, მათთან?! ისინიც ვერ გველაპარაკებოდნენ, არ იცოდნენ, რა უჭირდა და რა ულხინდა ექიმს, ავადმყოფს“.

◀ არც ბილეთი მქონდა, არც პასპორტი, არც ვიზა.

— წამოხვალ! — მითხრა კატეგორიულად და **შალვა პეტრიაშვილის** ბილეთით მართლაც გავყევი უწმინდესს.

როგორ მოახერხა ამის ორგანიზება, არ მიკითხავს არც მაშინ, არც მას შემდეგ. არასოდეს.

მაინც დიდხანს ვერ გავჩერდი. ვუთხარი, რომ უნდა დავბრუნებულიყავი თბილისში.

რატომო, მკითხა.

ვუთხარი, რომ მენატრება.

რა გენატრებაო?

ჩემი შვილების საფლავები.

დამთანხმდა.

**— ამის მოსმენაც კი მიჭირს, ქალბატონო გულიკო, — ძლივს ამომხდა მეტყველების უნარდაკარგულს.**

— ამიტომაა, რომ მეც ვცდილობ, არც არავის ველაპარაკო ამის თაობაზე. ჩემი ოჯახის წევრებმაც არ იციან, რასაც მე განვიცდი. სამსახურში ხომ ჩემი ცრემლი არავის უნახავს პაციენტთან, მის პატრონთან ურთიერთობისას. ამიტომ ყველა მეუბნება: გულიკო, რა კარგად ხარ!

ესეც უწმინდესმა მირჩია: როცა გეკითხებიან, როგორ ხარ, უპასუხე, რომ კარგად ხარ... მეც ასე ვიქცევი.

**მკურნალის ჯვარია ეს: აბა, წარმოიდგინეთ, პაციენტის წინაშე საკუთარ გაჭირვებასა და უბედურებაზე მოწუწუნე ექიმი... ეს ხომ ყველა პერსპექტივისთვის საფუძვლის გამოცლას ნიშნავს...**

— მე საკუთარ თავთან მარტოდ ვრჩები მხოლოდ გვიან ღამით. რას განვიცდი მაშინ, ეს არავის საქმე არ არის: ჩემი ტრაგედიით სხვას ვერ და არ დავთრგუნავ... საფიქრალი და საზრუნავი ისედაც ყველას აქვს, ჩემითაც რომ არ დავუმძიმო...

**(რესპონდენტის გულახდილობით სპეკულაცია ცოდვაა არცთუ მცირე და მიუტევებელი, ამიტომ ამ თემის ექსპლუატაციისგან თავს შევიკავებ და სამედიცინო დარგის პრობლემებზე გადასვლას ვიჩქარი).**

**— ქალბატონო გულიკო, ობივატელის ლოგიკა წლების განმავლობაში ტრაფარეტულ ფორმულად ჩამოყალიბდა: ჯანდაცვის სფეროში პრობლემის წარმატებით გადაწყვეტად ითვლება ამა თუ იმ დაავადების აღმოფხვრა — შავი ჭირი, ყვავილი, მალარია.**

**კარდიოლოგიის დარგში მედიცინის მიღწევების პარალელურად, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები კი არ მცირდება, არამედ მატულობს, „ახალგაზრდავდება“.**

**იქნებ აუხსნათ ჩვენს მკითხველებს, რა ხდება?**

— ამას ობიექტური მიზეზები განაპირობებს, მთელ მსოფლიოში. ახალი რისკ-ფაქტორები დრომ მოიტანა. ავიღოთ, თუნდაც, ისეთი ელემენტარული რეალობა, როცა ადამიანი ვეღარ იკვებება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტით, გამოფიტულ მიწას შხამ-ქიმიკატებით ვანოყიერებთ, არაორგანული სასუქით. შეიცვალა ცხოვრების ტემპი და, საერთოდ, ყველა დროს თავისი სპეციფიკური მახასიათებელი მოაქვს, რაც ყოველთვის როდია კაცობრიობისთვის სასარგებლო. სტრესული სიტუაციები ძალიან ბევრია.

ამასთანავე, მედიცინამ, საერთოდ, მსოფლიოში და საქართველოში, კერძოდ, დიდი ნაბიჯი გადადგა განვითარებისკენ. ამას დაბეჯითებით ვაცხადებ, რადგან ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ვეწეოდი სამედიცინო საქმიანობას, აქტიურად, როგორც ექიმი.

**40-50 წლის წინათ ძალიან დიდი იყო სიკვდილიანობა. დღეს მედიცინამ, მე მხოლოდ კარდიოლოგიაზე ვლაპარაკობ, მიაღწია იმას, რომ, რისგანაც უწინ ხალხი იღუპებოდა, აღარ იღუპება. ინფარქტს ვმკურნალობდით თვეების განმავლობაში და ამის შემდეგ 3-6 თვე კიდევ ბიულეტენზე იყო პაციენტი. ახლა მე-4-მე-5 დღეს ეწერება საავადმყოფოდან, საკუთარი ფეხით მიდის.**

ინფარქტის გამო სიკვდილიანობა, ძალიან დიდი ხანია, არ აღრიცხულა.

მოიმატა სიცოცხლის ხანგრძლივობამ. ყოველდღე ჩვენთან შემოსული პაციენტები, ძირითადად, არიან ასაკოვანი ადამიანები. მათ შორის, ძალიან ბევრი ოთხმოც წელს არის გადაცილებული.

**სამწუხაროდ, გაჩნდა ახალი დაავადებები, ახალი ფორმები წარმოიქმნა და ასე იქნება ყოველთვის, სანამ არსებობს კაცობრიობა. თუ ერთი საუკუნის წინათ ადამიანები ერთი დაავადებისგან იღუპებოდნენ, 50 წლის შემდეგ ახალი დაავადება დარევს ხელს.**

ბავშვები იღუპებოდნენ წითელათი, ქუნთრუშათი. ეს წარსულს ჩაბარდა, რადგან დაინერგა ვაქცინაცია, პროფილაქტიკის ეფექტიანი მეთოდი.

მოკლედ, მედიცინამ ძალიან წინ წაიწია და კარდიოლოგიამ მნიშვნელოვანი ნახტომი გააკეთა პროგრესისკენ, გაცილებით დიდი და მნიშვნელოვანი, ვიდრე ნებისმიერმა სხვა დარგმა. გაცილებით დიდი.

**თავის დროზე, მოსკოვში, ლენინგრადსა და თბილისში ერთი წლის ინტერვალით გაიხსნა ინფარქტის განყოფილებები. ჩვენ კვალში მოგვყვა უკრაინა, ბალტიისპირეთი.** ყველას გვარები მახსოვს, ვინც იმ დროს ხელმძღვანელობდა ინფარქტის განყოფილებებს, უმჭიდროესი კონტაქტები გვქონდა უცხოელ კოლეგებთან.

მე ვიყავი საქართველოში ინფარქტის განყოფილების პირველი უფროსი. ორ წელიწადში ერთხელ ვატარებდით საერთაშორისო კონფერენციებს. ვიწვევდით კოლეგებს საბჭოთა კავშირიდან ყველას, მაგრამ მათთან ერთად ამერიკიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან და ა.შ., პრაქტიკულად, ყველა განვითარებული ქვეყნიდან.

საქართველოში ჩვენ პირველებმა გავხსენით ინფარქტის განყოფილება მხოლოდ 12 წლის შემდეგ გაიხსნა ასეთი განყოფილება კარდიოლოგიის ინსტიტუტში, რომელიც წესითა და რიგით, ამ საქმის მეთავე უნდა ყოფილიყო.

ჩვენ შემდეგ ძალიან მალე სომხეთშიც გახსნეს: ამ საქმეს ხორცი შეასხა ამერიკაში დაბადებულმა და განათლებამიღებულმა სომეხმა, ძალიან კარგ დონეზეც დააყენა კარდიოლოგია, მაგრამ ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა. და მათი კარდიოლოგია უცებ ჩავარდა. ბრწყინვალე მეცნიერი იყო. მის შემდეგ მოსულმა კარდიოქირურგმაც დიდი საქმე გააკეთა, მაგრამ ისიც გარდაიცვალა...

**— საქართველოში ეს დარგი ძალიან ჩამორჩება მსოფლიო დონეს?**

— არა, არა! იყო დრო, როცა მართლაც ჩამოვრჩებოდით, სანამ დაიწყებოდა ინვაზიური კარდიოლოგია, ქირურგია. ახლა, პრაქტიკულად, ერთ დონეზე ვდგავართ, მაგრამ, ალბათ, ამჩნევთ, რომ რაღაც არამდგრადი მდგომარეობა იქმნება.

ახალი ტენდენცია დაიწყო, რომლის გამოც ყველაფერი იცვლება, ძალიან ცუდითაც იცვლება. იმედი მაქვს, საბოლოოდ არ მიიღებს იმ სახეს, როგორიც ახლა წარუდგინეს ექიმებს.

ახლა პანიკაა. ეს „სიახლე“, თუ დამკვიდრდა, მედიცინა სულ ცოტა ხანში განადგურდება, სულ ცოტა ხანში. **იმ გეგმის თუ ცვლილების განხორციელება, რომელიც სამინისტრომ წამოაყენა, არ შეიძლება, ყველაფერი განადგურდება. ახალგაზრდა ექიმები მასობრივად წავლენ საზღვარგარეთ სამუშაოდ. ახალგაზრდებმა ენა (ინგლისური) იციან, ყველგან მიიღებენ — ევროპაშიც, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. ძალიან კარგად მომზადებული კადრები გვყავს. მოკლედ, კადრებს დავკარგავთ, თუ ამ ცვლილებებს დავაკანონებთ.**

ერთიც კიდევ.

ყველა სამედიცინო დაწესებულებას, არა მხოლოდ კლინიკებს, ჯანდაცვის სამინისტროსაც ვგულისხმობ, უნდა ხელმძღვანელობდნენ ექიმი-პროფესიონალები. ახლა იტყვიან, გულიკო კომუნისტების დროს მისტირისო. არავის მივტირი, ფაქტს ვიხსენებ: **ჯანმრთელობის დაცვის მინისტრებად ინიშნებოდნენ მხოლოდ დამსახურებული, დიდი კლინიცისტი პროფესორები, დოქტორები.**

**40-მდე მინისტრი შეიცვალა ჩემ დროს, ისინი კორიფეები იყვნენ, შესანიშნავად იცოდნენ, რა სჭირდება ექიმს, რა სჭირდება** პაციენტს. მინისტრისა და ექიმის ურთიერთობისას მათ ერთმანეთის ესმოდათ.

ასეთი ტრადიციაც იყო: ახალდანიშნული მინისტრი ცოტა ხანში იწვევდა ყველა დარგის წამყვან ექიმებს. პრობლემა არ იყო მინისტრთან შესვლა, მასთან თავისუფლად დალაპარაკება.

მაგრამ **ბოლო წლებში მინისტრებად ვინ არ დაგვისვეს — ეკონომისტი, ფინანსისტი, ისტორიკოსი, ვინც გინდა, მაგრამ არა ექიმი. რა ენაზე უნდა გველაპარაკა ჩვენ, ექიმებს, მათთან?! ისინიც ვერ გველაპარაკებოდნენ, არ იცოდნენ, რა უჭირდა, ან რა ულხინდა ექიმს, ავადმყოფს.**

**— მოადგილეები ხომ ჰყავთ, ამა თუ იმ დარგის სპეციალისტები!**

— ძალიან ხშირად ისინიც არ არიან ექიმები, მენეჯერები არიან. და მათაც არ იციან, რა არის მთავარი, ოპერატიულად გადასაწყვეტი საკითხები, რა სიახლე უნდა დანერგონ დიდი სახსრების დახარჯვის გარეშე. **კერძო კლინიკები აიღეთ, ნახეთ, ვინ მართავს — ადამიანები, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ მკურნალობის პროცესზე, სჭირდებათ დარწმუნება, რომ ავადმყოფობის მკურნალობა კი არ არის მათი საქმე და დანიშნულება, არამედ ავადმყოფის გამოჯანმრთელება.**

**— გამოსავალს ხედავთ?**

— ჯერ ერთი, ყველგან უნდა იყვნენ პროფესიონალები, მათ უნდა გაუფრთხილდნენ. მნიშვნელობა არ აქვს ასაკს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს უნდა შეუქმნან დაოსტატების, პროფესიული ზრდის პირობები: **ექიმმა უნდა იმუშაოს ავადმყოფთან და არა ქაღალდებთან. ბიუროკრატიზმი უნდა შემცირდეს. და თუ მაინცდამაინც სავალდებულოა, დაავალონ საკანცელარიო საქმის წარმართვა არა ექიმს, არამედ კანცელარისტებს.**

ექიმის ინტერესებითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ და არა მხოლოდ პაციენტის ინტერესებიდან გამომდინარე. ექიმს მუშაობის კომფორტულ პირობებს თუ შეუქმნი, იგი დღე და ღამე საქმეზე იქნება გადაგებული.

სულ ახლახან ძალიან მძიმე პაციენტს ორი ოპერაცია ერთდროულად გაუკეთდა — შუნტირება ძალიან რთული მანკით და აორტის ანევრიზმა. მთელი ბრიგადა ორი თუ სამი დღე და ღამე კლინიკიდან არ გასულა.

ის ავადმყოფი კარგად გაეწერა.

ექიმი თავდადებული იქნება, თუ ხელს შეუწყობენ. სხვანაირად არაფერი გამოვა.

**— მაგალითად მოხმობილ ექიმების ბრიგადას ვინ ხელმძღვანელობდა?**

— ახალგაზრდა ქირურგი **ლაშა ბასილაშვილი.**

**— წოდებები არ აქვს?**

— არავითარი, მაგრამ ძალიან კარგი ქირურგია.

ქირურგიული ოპერაციები ჩვენთან ჯერჯერობით ყოველ დღე ტარდება, მაგრამ, თუ ის „რეფორმა“ დაინერგა, რომელსაც სამინისტრო გვთავაზობს, ოპერაციები ჩვენთან მნიშვნელოვნად შემცირდება, პატარა კლინიკებში კი საერთოდ გაქრება.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**



კარდიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე ნონა მაისურაძე — მოდის ღირსეული ცვლა

**კერძო კლინიკები აიღეთ, ნახეთ ვინ მართავს — ადამიანები, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ მკურნალობის პროცესზე, სჭირდებათ დარწმუნება, რომ ავადმყოფობის მკურნალობა კი არ არის მათი საქმე და დანიშნულება, არამედ ავადმყოფის გამოჯანმრთელება**



**P.S.** აკადემიკოს გულიკო ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი კერძო კლინიკაა. რომ ვკითხე, თქვენ რა წილი გაქვთ ამ კერძო საკუთრებაში-მეთქი, მიპასუხა:

— არავითარი! ხელფასზე ვმუშაობ. იმაზე დიდი წილი, ჩემი სახელობის კლინიკა რომ არის, ვერც წარმომიდგენია!

ა.ს.

ამბები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტრანსპორტის ჯგუფში აღირიცხა ფასების 3,1-პროცენტიანი მატება, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე ფასები მომატებულია 7,4 პროცენტით, რაც 0,32 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები გაიზარდა საზოგადოებრივ კვებაზე (8,4 პროცენტი) და ღამის გასათევით მომსახურებაზე (1,0 პროცენტი).**

## პროვინციალიზმის ზეიმი



**„ინგლისური ანბანის რიგის მიხედვით, ევროსაბჭოს თავმჯდომარეობა ექვსი თვით საქართველოს მოუწია. შემდეგი გერმანია იქნება. ანგელა მერკელს თავში აზრად მოუვა, რომ ეს თავის წარმატებად გაასაღოს და დიდი ზეიმი მოაწყოს ქალაქის ქუჩებში? არა, რა თქმა უნდა.**

„რასაც ივანიშვილი და „ქართული ოცნება" 14 დეკემბერს აწყობს, არა მხოლოდ უგუნურობისა და პროვინციული პოლიტიკანობის ზეიმია, არამედ სხვა მიზნებსაც ემსახურება. ეს, ფაქტობრივად, არის წინასაარჩევნო კამპანიის დაწყება და საზოგადოებაში იმ ილუზიის შექმნა, თითქოს ხალხი ხელისუფლებას კვლავ უჭერს მხარს," — ასე შეაფასა ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე რომან გოცირიძემ 14 დეკემბერს „ქართული ოცნების" ახალგაზრდული ორგანიზაციის მიერ დაგეგმილი შეკრება.

მოხერხება არ უნდა, ოპოზიციონერს ასეთი ზუსტი კრიტიკის, საბაბი კი არა, მიზეზი მისცე?.. თანაც ვის?

## ევროინტეგრაციის არც თუ სახარბიელო ხიბლი



**„ყველა მშობელმა იცოდა, თუ რა სახის ფოტოსესია იყო, რა მიზნით გამოიყენებოდა ეს ფოტოები და იცოდნენ, რომ მამაკაცი კლიენტებისთვის იყო გათვლილი", — განუცხადა არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის უკანონოდ დამზადება-გასაღებისა და ტრეფიკინგის საქმის პროკურორმა მარიამ გოგორელიანმა ჟურნალისტებს სასამართლო პროცესის შემდეგ.**



„მოპოვებულია მტკიცებულებები, ეს არის მოწმეთა გამოკითხვის ოქმები, ასევე, ფარული საგამოძიებო მოქმედებები, აგრეთვე, კომპიუტერული სისტემიდან იქნა გამოთხოვილი მათი მიმოწერა სოციალურ ქსელში. ამ მიმოწერით დასტურდება, რომ ბრალდებულები თვითონ აქტიურობდნენ, ყოფილიყო ფოტოსესია; დასტურდება ასევე, ფულის აღების ფაქტი და ის, რომ იცოდნენ, რა სახის ფოტოსესია იყო", — განაცხადა საქმის პროკურორმა.

მისივე თქმით, ფოტოსესიები, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

## რუსეთი და ნორვეგია თავიანთი თავდაცვის სამინისტროებისთვის კავშირგაბმულობის პირდაპირ არხს ქმნიან



**მოსკოვი და ოსლო მუშაობენ კავშირგაბმულობის პირდაპირი არხის შექმნაზე რუსეთისა და ნორვეგიის თავდაცვის სამინისტროებს შორის, — განაცხადა რუსეთში ნორვეგიის ელჩმა რუნე რესალანმა ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საქმეების კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე კოსაჩევთან შეხვედრისას.**

„როგორც ჩემთვის ცნობილია, ამჟამად განიხილება საკითხი კავშირგაბმულობის პირდაპირი არხის შესახებ რუსეთისა და ნორვეგიის თავდაცვის სამინისტროებს შორის", — განაცხადა რუნე რესალანმა.

25 ოქტომბერს რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა **სერგეი ლავროვმა** ნორვეგიის ქალაქ კირკენესში საბჭოთა ჯარების მიერ აღმოსავლეთ ფინმარკის (ნორვეგიის ჩრდილოეთში მდებარე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული) გათავისუფლების 75 წლის იუბილის გამო ვიზიტისას რუსეთ-ნორვეგიის საზღვარს ევროპაში ყველაზე მშვიდობიანი სასაზღვრო უბანი უწოდა.

## ნოემბერში ხაჭაპურის მომზადების თვითღირებულებამ მოიმატა



**ნოემბერში ერთი სტანდარტული იმერული ხაჭაპურის თვითღირებულებამ 4,1 ლარი შეადგინა, რაც ოქტომბერთან შედარებით 6,1%-ით, წინა წლის ნოემბერთან შედარებით კი 12,6%-ით მეტია.**

„ეს აღმავალი ტრენდი მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან, როგორც წესი, წლის ამ პერიოდში ზრდას ახალი რძის მიწოდების სეზონური შემცირება და მარხვის დაწყების წინ მოთხოვნის ზრდა განაპირობებს. შედეგად, ყველისა და რძის სხვა პროდუქტების ფასებიც იზრდება. წლიური ფასის ზრდა მეტწილად ქართული ლარის აშშ დოლარის მიმართ გაუფასურებამ გამოიწვია. წლიურ ჭრილში ფასმა მოიმატა ყველა ადგილობრივად წარმოებულ (კვერცხსა და ყველზე) და იმპორტირებულ (საფუარსა და კარაქზე) პროდუქტზე. გაძვირება შეეხო იმ პროდუქტებსაც (ფქვილსა და რძის ფხვნილსაც), რომელთა წარმოებაშიც იმპორტირებული ინგრედიენტები გამოიყენება.

ნოემბერში (2018 წლის ნოემბერთან შედარებით) ხაჭაპურის ინდექსის წლიური ინფლაცია, ძირითადად, ხაჭაპურის მთავარმა ინგრედიენტებმა გამოიწვია. ყველის ფასი 18,6%-ით გაიზარდა, ფქვილის — 8%-ით, კვერცხის — 3,4%-ით, საფუარის — 2,5%-ით, რძის — 2,7%-ით, კარაქის კი — 1,3%-ით.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ 28 ნოემბერს შობის მარხვა დაიწყო, რაც რძესა და რძის პროდუქტებზე მოთხოვნას შეამცირებს და ხაჭაპურის ფასის კლებას შეუწყობს ხელს".

bpn.ge

## რუსეთი და უკრაინა ნავთობის ტრანზიტის შესახებ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე შეთანხმდნენ



**რუსეთმა და უკრაინამ ნავთობის ტრანზიტის შესახებ ხელშეკრულება 10 წლით გაახანგრძლივეს. კომპანიებმა „ტრანსნეფტმა" და „უკრტრანსნაფტამ" უკრაინის გავლით რუსული ნავთობის ტრანზიტის შესახებ შეთანხმება გააფორმეს**

შეთანხმება რუსეთსა და უკრაინას შორის 2030 წლის 1 იანვრამდე იმოქმედებს.

მხარეებმა, აგრეთვე, განაახლეს რიგი დებულებები რეგიონში ნავთობის ტრანსპორტირების კუთხით. აღნიშნულია, რომ ეს მომსახურების ბაზარზე მომხდარმა ცვლილებებმა განაპირობა. ამასთანავე, „ტრანსნეფტსა" და "უკრტრანსნაფტა" თანამშრომლობის საბაზო პრინციპები არ შეცვლილა.

„დამატებითი ხელშეკრულების გაფორმება უკრაინის ნავთობის ტრანსპორტირების სისტემის უსაფრთხო და სტაბილური მუშაობის გარანტიას იძლევა გრძელვადიან საფუძველზე და ქმნის ნიადაგს ევროპის ქვეყნების მიმართულებით კომპანიის მაგისტრალური ნავთობსადენების ნავთობის სატრანზიტო მოცულობებით დატვირთვისთვის", — განმარტეს უკრაინულ კომპანიაში.

უკრაინის გავლით რუსული ნავთობის ტრანზიტის შესახებ მოქმედი კონტრაქტი 2019 წლის ბოლოს იწურება.

## ნოემბერში ხილი 30,3 %-ით, ბოსტნეული 16,2 %-ით, რძის პროდუქტები 15,4 %-ით, ხორცი 13,1 %-ით, პურპროდუქტები კი 11,9 %-ით გაძვირდა

**„საქსტატის" მონაცემებით, ერთი წლის განმავლობაში სურსათი და უალკოჰოლო სასმელები 13,4 პროცენტით გაძვირდა.**



კერძოდ, 2019 წლის ნოემბერში, წინა წლის ნოემბერთან შედარებით, ხილი 30,3 %-ით, ბოსტნეული და ბაღჩეული 16,2 %-ით, რძე, ყველი და კვერცხი 15,4%-ით, თევზეული 14,5 %-ით, ხორცი და ხორცის პროდუქტები 13,1 %-ით, პური და პურპროდუქტები 11,9 %-ით, შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული 11,5 %-ით, მინერალური და წყაროსწყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები 8,2 %-ით, ყავა, ჩაი და კაკაო 3,9 %-ით, ზეთი და ცხიმი კი 2,8 %-ით გაძვირდა.

ერთი წლის განმავლობაში ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე ფასები გაიზარდა 15,4%-ით. კერძოდ, ფასები მომატებულია როგორც თამბაქოს ნაწარმზე (29,9%-ით), ისე ალკოჰოლურ სასმელებზე (3,4-ით%).

ნოემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, დასვენებაზე, გართობასა და კულტურაზე ფასები გაზრდილია 7 პროცენტით. ამასთანავე, ტრანსპორტის ჯგუფში აღირიცხა ფასების 3,1-პროცენტიანი მატება, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე ფასები მომატებულია 7,4 პროცენტით, რაც 0,32 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები გაიზარდა საზოგადოებრივ კვებაზე (8,4 პროცენტი) და ღამის გასათევით მომსახურებაზე (1,0 პროცენტი).

**ცნობისთვის:** „საქსტატის" მონაცემებით, ნოემბერში წლიური ინფლაციის დონემ 7% შეადგინა.

ერთი თვის განმავლობაში 150 ათასი ქვეითის ნატოსთვის გაგზავნის ინიციატივა საკმაოდ მრისხანედ გამოიყურება, მაგრამ მისი შესრულება ძალიან საეჭვოა. როგორც 2018-2019 წლების სწავლებებმა აჩვენა, 2018-2017 წლებში დაანონსებული 15-ათასიანი ევროკორპუსის ნაცვლად შეიკრიბა მხოლოდ 3,5 ათასი, თანაც მებრძოლი იქ მხოლოდ 800 კაცი იყო. დღევანდელ პირობებში კი საიდან უნდა მოიყვანონ 150 ათასი (!), გაუგებარია.

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნატოს საიუბილეო სამიტზე ალიანსის შიგნით წინააღმდეგობები კიდევ უფრო გამძაფრდა

**ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების ლონდონში გამართული სამიტი არა მხოლოდ საიუბილეო, არამედ ხმაურიანიც აღმოჩნდა. სამხედრო ბლოკის მონაწილეთა შეკრება ტიპურ ხმაურიან ბაზრად გადაიქცა. მასმედიამ უკვე უწოდა მას ალიანსის ისტორიაში ყველაზე ხანმოკლე და არაპროდუქტიული.**



ბრიტანეთის დედაქალაქში ჩასულმა **დონალდ ტრამპმა** კანადის პრემიერ **ტრიუდოს** კულუარებში ანტიტრამპული ხუმრობისთვის ორპირი ტიპი უწოდა. კიდევ უფრო დაარტყა მან საფრანგეთს, როცა სიტყვა გადაუკრა სირიაში დატყვევებული ფრანგული წარმოშობის რადიკალური ისლამისტების დეპორტაციის შესაძლებლობაზე.

ნატოს ტვინის სიკვდილის საკითხზე ერთმანეთს „კბენდნენ" საფრანგეთის პრეზიდენტი **ემანუელ მაკრონი** და მისი თურქი კოლეგა **რეჯეფ თაიფ ერდოღანი.** დიდი ბრიტანეთის პრემიერი **ბორის ჯონსონი** და ნატოს გენერალური მდივანი **იენს სტოლტენბერგი** ტრადიციულად ლაპარაკობდნენ ნატოს ერთიანობის ურყევობასა და მის დიად პერსპექტივაზე. ესპანეთის პრემიერმინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა **პედრო სანჩესმა** კი საწინააღმდეგო რამ თქვა: **„მსოფლიო ძალიან შეიცვალა. ალიანსი ამ ცვლილებებს კრიტიკულად ჩამორჩა. მისმა წევრმა ქვეყნებმა ორგანიზაციის ახალი სტრატეგია უნდა შეიმუშაონ უახლოესი ათწლეულებისთვის, უკეთესი იქნება, თუ ევროპის უსაფრთხოებას თვითონ მიხედავენ".**

ვოდევილად გამოიყურება მცდელობები რუსეთის მხრიდან მზარდი სამხედრო და გეოპოლიტიკური საფრთხეებისა, ასევე, მუქარების მოსაგერიებლად ძალისხმევის გაძლიერება და ერთდროულად ალიანსში ინტეგრაციისთვის რუსეთის მოწვევის იდეა.

აშკარა ფინანსური პრობლემების ფონზე (ლონდონში გაფრენის წინ ტრამპმა განაცხადა, რომ 22%-დან 16%-მდე ამცირებს ნატოს ბიუჯეტში გადასახდელ თანხას) ალიანსის ქვეყნების ლიდერებმა მათი სამხედრო ოპერაციების ზონად კოსმოსიც გამოაცხადეს.

რეალურ სამყაროში მათ, აგრეთვე, მოიფიქრეს ახალი ინიციატივა. სხვათა შორის, მსგავსი ინიციატივა მათ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ აქვთ. თავდაპირველად იყო **ზემაღალი მზადყოფნის ძალების კორპუსი**, შემდეგ — **ნატოს ზემაღალი ოპერატიულობის მქონე ბრიგადა**, ახლა კი მოიფიქრეს ფორმულა **„30-30-30 30 დღეში"** — ალიანსში შემავალმა ქვეყნებმა ვალდებულებად დაიკისრეს, საჭიროების შემთხვევაში ნატოს ცენტრალური სარდლობის დაქვემდებარებაში გადაიყვანენ 30 სახმელეთო ბატალიონს, 30 ავიადანაყოფს და 30 საბრძოლო ხომალდს, რომლებიც ნატოსთვის, ასე ვთქვათ, ხელმისაწვდომი იქნება 30 დღეში.

**ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მართლაც მოკვდა, მაგრამ, სხვადასხვა მონაცემის მიხედვით, მის ნაცვლად ვაშინგტონი ახალ სამხედრო-პოლიტიკურ კონსტრუქციას აგებს ევროპაში. თუ გავითვალისწინებთ ვაშინგტონის უარს მცირე და საშუალო რაკეტების განლაგების მორატორიუმზე, ჩანს, რომ ეს კონსტრუქცია საკმაოდ სახიფათო იქნება**

ერთი თვის განმავლობაში 150 ათასი ქვეითის ნატოსთვის გაგზავნის ინიციატივა საკმაოდ მრისხანედ გამოიყურება, მაგრამ მისი შესრულება ძალიან საეჭვოა. როგორც 2018-2019 წლების სწავლებებმა აჩვენა, 2018-2017 წლებში დაანონსებული 15-ათასიანი ევროკორპუსის ნაცვლად შეიკრიბა მხოლოდ 3,5 ათასი, თანაც მებრძოლი იქ მხოლოდ 800 კაცი იყო. დღევანდელ პირობებში კი საიდან უნდა მოიყვანონ 150 ათასი (!), გაუგებარია.

ყველაფრის მიუხედავად, ოდესღაც მრისხანე დასავლური სამხედრო ბლოკი ჯერ საბოლოოდ არ გადაქცეულა შაპიტოდ, ლონდონში ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერები ცდილობდნენ, თავიანთი კონკრეტული პრობლემების მოგვარების გზები მოეძებნათ.

მაგალითად, ტრამპმა მოლაპარაკებები გამართა ერდოღანთან, რა საკითხებზე ისაუბრეს, ცნობილი არ არის (ორივე მხარე დუმს), თუმცა თურქეთის პრეზიდენტის პრესსამსახურმა მოლაპარაკებებს ნაყოფიერი უწოდა, თეთრ სახლში კი თქვეს, რომ „კარგად ილაპარაკეს". როგორც ჩანს, უახლოეს ხანში საინტერესო განცხადებებს უნდა ველოდოთ.

მაგრამ მთავარი ეს არ არის.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მართლაც მოკვდა, მაგრამ სხვადასხვა მონაცემის მიხედვით, მის ნაცვლად ვაშინგტონი ახალ სამხედრო-პოლიტიკურ კონსტრუქციას აგებს ევროპაში. და, თუ გავითვალისწინებთ ვაშინგტონის უარს მცირე და საშუალო რაკეტების განლაგების მორატორიუმზე, ჩანს, რომ ეს კონსტრუქცია საკმაოდ სახიფათო იქნება.



## ლავროვი კომპრომისის შესაძლებლობას ხედავს ყარაბაღის პრობლემის მოგვარების საკითხში

**რუსეთსა და აზერბაიჯანში მიაჩნიათ, რომ მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოგვარების საკითხში არის კომპრომისის გამონახვის შესაძლებლობა, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ბაქოში აზერბაიჯანელ კოლეგა ელმარ მამედიაროვთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე.**




ლავროვის თქმით, ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საკითხში არსებობს კომპრომისის შესაძლებლობები. რუსეთის მხარე მადლიერია აზერბაიჯანელი კოლეგებისა, იმიტომ, რომ მათ გათვითცნობიერებული აქვთ იდეები, რომლებიც წამოაყენა რუსეთმა როგორც ორმხრივ კონტაქტებში, ასევე, ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარის რანგში.

ბაქო იმედოვნებს, რომ რუსეთი აქტიურად ჩაერთვება ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საქმეში.




## ნატომ ახლა კოსმოსის მილიტარიზაცია მოინდომა

### ნატოს ქვეყნების ლიდერებმა კოსმოსი სამხედრო ოპერაციების ფრონტად გამოაცხადეს

**დიდ ბრიტანეთში შეხვედრის შედეგების მიხედვით ნატოს ქვეყნის ლიდერებმა კოსმოსი თავიანთი სამხედრო ოპერაციების ფრონტად გამოაცხადეს. „ვაღიარებთ კოსმოსის მნიშვნელობას ჩვენი უსაფრთხოებისთვის და უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრისთვის. საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით ვაცხადებთ კოსმოსს ნატოს ოპერაციების ფრონტად", — ნათქვამია ნატოს სამიტის შედეგების ოქმში.**

რუსეთი, თავის მხრივ, კოსმოსის მილიტარიზაციის წინააღმდეგია. ამის შესახებ განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა.** „რუსეთი ყოველთვის თანმიმდევრულად გამოდიოდა და გამოდის კოსმოსის მილიტარიზაციის წინააღმდეგ. ვითარება ითხოვს ყურადღების დაძაბვას და ორბიტული დაჯგუფების გამაგრებას, აგრეთვე, სარაკეტო-კოსმოსური დარგის განვითარებას მთლიანობაში", — თქვა პუტინმა სამხედრო საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე.



## ნატო — სკეპტიკოსებში მატებაა

### ამჯერად ესპანეთს მიაჩნია, რომ, პირველ რიგში, ევროპის უსაფრთხოების გაძლიერებაა საჭირო

**ესპანეთის პრემიერმინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა პედრო სანჩესმა დიდ ბრიტანეთში გამართულ ნატოს წევრი ქვეყნების სამიტზე განაცხადა, რომ ნატოს სჭირდება მოდერნიზაცია, რათა ახალ გამოწვევებს გაუმკლავდეს**.

„უკვე აღარ არსებობს უსაფრთხოების გამოწვევები, რომლებიც ემუქრება მხოლოდ ერთ ქვეყანას, ამიტომ იძულებულნი ვართ, მხარი დავუჭიროთ კონსენსუსით მიღებულ გადაწყვეტილებებს", — განაცხადა სანჩესმა და ყველას მოუწოდა დაფიქრებისკენ, ნატოს რომელ ქვეყნებს სურთ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხილვა უახლოესი ათწლეულების განმავლობაში.

სანჩესი გამოვიდა მოწოდებით, გაძლიერდეს ევროპის თავდაცვისუნარიანობა, რადგან, მისი თქმით, ეს „გააძლიერებს ალიანსს და მას უფრო ეფექტიანს გახდის".

**გვერდი მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რა არის ეს ჩუმ-ჩუმად დაძრომა მაღაზიებში და სახლებში, და, რაღაც ქაღალდზე ხელისმოწერის მოგროვება? განა ქვეყანამ არ იცის — როგორ აწერინებენ ხოლმე ხელს უმეცარ ხალხს მაგგვარ ქაღალდებზე? რომ, თუნდაც ოცი-ათას კაცს მოაწერინოთ ხელი, ეგ საზოგადო აზრს არ შეადგენს და ქალაქის ხალხის სურვილს ვერ გამოხატავს? რა მნიშვნელობა აქვს ამ სხვადასხვა დეპუტაციებს, რომელთაც დაათრევთ აქეთ-იქით, ხან ერთს მიუგზავნით და ხან მეორეს? ის ფუჭი დაპირება რაღაა, რომელსაც ასე გულუხვად არიგებთ?“**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# «ვიგინდარები თვითონ გამოდიან საზოგადოების წინ და თხოულობენ, თუ ყიდულობენ, არჩევნის კენჭებს»

# ამიტომ

# «მარჯვენას თქვენსას ის არ აქმნევინოთ, რასაც გული და სინიდისი არ გეუბნებათ»

საპარლამენტო არჩევნები 2020 წლის ოქტომბერში ჩატარდება, როგორც ამას ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია, მაგრამ როგორ?

ამ საკითხზე „ქართულ ოცნებაშიც“ კი აზრთა სხვადასხვაობაა. მმართველი გუნდისა და ოპოზიციის შეხვედრების შედეგზე კი ვარაუდების გამოთქმას, სჯობს, ამჯერადაც ისტორიას მივუბრუნდეთ და ერის სასიქადულო შვილების თვალსაზრისს ჩავუღრმავდეთ, რომელიც აქტუალობას დღესაც არ კარგავს და სასარგებლო რჩევაცაა.

როგორც ცნობილია, პირველი მრავალპარტიული და დემოკრატიული არჩევნები საქართველოში 1919 წლის თებერვალში გაიმართა. მაშინ მოსახლეობამ აირჩია საქართველოს დამფუძნებელი კრება. არჩევნები პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე პარტიული სიების მიხედვით ჩატარდა და მასში 15 პარტია მონაწილეობდა.

უფრო ადრე კი, 1897 წელს, აი რას ამბობდა დიდი ილია არჩევნების შესახებ: „იცოდეთ, რომ, ვისაც ხვალ ჩააბარებთ საბჭოში ხმოსნობას, იმას აბარებთ მთელის ოთხის წლის თქვენს საერთო სვე-ბედსა, თქვენის ოჯახობის საერთო კეთილსა და ბოროტსა. ოთხი წელიწადი ბევრის რისამეა შემძლებელი, ავიც შეიძლება ბევრი მოგვაყენოს კარს და კარგიც“.

„აქ საზოგადოება კი არ ეძებს თავისი საერთო საქმეების პატრონს, მომვლელს და მოთავეს, – ვიგინდარები თვითონ გამოდიან საზოგადოების წინ და თხოულობენ, თუ ყიდულობენ, არჩევნის კენჭებს. აქ პარტიებიც გვყავს, უეჭველია, მაგრამ სულ სხვანაირი, ჩვენებური“. არ გეგონოს, მკითხველო, ეს სიტყვები დღეს ეთქვას ვინმეს, რადგან დღეს სწორედ მსგავსი სურათი გვიდევს ცხვირწინ. სამწუხაროდ, ამ პრობლემის წინაშე მდგარა ერი XIX საუკუნეშიც, რაზეც ასე წუხდა ნიკო ნიკოლაძე.

თუ რას გვიქადის 2020 წლის არჩევნების შემდგომი ოთხი წელიწადი, სწორედ რომ იმაზეა დამოკიდებული, ვის ჩავაბარებთ ძალაუფლებას, ვის ჩავუგდებთ ხელში ჩვენი ქვეყნის მომავალს, ქართველი კაცის სვე-ბედს. ისე არ უნდა მოვიქცეთ, რომ თითოეული ჩვენგანი კვლავაც „თავსა და პირს იხოკდეს, ეს რა ღმერთი გაგვიწყრა, როგორ ამოვირჩიეთ ეს ჩვენი წამწყმედელნი და დამღუპავნიო“?



## ილია ჭავჭავაძე: „ეს დიდი საქმე თქვენს ნამუსს, თქვენს სინიდისს, თქვენს პატიოსნებას აბარია“

„ხვალ, 18 მაისს, განკითხვის დღეა. განკითხვის დღეა იმისი, თუ ვინ უნდა მოუაროს, ვინ უნდა უპატრონოს ტფილისს ამ ოთხს წელიწადს და ვინ უნდა იზრუნოს და ისაქმოს ადამიანურის გულისტკივილითა და გულმოდგინებით ჩვენის კეთილდღეობისათვის, ჩვენის ავკარგიანობისათვის.

აქამდე თუ ხმოსნების ამორჩევას საბჭოსათვის ყურს არ ვათხოვებდით და გულგრილად ვეკიდებოდით, დიდი შეცოდება იყო ჩვენ მიერ ტფილისისა და მისთა მკვიდრთა წინაშე. ახლა სულ სხვა დროა. ტფილისი ჩვენი მშობელი ქალაქია, ყველანი, ვინც აქა ვშობილვართ, აქა ვცხოვრობთ, აქა ვტრიალებთ, რა მილეთისაც გინდ იყოს კაცი, მისი შვილები ვართ და სამსახური უნდა გავუწიოთ ერთნაირის გულისცემითა, ერთნაირის ნატვრითა, რომ ჩვენი დედაქალაქი გამოკეთდეს, გამოფაქიზდეს, მოჯობინდეს, მოჯამრთელდეს. ღმერთმა არა დაიშურა რა ჩვენის დედაქალაქისათვის. ჰაერი, წყალი, ადგილი ყველაფერი, რითაც ბუნება მოსაწონებლად ჰქმნის ადამიანის საცხოვრებელს, იმოდენად კარგი გვაქვს, რომ ბევრი უცხოელი შემოგვნატრის. თუ რამ ცუდია აქ, და ბევრი რამაც არის ცუდი, სულ იმისი ბრალია, რომ დედაქალაქს შვილობას არ ვუწევთ, გულდადებით არ ვექცევით, სიყვარულით, სიყვარულით არ ვპატრონობთ.

კანონმა ნება მოგვცა, ჩვენს დედაქალაქს ჩვენვე მოვუაროთ, ჩვენვე ვუპატრონოთ ამ მხრით. ჩვენც საკმაო ხარჯს ვიხდით, რომ ეს პატრონობა, ეს მოვლა ყინულზე დაწერილი თამასუქი არ იყოს, ხარჯიც ტყუილუბრალოდ არ იქსაქსებოდეს, საქმე ჩვენდა საკეთილოდ კეთდებოდეს და კეთილი დღედადღე ემატებოდეს ჩვენს მშობელს ქალაქსა.

ყველამ ერთად რომ პატრონობა და მოვლა მოვინდომოთ, შეუძლებელია. კანონმა ეს კარგად იცოდა და დაგვიწესა უკეთესნი კაცნი რიცხვით ოთხმოცი ამოირჩიეთ თქვენ შორის და იმათ მიანდეთ ეგ პატრონობა და მოვლაო. და აი ხვალ ამისი განკითხვაა. რომ ჩაუფიქრდეთ, თქვენვე იტყვით ჩვენთან ერთად, რომ ეს სახუმარი საქმე არ არის. ერთი გულმრუდობით აქეთ თუ იქით წასული კენჭი შემძლებელია იმისთანა კაცები დასვას საბჭოში, რომ მერე თქვენი მშობელი ქალაქი, თქვენ თვითონ, თქვენი ოჯახი, თქვენი ცოლშვილი თავსა და პირს იხოკდეს, ეს რა ღმერთი გაგვიწყრა, როგორ ამოვირჩიეთ ეს ჩვენი წამწყმედელნი და დამღუპავნიო? **იცოდეთ, დიდი ცოდვა-მადლი თანა სდევს არჩევანსა და, ვიდრე ხელი კენჭის ჩასაგდებად დაიძროდეს, თქვენს ნამუსს, თქვენს სინდისს, თქვენს გულს, თქვენს ჭკუას რამდენჯერმე დაეკითხეთ, ვინ არის ღირსეული და ვინ არა, განურჩევლად დიდისა და პატარისა.**

იცოდეთ, თქვენ გინდათ კაცი, რომელსაც თქვენი სიკეთე, თქვენი სიყვარული, თქვენთვის გულშემატკივრობა სულელობად არ მიაჩნია.

თქვენ გინდათ კაცი, რომელსაც უნდა ებრალებოდეს თქვენი თავი, თქვენი ცოლშვილი და თქვენის ოფლით მონაგარს ფულს, ხარჯად თქვენს მიერ გაცემულს, თქვენს კეთილად ცხოვრებას, თქვენს მშვიდობით და უშიშრად ყოფნას ახმარებდეს, რამოდენადაც ყოველივე ეს შესაძლოა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ მდიდარს განგებ არ აკლებდეს ქალაქის ხარჯსა და ხმაამოუღებელს შეუძლებელს განგებვე არ უმატებდეს, და რაც მდიდარს დააკლეს, ღარიბს არ ახდევინონ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თქვენი მიყრუებული უბნები ტალახისა და ტლაპოებისაგან არა ჰყარდეს და მარტო მდიდართა ქუჩები არა ჰლაპლაპებდეს სიფაქიზითა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ხორაგი, საჭმელ-სასმელი ქალაქის ბაზარში კარგი და სალი იყოს და თქვენ არ გახდენდნენ, არ გაფუჭებდნენ და ამ მხრით უშიშარ იყვნეთ.



**„იცოდეთ, დიდი ცოდვა-მადლი თანა სდევს არჩევანსა და, ვიდრე ხელი კენჭის ჩასაგდებად დაიძროდეს, თქვენს ნამუსს, თქვენს სინდისს, თქვენს გულს, თქვენს ჭკუას რამდენჯერმე დაეკითხეთ, ვინ არის ღირსეული და ვინ არა, განურჩევლად დიდისა და პატარისა“**

თქვენ გინდათ კაცი, რომ პურს, ღვინოს, საჭმელ-სასმელს ჩარჩები თუ სხვა ვინმე განგებ მამასისხლად არა ჰხდიდნენ და ამით თქვენ და თქვენს ცოლ-შვილს არ უძვირებდნენ საჭირო საზრდოს და საკვებსა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ქალაქის მოხელეებს ხელსა და კალთას არ აფარებდნენ, როცა იგინი არ ვარგანან და ტყუილუბრალოდ სჭამენ თქვენის ოფლით მონაგარს ფულსა ჯამაგირების სახითა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ბუნებითად კეთილი ჰაერი თქვენის დედაქალაქისა არ იშხამებოდეს უწმინდურების სიყრალითა და არა გშხამვიდეს თქვენ, თქვენს ოჯახს, თქვენს წვრილშვილსა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ წყალი უვნებელი და მოუწყვეტელი გქონდეთ და ამასთანაც, რაც შეიძლება იეფი.

თქვენ გინდათ კაცი, რომ, რაკი ხორაგს თუ სასმელს ბაზარში ჰყიდულობთ, დახათრიჯამებული იყვნეთ, რომ წამხდარს და მოწამლულს არ შემოგაპარებენ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თქვენს წვრილშვილებს სწავლა-განათლების გზა და სახსარი მისცეს, გული კეთილს შეუჩვიოს, ჭკუა სჯასა და მოსაზრებასა, რამდენადაც შესაძლოა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თითქმის ორ მილიონამდე ყოველწლივ შემოსავალი ქალაქისა, თქვენგანვე ხარჯად აღებული, თქვენვე და თქვენს ქალაქს საერთოდ ჰხმარდებოდეს გამოზოგვითა და ცოდნითა და არა აქეთ-იქით იქსაქსებოდეს გულდაუდებლობით და უთავდარიგობითა.

ერთის სიტყვით, ბევრი სხვაც არის, მაგრამ ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ესეც საკმაოა, თუ ღმერთმა გვაგონა, და ამაებს მაინც ხვალ შესაფერი კაცები ამოვურჩიეთ.

ამიტომა ვთქვით ზევით, რომ ხვალინდელი დღე სახუმარი დღე არ არის. სიმძიმე და სიდიდე იმ მოვალეობისა, რომელსაც ხვალ კისრად ვღებულობთ და ასე თუ ისე ავასრულებთ, წინ უნდა წაიმძღვაროს ყველამ და ისე მივიდეს კენჭის მისაცემად. **აქ ვინც უმტყუვნებს და უღალატებს იმას, რასაც სინიდისი, ნამუსი, კაცური კაცობა ამხელს, იგი უმტყუვნებს, იგი უღალატებს თავის თავს, თავის ცოლ-შვილის, ოჯახის ბედნიერებას და კეთილდღეობას.**

ვისაც ხელი მიგიწვდებათ, ყველანი უნდა მიხვიდეთ არჩევანზე და თქვენი ▶

**«აქ ვინც უმტყუვნებს და უღალატებს იმას, რასაც სინიდისი, ნამუსი, კაცური კაცობა ამხელს, იგი უმტყუვნებს, იგი უღალატებს თავის თავს, თავის ცოლ-შვილის, ოჯახის ბედნიერებას და კეთილდღეობას. ვისაც ხელი მიგიწვდებათ, ყველანი უნდა მიხვიდეთ არჩევანზე და თქვენი მოქალაქური, კაცადკაცური მოვალეობა გადაუხადოთ თქვენს მშობელს ქალაქსა»**

# „იცოდეთ, რომ ვისაც ხვალ ჩააბარებთ საბჭოში ხმოსნობას, იმას აბარებთ მთელის ოთხის წლის თქვენს საერთო სვე-ბედსა, თქვენის ოჯახობის საერთო კეთილსა და ბოროტსა. ოთხი წელიწადი ბევრის რისამეა შემძლებელი, ავიც შეიძლება ბევრი მოგვაყენოს კარს და კარგიც“.

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მოქალაქური, კაცადკაცური მოვალეობა გადაუხადოთ თქვენს მშობელს ქალაქსა.

იცოდეთ, რომ ვისაც ხვალ ჩააბარებთ საბჭოში ხმოსნობას, იმას აბარებთ მთელის ოთხის წლის თქვენს საერთო სვე-ბედსა, თქვენის ოჯახობის საერთო კეთილსა და ბოროტსა. **ოთხი წელიწადი ბევრის რისამეა შემძლებელი, ავიც შეიძლება ბევრი მოგვაყენოს კარს და კარგიც.**

გულს ნუ გაიმრუდებთ, სულს ნუ წაიწყმედავთ! იცოდეთ, ეს დიდი საქმე თქვენს ნამუსს, თქვენს სინიდისს, თქვენს პატიოსნებას აბარია. ახსენეთ ღმერთი, და ღვთისა და მართლის სახელით, შეუდექით არჩევანის დიდს საქმეს და მარჯვენას თქვენსას ის არ აქმნევინოთ, რასაც გული და სინიდისი არ გეუბნებათ“.

*ივერია № 94, გვ. 1-2. 16 მაისი, 1897 წ.*



## ნიკო ნიკოლაძე: არჩევანი ერის წყობილების და ბედის საძირკველია

ამ გაზაფხულზე ამ არჩევნებით მთელს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას და ყველა ჩვენს საზოგადო საქმეებს მიმართულება მიეცემა, სამი ან ოთხი წლის ვადით, ბედისკენ თუ უბედობისკენ, კარგისკენ თუ ავისკენ. ამ მდგომარეობაში დიაღაც საფიქრებელი და საზრუნველიც არის — თუ როგორ უნდა მოიქცეს მამულის ერთგული შვილი, ან რა საქციელს უნდა სთვლიდეს ქვეყნისთვის სასიკეთოდ და რას — სავნებლად და სამარცხვინოდ.

ჩვენს დროში, მთელი კაცობრიობის აზრით, არჩევანი ერის წყობილების და ბედის საძირკველია. **ყოველი განათლებული ხალხი უმთავრეს თავის ყურადღებას იმას აქცევს, რომ პატიოსანი და გონიერი კანონები შეადგინოს არჩევნების შესახებ და ყველა თავის არჩევნები წესიერად, გულ-წრფელად და სვინდისიანად მოახდინოს, ამ კანონების გადუხვეველად და გადუხდომელად. სადაც ეს მტკიცედ არაა დაცული, იქ არეულობის, მატყუვრობის და ძალადობის მეტი არაფერი მეფობს საზოგადო და საქვეყნო ცხოვრებაში. მცირედი უკანონობა ან გარყვნილობა არჩევნებში სწორედ იმნაირადვე რევს და შლის ერის საქმეებს და წყობილებას, როგორც საძირკვლის გამოთხრა სახლს აზიანებს და კიდეც აქცევს ხოლმე. ამ მიზეზით განათლებულ ქვეყნებში ერთი ნამცეცი მოქრთამვა, ძალადობა ან უკანონობა რომ შეამჩნიონ კენჭისყრას, მაშინვე დაარღვევენ არჩევანს და ხელმეორედ ახალს ნიშვნენ. თვითონ საზოგადოების თვალშიაც მიუტევებელ ბიწიერებად, თითქმის მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება რიგიანობის მცირეოდნად შელახვა არჩევნის დროს.** რასაკვირველია, ყოველი პატიოსანი კაცი განსაკუთრებით იმას ნატრობს, ცდილობს და ეძებს, რომ ხალხის საკუთარი და თავისუფალი სურვილით იქნეს ამორჩეული, ერის ნების ნამდვილი წარმომადგენელი გახდეს, და არა მატყუვრობით ირქმევდეს ამ სახარბიელო სახელს.

საცა არჩევანს ასე რიგიანად აფასებენ და უფრთხილდებიან, იქ კენჭის-ყრა ან მისგან გამოწვეული პარტიების ბრძოლა საუკეთესო სკოლაა ქვეყნის წარმატებისათვის. იქ ამ ბრძოლის წყალობით თანდათან უმჯობესდება ქვეყნის ზნეობა, და მთელი ხალხი ნელ-ნელა დიდძალ მეცნიერებას თუ გამოცდილებას იძენს საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ საქმეებში. ამასთანავე ერი ცნობილობს თავის მოწინავე პირებს, მეთაურებს, და, რამდენიმე აუცილებელ შეცდომებს შემდეგ, მართლა ხეირიანების ამორჩევას ეჩვევა. იგებს, ვინ სად ან რაში არგებს და გამოადგება. მაშინ მისი საზოგადო საქმეებიც წესიერ გზაზე დგება, ღირსეულ კაცებს ჰბარდება. მარტო ამ გზით ხერხდება ამ საქმეების წარმატება და ხალხის კეთილ დღეობის დამყარება.

ჩვენშიაც რომ ამნაირად უყურებდეს ხალხი არჩევნების საქმეს, ბევრად უფრო კარგ მდგომარეობაში ვიქნებოდით დღეს, ვინემ ეხლა ვართ. მართალია, ჯერ-ჯერობით დიდირამ არაფერი აქვთ გადასაწყვეტი ან გასარიგებელი ჩვენმიერ ამორჩეულ პირებს. რაც კი რამ უმთავრესია ჩვენის ქვეყნის ცხოვრებაში, რასაც კი ნამდვილი გავლენა აქვს ჩვენის ერის ბედზე და მომავალზე, იმას ვერ სწვდება ჩვენში ამორჩეული პირების ასპარეზი. მაგრამ ყოველთვის ხომ ასე არ იქნება, და ყოველგან ხომ სწორედ ასე იყო, რომ ამორჩეულების ასპარეზი თანდათან ფართოვდებოდა, მარტო დაკავებული ასპარეზის გონიერად ხმარებით, გამოყენებით. დიდი-რამ არაფერი გვაქვს ჯერ, მართალია, მაგრამ არც სულ დასაწუნი და შეუმჩნეველია ის, რაცა გვაქვს. უფრო ყურ-საგდები აქ ის არის, რომ ჯერ, რაცა გვაქვს, იმითაც ვერ გვისარგებლნია, და ის ასპარეზიც არ დაგვიმუშავებია, რომელზედაც თავისუფლად ტრიალის ნება და შეძლება გვაქვს. მცირედი ვერ მოვიხმარეთ, დიდს რას მოვუხერხებთ?

...ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს საზოგადო საქმეებს „პატრონები“ რომ ჰყავდეთ, ამისთანა მარცხი როდი დაემართებოდათ. რიგიანი პატრონი, ხომ, თავის საქმეს ისე უვლის, ყოველთვის, რომ არც დროს ჰკარგავს, არც შემთხვევას, და რაც უფრო ხეირიანად ხმარობს ამ დროს, ან რაც უფრო სრულად სარგებლობს შემთხვევით, მით უმჯობესად მიდის მისი საქმე. **განათლებულ ქვეყნებში, საცა საზოგადოება თუ ერი თავისი საქმეების მმართველებს თვითონ ირჩევს, ყველას ესმის, რომ პატრონი უნდა უპოვონ და აურჩიონ ამ საქმეებს, ისეთი რიგიანი პატრონი, რომელიც საერო საქმეს სწორედ ისე მოუვლის, თითქო მისი საკუთარი იყოს: დროს დაუკარგველად, შემთხვევის გაუშვებლად.** ამისთვისაც იქ, არჩევანი რომ დადგება, საზოგადოება თვითონ ეძებს, თვითონ ჰფიქრობს: ნეტა ამ ალაგზე ვინ იქნება უმჯობესი, უგონიერესი, უპატიოსნესი პატრონი ჩვენი საზოგადო საქმისაო. ეძებს, და არჩევს უმჯობესს. ამიტომაც მიხედეთ, აბა, მის საქმეებს: საცა გინდათ და არ გინდათ, ყველგან რიგიანი კი არა, უწარჩინებულესი მოთავეები უყენიათ, საქმის მცოდნენი, საქმეზე ერთგულნი, მუყაითნი. რაღა გასაკვირველია, რომ იქ საზოგადო თუ საერო საქმე კარგად და ღირსეულად მიდიოდეს? უკეთესებს, უმჯობესებს ირჩევენ ყოველთვის საქმის მოთავედ...

ადვილიც არის იქ, კერძო მოკენჭესთვის, მიგნება, თუ ვინ ემჯობინება ამა და ამ ადგილზე. კენჭის-ყრის რამდენიმე კვირის წინათ თვითეული სოფელი თუ უბანი თითო სანდო კაცს გზავნის საერო კრებაზე: ერთად ვარჩიოთ, ვის უყაროთ კენჭიო, ვინ გამოვიყენოთ კანდიდატადო. თვითეული პარტია თავ-თავის კრებას ჰმართავს. კრება მოიწვევს იმ პირებს, ვისაც არჩევის ღირსად სთვლის და მათ შეხედულობას, მათ აზრს, სურვილს თუ განზრახვას ცნობილობს და ადარებს. მაშინ მის წინ შესანიშნავი და ამაღლებული შეტაკება ხდება ხოლმე სხვა-და-სხვა აზრებისა და მიმართულებისა, ის შეტაკება, რომელიც, ფრანგული ანდაზით, ჭეშმარიტებას ჰბადავს. თვითეული მაძიებელი არჩევნისა გამოდის და კრებას თავის შეხედულებას, რწმუნებას, განზრახვას, პროგრამას უხსნის. მთელი მისი წარსული, მაშინ, ამ კრებას წინ ირჩევა და ისინჯება. მერე, როცა ყველასი წარსული საქციელი და მომავალი პროგრამა მკვიდრად გადითვალიერება, კრება სწყვეტს: ერს კანდიდატად ეს პირი წარვუდგინოთო. ამ სახით, კენჭის ყრის დღეს ხალხს წარდგენილი ჰყავს სხვა-და-სხვა მიმართულების კანდიდატები: მოწინავე პარტიის კრება მას თავის კანდიდატს ურდგენს, კონსერვატორების კრება — თავისას, და სხვ. ყველასი ღირსება, წარსული, მიმართულება მტკიცედაა აწონილი და გამოკვლეული. ამ „უმჯობესებიდან“ ხალხი, კენჭის-ყრის დღეს იმას ირჩევს, ვისი აზრი და რწმუნებაც უფრო შეეფერება მეკენჭეების უმრავლესობას. მაგრამ, ვინც უნდა შეიქნეს ამორჩეული, მარცხენა მხრის კანდიდატი, თუ მარჯვენისა, უეჭვო კია, რომ ყოველ შემთხვევაში ღირსეული კაცი იქნება არჩეული, რადგანაც არცერთი პარტია ხალხს ისეთს კანდიდატს არ წარუდგენს, რომელსაც მისი შერცხვენა და სახელის გატეხა შეეძლოს...

**ჩვენში არჩევნები სულ სხვაფრივ იმართება. აქ საზოგადოება კი არ ეძებს თავისი საერთო საქმეების პატრონს, მომვლელს და მოთავეს, — ვიგინდარები თვითონ გამოდიან საზოგადოების წინ და თხოულობენ, თუ ყიდულობენ, არჩევნის კენჭებს. აქ პარტიებიც გვყავს, უეჭველია, მაგრამ სულ სხვანაირი, ჩვენებური. აქ საქვეყნოდ, აშკარად, როდი ვინ არდგენს კრებას, არცარავინ „უმჯობესს ეძებს“. აქ გამოხტება, ვინც 346 თავზე ხელ-აღებულია და აღარაფრის მორიდება არა აქვს, და პარტიას „ირდგენს“,** სწორედ ისე, ძველს დროში „საშოვნელად“ წამყოლია ამხანაგობის გამოწვევა რომ იცოდნენ. „საშოვარი“ ადგილი ყოფილაო, საზოგადო სამსახურისა, ჩინებული ჯამაგირით, პატივიც დიდი აქვს, თურმე, სახელიც და გავლენაცაო. არიქა, ვიშოვნოთ; მარჯვე ბიჭი ვინცა ხართ, ეხლა გამოჩნდებაო! შეიყრის ასე თავს რამდენიმე ამხანაგი ან მეზობელი, და პლანს დააწყობს: ჩუმად, მალულად, ისე, რომ ვერავინ გაიგოს, მიეპარონ საერო კრებას, კენჭის ყრას, და უცბად შევარდენსავით ფრთა ჰკრან და ბრჭყალი სტაცონ „საშოვარ ადგილს“. კანდიდატს არც წარსული აქვს თვალსაჩენი, არც არაფერი ღვაწლი მიუძღვის საზოგადოების წინაშე. მისი სახელი, ამ საზოგადოების უმრავლესი ნაწილისთვის, და მთელი მხარისთვის, სრულიად უცნობია. საზოგადოებას და ქვეყანას გაგებაც არა აქვს, თუ რა რწმუნებისა, რა მიმართულებისა, რა პროგრამისაა ეს კანდიდატი. რა მოუქმედნია, რას იზამს, ვინ იცის! განათლებულ ქვეყნებში კანდიდატს საზოგადოების წინ რომ ყოველთვის თავდებები ჰყავს, მისი გამოყვანილი, მისი განზრახვის მცოდნენი. აქ, ჩვენში, ახალ გამოხტომილ კანდიდატებს თავის ნათესაობის მეტი თანამოაზრე და თავდები არავინა ჰყავს. რისი თავდებობა, სადაური პროგრამაო. ისმის ყოველგან ჩვენში; ან წარსული რად უნდა კაცს, ან ღვაწლი, ან გავლენა: მთელი საქმე კენჭში ყოფილაო. კენჭი იშოვნე ბლომად, მეტს ნურას ეძებ, მეტი არაფერი ყოფილა თურმე საჭიროო. კენჭი, კენჭი, მარტო კენჭი. თუ თავის ნებით არ მოვიდეს მეკენჭე, მოიყვანე, მოიქრთამე: თვლაში ყველა ერთნაირად გამოდგება, დიდი და პატარა, გულრწფელი და ნაქირავები, კარგი და ავი...

სამწუხარო აქ მარტო ის როდია, რომ ჩვენი საზოგადო საქმეები ოხრად, უპატრონოდ, გვირჩება, უმთავრესი თვისება ჩვენი არჩევნებისა ის არის, რომ მარტო თანამდებობის პირებს კი არ ვირჩევთ. განათლებულ ქვეყნებში ბანკის მმართველი, მაგალითად, მარტო ბანკის მმართველია, მეტი არაფერი, ამიტომ რომ იქ საზოგადოებას, ერს, ქვეყანას თავ-თავისი ინტერესების გამომთქმელად, დამცველად და მომვლელად ბევრი სხვა დაწესებულება აქვს და წარმომადგენელი ჰყავს. ჩვენში, კი ბანკის მეტი რომ არა გვაბადიარა, ბანკის მმართველს ათასნაირი ტვირთი ჰმართებს საზოგადოების და ერის წინაშე. იმ მიზეზით, რომ ჩვენს საერო საქმეებს ჯერ საკუთარი წყობა და მართვა არ მიჰნიჭებია, ჩვენი საერო ინტერესების ტვირთი ამ ჟამად ჩვენგან ამორჩეულ პირებს აწევს ზურგზე. მათ ხელშია — ან მათ ხელში უნდა იყოს — ჩვენი წარსულის განძის დაცვა, ჩვენი ეხლანდელი შრომის წინამძღოვრობა, ჩვენს მომავალ ბედზე მზრუნველობა. ამ მძიმე ტვირთის და პასუხისგებას კაი მაგარი ბეჭი სჭირია. როგორიც მეთაური გვეყოლება არჩეული, ისეთიც მსვლელობა ექნება ჩვენს საერო საქმეს, და ისეთივე პატივი გველირსება მეზობლებისა და უცხოელებისგან... უცხოეთის და უცხოელების თვალში ჩვენი წარმომადგენელი მარტო იმით კი არ უნდა ჩანდეს, რომ ჩვენი წარმომადგენელია, თავის თავითაც ცოტათი მაინც ცნობილი უნდა იყოს რითამე, რომ ყველას ესმოდეს: ქართველები ღირსეულ კაცებს ირჩევენ თავიანთი საქმის მოთავედო, გონიერება დევს მათი არჩევნების საძირკვლად, და არა თვალთმაქცობა ან ცრუ-მორწმუნეობაო. ასე თუ არ იქნა, და **ვიგინდარები ვირჩიეთ, მათი უძლურება და სისუსტე მალე დაუმტკიცებს მთელ ქვეყანას, რომ ქართველები თავის წარმომადგენლებზე ბევრად უფრო სუსტი და უძლური ყოფილანო...**

*მოამბე, 1894 წ.*



**«თუ ესენი კარგის განზრახვით მოქმედებენ, თუ მხოლოდ საზოგადო სარგებლობა აქვთ მხედველობაში, რატომ თავის კეთილშობილურ აზრის განსახორციელებლად, კეთილშობილურ საშუალებასაც არ ხმარობენ?»**

**«აქ, ჩვენში, ახალ გამოხტომილ კანდიდატებს თავის ნათესაობის მეტი თანამოაზრე და თავდები არავინა ჰყავს. რისი თავდებობა, სადაური პროგრამაო. ისმის ყოველგან ჩვენში; ან წარსული რად უნდა კაცს, ან ღვაწლი, ან გავლენა: მთელი საქმე კენჭში ყოფილაო»**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ჯონ კლიზის ლემური

ბრიტანელი მსახიობისა და კომიკოსის სახელს ლემურის ახალაღმოჩენილი სახეობა ატარებს. AVAHI CLEESEI 2005 წელს აღმოაჩინა მეცნიერმა ურს ტალმანმა კუნძულ მადაგასკარზე და, რადგან მსახიობი ჯონ კლიზი ბუნების დაცვის პროპაგანდას ეწევა, მისი სახელი ლემურის ახალ სახეობას დაარქვა.

# ცხოველები და მწერები, რომლებსაც პოპულარული ადამიანების სახელები დაარქვეს

თანამედროვე მეცნიერები დიდხანს არ ფიქრობენ მათ მიერ აღმოჩენილი ბიოლოგიური არსებებისთვის სახელის დარქმევაზე; ზოგჯერ ცხოველის ან მცენარის, ან მიკროორგანიზმის ახალ სახეობას პოპულარული ადამიანის სახელს არქმევენ მათდამი პატივისცემის ნიშნად. ასე გაჩნდა პარაზიტი ბობ მარლი, კრაზანა ბეიონსე, ჯორჯ ბუშის ხოჭო და სხვ. გთავაზობთ ჩამონათვალს იმ ახალაღმოჩენილი ცხოველებისა, რომლებსაც ცნობილი მსახიობის, პოლიტიკოსის თუ მომღერლის სახელი დაარქვეს.





## რიჩარდ დოკინზის თევზი

თევზების 4 სახეობას ინგლისელი ეთოლოგისა და ბიოლოგის — რიჩარდ დოკინზის პატივსაცემად მისი სახელი უწოდეს. მეცნიერი კმაყოფილია ამ პატივით და თევზებს ძალიან ლამაზებად მიიჩნევს.





## ჯორჯ ბუშის ხოჭო

ჯორჯ ბუში — ის არა მხოლოდ აშშ-ის პრეზიდენტია (თანაც 2 — უფროსი და უმცროსი), არამედ ხოჭოც. მეცნიერმა **კვენტინ უილერმა** თავისი კონსერვატიული პოზიცია გამოხატა და ახალაღმოჩენილ ხოჭოს **ჯორჯ ბუში-უმცროსის** სახელი უწოდა.





## დევიდ ატენბოროს პალეოზავრი

ბრიტანელი ნატურალისტის, **დევიდ ატენბოროს,** ბავშვობის გატაცება დინოზავრებით იყო მიზეზი იმისა, რომ კარგა ხნის წინათ გამქრალი ზღვის ქვეწარმავლის ერთ-ერთი სახეობისთვის სახელი შეერჩიათ. ამერიკელმა პალეონტოლოგმა დევიდ ატენბორომ ქვეწარმავალს Attenborosaunus conybeari დაარქვა.





## ბობ მარლის პარაზიტი

არკანზასის შტატის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერი **პოლ სიკელი** მიიჩნევს, რომ კიბოს მსგავსი პატარა არსება, რომელიც კარიბის ზღვის თევზების სხეულზე პარაზიტობს, ღირსია, ატაროს რეგის ვარსკვლავ **ბობ მარლის** სახელი. მეცნიერმა იამაიკელი მომღერლისადმი სიყვარული და პატივისცემა იმით გამოხატა, რომ კარიბის ზღვის თევზების პარაზიტს Gnathia Marley დაარქვა.





## ქეით უინსლეტის ხოჭო

ხოჭო Agra Katewinsletael-ს სახელი მსახიობ ქეით უინსლეტის პატივსაცემად დაარქვეს, კერძოდ, მის მიერ ფილმ „ტიტანიკში“ შესრულებული როლისთვის. ენტომოლოგმა ტერი ერკინმა ასე გამოხატა თავისი შეშფოთება, რომ ხოჭოს ამ სახეობას გადაშენება ემუქრება.





## ჰიუ ჰეფნერის ბოცვერი

სახელი **ჰიუ ჰეფნერისა**, ჟურნალ „ფლეიბოის“ დამფუძნებლის, შეუძლებელი იყო, ბოცვრის გარდა სხვა რომელიმე ცხოველისთვის დაერქმიათ. Sylvilagus palustrus hefneri — ჭაობის ბოცვერი აშშ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთში ბინადრობს. ისიც აღსანიშნავია, რომ ჰიუ ჰეფნერმა არაერთხელ გადარიცხა ფული ბოცვრების იშვიათი სახეობების დამცველი ფონდის ანგარიშზე.



## ბეიონსეს კრაზანა



2012 წელს აღმოაჩინეს კრაზანის ძალიან იშვიათი სახეობა. მეცნიერმა **ბრაიან ლესარდმა** მას ცნობილი ამერიკელი მომღერლის — **ბეიონსეს** პატივსაცემად Scaptia beyonceae უწოდა.





## ადოლფ ჰიტლერის ხოჭო

**ადოლფ ჰიტლერის** სახელს ატარებს ბრმა ხოჭო Anophtalmus Hitleri. ეს იშვიათი სახეობა სლოვენიის 5 ნესტიან გამოქვაბულში ბინადრობს. გერმანელმა ენტომოლოგმა ეს სახეობა 1933 წელს აღმოაჩინა და გერმანიის ახალდანიშნული კანცლერის პატივსაცემად ჰიტლერი უწოდა.

## პრინც ჩარლზის ბაყაყი



2008 წელს აღმოჩენილი ბაყაყის სახეობას სახელი 2012 წელს შეურჩიეს. მას Hyloseirbus princecharlesi დაარქვეს **პრინც ჩარლზის** პატივსაცემად. პრინცის საქველმოქმედო საქმიანობა, რომელიც მიმართულია ტროპიკული ტყეების ფაუნის დასაცავად, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მეცნიერებს, ამიტომაც ეკვადორის ბინადარმა ბაყაყმა სამეფო სახელი მიიღო.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**ლიონელ მესიმ წელს თითქმის ყველა ინდივიდუალური ჯილდო მოიპოვა: ესპანეთის ჩემპიონატში 36 გოლი გაიტანა და საუკეთესო ბომბარდირი გახდა (მეექვსედ); ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია (მეექვსედ); არის 2018-2019 წლების ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირი 12 გოლით; არის წლის საუკეთესო ფეხბურთელი ფიფას ვერსიით; არის მსოფლიო საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული ჯილდოს — „ოქროს ბურთის“ მფლობელი (ეს რეკორდია).**

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვინ მოიგონა და შექმნა ყველა ფეხბურთელისთვის სასურველი «ოქროს ბურთი»

**2 დეკემბერს პარიზის თეატრ „შატლში“, სადაც საფრანგეთის კინოაკადემიის პრემია „სეზარს“ გადასცემენ ხოლმე, გაიმართა ფეხბურთელებისთვის ყველაზე პრესტიჟული ინდივიდუალური პრიზით — „ოქროს ბურთით“ დაჯილდოების ცერემონია.**



სტენლი მეთიუზი — „ოქროს ბურთის“ პირველი გამარჯვებული

მამაკაცთა შორის საუკეთესოდ დაასახელეს არგენტინის ნაკრებისა და „ბარსელონას“ კაპიტანი **ლიონელ მესი**, რომელმაც ფრანგული გამოცემა „ფრანს ფუტბოლის“ მიერ დაწესებული ეს ჯილდო მეექვსედ მოიპოვა (2009, 2010, 2011, 2012, 2015 და 2019 წელს). მესისთვის ჟურნალისტებმა ეპითეტები არ დაიშურეს: „მოვლენა“, „ფენომენი“, „სილამაზე“, „ესთეტიკა“, „შემოქმედი“. „ის არის ფეხბურთი!“

აღსანიშნავია, რომ ლიონელ მესიმ წელს თითქმის ყველა ინდივიდუალური ჯილდო მოიპოვა: ესპანეთის ჩემპიონატში 36 გოლი გაიტანა და საუკეთესო ბომბარდირი გახდა (მეექვსედ); ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია (მეექვსედ); არის 2018-2019 წლების ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირი 12 გოლით; არის წლის საუკეთესო ფეხბურთელი ფიფას ვერსიით; არის მსოფლიო საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული ჯილდოს — „ოქროს ბურთის“ მფლობელი (ეს რეკორდია).



გაბრიელ ანო

## ვის ეკუთვნის „ოქროს ბურთის“ იდეა

1950-იან წლებში ჟურნალ „ფრანს ფუტბოლის“ რედაქტორი იყო **გაბრიელ ანო.** ის ახალგაზრდობაში თამაშობდა ფეხბურთს და საფრანგეთის ნაკრების წევრიც გახლდათ, შემდეგ ჟურნალისტიკაში წავიდა და სხვადასხვა რეფორმა განახორციელა. 1954 წელს გამოცემა „ეკიპის“ ჟურნალისტებთან ერთად გამართა მსჯელობა ჩემპიონთა თასის შესახებ (ჩემპიონთა ლიგის ანალოგი) და ერთი წლის შემდეგ შეიქმნა კიდეც ეს გათამაშება. მანამდე კი ანოს ინიციატივით ევროპაში პირველად ჩატარდა სემინარი მწვრთნელებისთვის. მისივე რჩევით შეიმუშავეს ტესტები ახალგაზრდა ფეხბურთელების შესარჩევად. სწორედ ასე იპოვეს ნიჭიერი **რაიმონ კოპა.**

1956 წელს კი გაბრიელ ანომ მოიგონა „ოქროს ბურთი“. სქემა მარტივია: შეკრიბონ ჟურნალისტები და სთხოვონ ევროპაში წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა. აი ამ მომენტიდან გადასცემს France Football-ი „ოქროს ბურთს“ საუკეთესო ფეხბურთელებს. ამ ჯილდოს პირველი მფლობელი იყო ინგლისელი **სტენლი მეთიუზი**, რომელიც იმხანად 41 წლის გახლდათ.

„ოქროს ბურთმა“ გავლენა იქონია ფეხბურთის განვითარებაზე — ახლა ფეხბურთელებს ჰქონდათ რეალური ჯილდო, რომელმაც სწრაფად მოიპოვა პრესტიჟი და ყველა ფეხბურთელისთვის სასურველი შეიქნა, თუმცა ერთი ნაკლი ჰქონდა. 1995 წლამდე ამ ჯილდოს მხოლოდ ევროპელებს გადასცემდნენ ევროპული კლუბებიდან, ამიტომ მის გარეშე დარჩნენ **პელე** და **მარადონა.** ამჟამად კი „ოქროს ბურთის“ მოპოვება შეუძლია მსოფლიოს ნებისმიერ ფეხბურთელს ნებისმიერი გუნდიდან. მისი პირველი არაევროპელი მფლობელი კი იყო ლიბერალი ფეხბურთელი **ჯორჯ ვეა,** რომელიც ამჟამად თავისი ქვეყნის პრეზიდენტია.

„ოქროს ბურთის“ მფლობელს ყოველთვის ირჩევდნენ ჟურნალისტები. მათი რაოდენობა თავდაპირველად 52 იყო, ახლა კი თითქმის ოთხჯერ მეტია — 180. ისინი კენჭს უყრიან „ფრანს ფუტბოლის“ მიერ შეთავაზებულ კანდიდატებს.

## ვინ შექმნა „ოქროს ბურთი“

„ოქროს ბურთის“ დიზაინი შექმნა ოჯახურმა ფირმამ Mellerio dits Meller-მა, რომელიც მხოლოდ ამით არ დარჩენილა ისტორიაში, ეს ფირმა ფრანგებისთვის ამზადებდა რელიგიურ სამკაულებს, ხმლებს და სხვადასხვა ნაკეთობას. 1613 წლიდან ევროპელი მონარქებისთვის ქმნიდა ძვირფასთვლებიან სამკაულებს. ჩოგბურთში საფრანგეთის ღია ჩემპიონატის („როლან გარისი“) ჯილდოებიც ამ ფირმის დამზადებულია.

ამჟამად Mellerio dits Meller-ის ბიზნესს მართავენ **ფრანსუა და ოლივიე მელერიოები.** ისინი წარმოადგენენ იუველირების მე-14 თაობას ოჯახში. თვითონ „ოქროს ბურთმა“ კი არსებობის განმავლობაში მცირეოდენი ცვლილება განიცადა, 1980-იან წლებამდე ის პატარა ზომისა იყო. ახლა კი მისი ზომებია: სიმაღლე — 31 სმ, სიგანე — 23 სმ.

„მალერიოს“ ვებგვერდზე წერია, რომ „ოქროს ბურთის“ დამზადება იწყება მის გადაცემამდე 6 თვით ადრე. ჯილდოს დამზადებას რამდენიმე ასეული საათი სჭირდება და მასზე მუშაობს რამდენიმე ადამიანი: იუველირი, მწერალი, გრავიორი და სხვ. ჯილდო შედგება მოოქრული თითბრის 2 ნახევარსფეროსგან, რომლებიც დამაგრებულია პირიტისგან დამზადებულ კვარცხლბეკზე. ნაკეთობა ამოვლებულია ოქროში. მისი ღირებულება 13 ათასი ევროა. მფლობელის სახელს გრავიორები უშუალოდ ჯილდოს გადაცემის წინ აწერენ.

## ფიფამ გამოისყიდა „ოქროს ბურთი“ 13 მილიონად, შემდეგ კი თვითონვე თქვა უარი

„ოქროს ბურთის“ ისტორიაში იყო გაურკვეველი პერიოდი. 2010-2015 წლებში ჯილდოს ერქვა „ფიფას ოქროს ბურთი“ და მას ჟურნალისტები გადასცემდნენ ფიფასთან ერთად. იმხანად პრიზი გაერთიანებული იყო „ფიფას წლის ფეხბურთელის“ პრემიასთან და



ლიონელ მესი „ოქროს ბურთებთან“ ერთად





გამარჯვებულს აძლევდნენ „ბრილიანტის ბურთს“, რომელიც პრესტიჟულობით ძალიან ჩამორჩებოდა „ოქროს ბურთს“. 2005 წლის შემდეგ, როგორც „ოქროს ბურთის“, ისე „ბრილიანტის ბურთს“ დაეუფლნენ **რონალდინიო, კანავარო, რონალდო, მესი.** როდესაც ეს ზედიზედ 5-ჯერ განმეორდა, პრიზები ერთმანეთს შეერწყა.

გაერთიანება იყო ფიფას ინიციატივა, რომელმაც ამისთვის 13 მლნ გირვანქა სტერლინგი გადაუხადა „ფრანს ფუტბოლს“. განცალკევებაც ფიფას ინიციატივით მოხდა.

## „ოქროს ბურთს“ გადასცემენ არამკაფიო კრიტერიუმით, ამიტომაც არის სკანდალები

სექტემბერში **ლიონელ მესის** ჰკითხეს, — მიაჩნდა თუ არა თავი ფავორიტად „ოქროს ბურთისთვის“ ბრძოლაში. მესის პასუხმა დაადასტურა, რომ ყველაფერი რიგზე არ იყო. მან „ოქროს ბურთის“ დაჯილდოებაზე თქვა: **„აქ არ არის მკაფიო კრიტერიუმი. ეს უცნაური ჯილდოა. ზოგჯერ ითვალისწინებენ მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებს, ზოგჯერ — არა. უცნაურია“.**

„ფრანს ფუტბოლის“ წარმომადგენლები კი ამბობენ: **„გათვალისწინებულია მატჩები და მიღწევები კალენდარულ წელში, ფეხბურთელის კარიერა, მისი ნიჭი და პატიოსნება“.** ამ კრიტერიუმის მიხედვით, ანდრეს ინიესტას ყოველ წელს უნდა მოეგო „ოქროს ბურთი“, ისევე, როგორც ბოლო ათწლეულის „ბარსელონას“ ნებისმიერ ფეხბურთელს, მაგრამ პრიზს გადასცემდნენ მხოლოდ მესის ან რონალდუს.

2013 წელს, როცა „ფიფას ოქროს ბურთი“ რონალდუმ მოიგო, განაწყენებულმა **ფრენკ რიბერიმ** თქვა: „ეს უსამართლობაა, როცა მე ყველაფერი მოვიგე, რისი მოგებაც შეიძლებოდა, მაგრამ „ოქროს ბურთი“ რონალდუს გადასცეს“. 2019 წელს კი თვითონ რონალდუ განაწყენდა და პარიზში დაჯილდოების ცერემონიაზე არ გამოცხადდა.

ქალთა შორის „ოქროს ბურთი“ (რომელიც 2018 წელს დააწესეს) გადაეცა ამერიკელ **მეგან რაპინოს.**

2019 წლის „ოქროს ბურთის“ დაჯილდოების ცერემონია იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ორგანიზატორებმა დააწესეს პრიზი საუკეთესო მეკარისთვის. ეს პრიზი **ლევ იაშინის** სახელობისაა.

**«ოქროს ბურთის» მფლობელს ყოველთვის ირჩევდნენ ჟურნალისტები. მათი რაოდენობა თავდაპირველად 52 იყო, ახლა კი თითქმის ოთხჯერ მეტია — 180. ისინი კენჭს უყრიან «ფრანს ფუტბოლის» მიერ შეთავაზებულ კანდიდატებს**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# დონბასის კონფლიქტისა და რუსეთ-უკრაინის ურთიერთობების მოგვარებაში მნიშვნელოვანი წინსვლაა. ეს მაგალითი უნდა იყოს საქართველოსთვის



**9 დეკემბერს „ნორმანდიული ოთხეულის“ შეხვედრამ პარიზში წარმატებით ჩაიარა. ამის თქმის შესაძლებლობას შეხვედრის შემდეგ გამოქვეყნებული კომუნიკე და მონაწილეთა, პირველ რიგში, რუსეთის პრეზიდენტის კომენტარები იძლევა.**

კომუნიკე მინსკის შეთანხმებებს ნორმანდიული ფორმატის სამუშაო ბაზისად მოიხსენიებს, ითვალისწინებს დაპირისპირებული ძალების დაშორიშორებას 2020 წლის მარტისთვის და ახალი გამშვები პუნქტების ამოქმედებას 30 დღის განმავლობაში. კომუნიკეში ნათქვამია, აგრეთვე, დაკავებულ პირთა გაცვლაზე პრინციპით „ყველა ყველაზე“ და „წითელი ჯვრის“ წარმომადგენელთა სრულ და უპირობო დაშვებაზე ყველა დაკავებულთან.

„ნორმანდიული ოთხეულის“ მორიგი შეხვედრა უნდა გაიმართოს ოთხი თვის შემდეგ და მისი მთავარი თემა დონბასში ადგილობრივი არჩევნების გამართვა იქნება. **ვლადიმერ პუტინმა** სამიტს „ძალიან სასარგებლო“ უწოდა და ყველა მონაწილეს მადლობა გადაუხადა. მან ხაზი გაუსვა კომუნიკეში აღნიშნულ მინსკის შეთანხმებათა ზედმიწევნით შესრულების უალტერნატივობას და იმას, რომ აუცილებელია კონფლიქტის მხარეთა შორის პირდაპირი დიალოგის(!) დაწყება, რაც ასევე ხაზგასმულია კომუნიკეში; თქვა, რომ მოსკოვი ყველანაირად შეუწყობს ხელს დონბასის კონფლიქტის აღმოფხვრას.

პუტინის განცხადებით, დონბასში ვითარების დარეგულირებაში „დათბობა“ დაიწყო და მიღწეული შეთანხმებები საფუძველს იძლევა, ვივარაუდოთ, რომ პროცესი სწორი მიმართულებით მიდის. რუსეთის პრეზიდენტმა ყველას მოუწოდა, არ დაივიწყონ რიგითი დონბასელები და რომ მიღწეულმა შეთანხმებებმა მათი ცხოვრება დაუყოვნებლივ უნდა გააუმჯობესოს.

უკრაინის პრეზიდენტმა **ვლადიმერ ზელენსკიმ** განაცხადა, რომ კიევი მზადაა მიღწეული შეთანხმებების შესასრულებლად. ამასთანავე, დარჩა ბევრი გადაუწყვეტელი საკითხი, მაგრამ იმედოვნებს, რომ ერთობლივი ძალისხმევით ყველა მათგანი მოგვარდება უახლოეს მომავალში.

საფრანგეთის პრეზიდენტმა **ემანუელ მაკრონმა** კმაყოფილება გამოთქვა შეხვედრის შედეგით და აღნიშნა, რომ უკრაინის აღმოსავლეთში ვითარების მოწესრიგებაზე დამოკიდებულია მთლიანად ევროპის კონტინენტის სტაბილურობა და ახალი არქიტექტურის მშენებლობა. აქ, ალბათ, მაკრონმა ევროპის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა იგულისხმა, რომლის შექმნაც რუსეთთან ერთად სურს და ყველას მოუწოდებს, პროცესში აქტიურად ჩაერთოს.

**ანგელა მერკელმა,** თავის მხრივ, დაადასტურა, რომ მხარეები შეთანხმდნენ, იმოქმედონ **შტაინმაიერის** ფორმულის მიხედვით და უკრაინის ხელმძღვანელობას გამბედაობა შეუქო. „ეს მიიღო უკრაინამ და დაეთანხმა რუსეთი, რაც დიდი გარღვევაა“, — აღნიშნა მერკელმა.

ერთობლივი პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ ზელენსკი და პუტინი პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს. მსჯელობის მთავარი თემა რუსული ბუნებრივი აირის ტრანზიტი იყო. მართალია, საბოლოო შეთახმება ვერ მოხერხდა, მაგრამ მხარეებმა აქაც მიაღწიეს მნიშვნელოვან პროგრესს. როგორც პუტინმა აღნიშნა, თუკი საბოლოოდ შეთანხმდებიან, უკრაინელი მწარმოებლებისთვის გაზის ტარიფი არსებულზე 25%-ით ნაკლები იქნება.

კიდევ ერთი გარემოება, რომელიც შეხვედრაზე შეთანხმებების მიღწევის შემდეგ გახდა ცნობილი: 10 დეკემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **სერგეი ლავროვი** ვაშინგტონში გაემგზავრა, სადაც შეხვედა თავის კოლეგა **მაიკ პომპეოსა** და აშშ-ის პრეზიდენტ **დონალდ ტრამპს.** არც ერთ ამ შეხვედრას პრესა არ დასწრებია.



# იტალია ანტირუსული სანქციების გაუქმების მომხრეა

**იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლუიჯი დი მაიომ 7 დეკემბერს თავის ევროკავშირელ კოლეგებს მოუწოდა, გამართონ პოლიტიკური დისკუსიები, სანამ კენჭს უყრიან ანტირუსული სანქციების მორიგ გახანგრძლივებას.**

წინა დღეს **დი მაიო** თავის რუს კოლეგა **სერგეი ლავროვს** მასპინძლობდა. იტალია, დიდი ხანია, ანტირუსული სანქციების გაუქმების მომხრეა.

# «ზელიმხან ხანგოშვილი მოსკოვის მეტროპოლიტენში მომხდარი აფეთქების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო»



**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა „ნორმანდიული ოთხეულის“ სამიტის შემაჯამებელ პრესკონფერეციაზე განაცხადა, რომ 2019 წლის აგვისტოში ბერლინში მოკლული საქართველოს მოქალაქე მოსკოვის მეტროპოლიტენში მომხდარი აფეთქების ერთ-ერთი ორგანიზატორია. მისივე თქმით, ზელიმხან ხანგოშვილი აქტიურად მონაწილეობდა კავკასიაში მიმდინარე საომარ მოქმედებებში, „მხარს უჭერდა რა სეპარატისტებს“.**

„ის ძალიან სასტიკი და პირსისხლიანი მეომარი იყო. არ ვიცი, რა დაემართა. ეს ბანდიტური გარემოა და შეიძლება ყველაფერი მოხდეს“, — განაცხადა პუტინმა.

შეგახსენებთ, გერმანიამ ქვეყნიდან ორი რუსი დიპლომატი გააძევა რუსული სპეცსამსახურების ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობასთან სავარაუდო კავშირის გამო. ხანგოშვილის მკვლელობა რუსეთისა და გერმანიის სახელმწიფო ლიდერებმა განიხილეს „ნორმანდიული ოთხეულის“ სამიტის დასრულების შემდეგ.

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:

„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

# ყაზახეთის პრეზიდენტი: ყირიმი ანექსირებული არ არის!



**4 დეკემბერს, გერმანიაში სახელმწიფო ვიზიტის წინ, ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ყასიმ-ჟომარტ ტოკაევმა ინტერვიუ მისცა „დოიჩე ველეს“. ჟურნალისტმა პრეზიდენტს ჰკითხა, თუ რა რეაქცია ჰქონდა ყაზახეთს უკრაინის მოვლენების დასაწყისში, კერძოდ, შეეშინდა თუ არა ყაზახეთის ხელისუფლებას, როდესაც რუსეთმა ყირიმის ანექსია მოახდინა. პრეზიდენტის პასუხი ასეთი იყო:**

„ჯერ ერთი, ჩვენ არ ვეძახით იმას, რაც ყირიმში მოხდა, ანექსიას. იმას, რაც მოხდა, უკან ვერ დააბრუნებ. ანექსია ძალზე მძიმე სიტყვაა ყირიმის მიმართ. მეორე: არავითარი შიში, რასაც თქვენ ამბობთ, არ არსებობდა, რადგან ჩვენ აბსოლუტურად ნდობაზე დაფუძნებული და კეთილმეზობლური ურთიერთობები გვაქვს რუსეთის ფედერაციასთან. ჩვენ თავიდანვე გვჯეროდა რუსეთის ხელმძღვანელობის სიბრძნისა და წესიერებისა. მინდა, შეგახსენოთ, რომ მინსკის მოლაპარაკებები რეალურად **ნურსულთან ნაზარბაევის** ინიციატივით დაიწყო. მართალია, ნაზარბაევმა მოლაპარაკებების ადგილად ასტანა შესთავაზა, მაგრამ ლოგისტიკისა და ევროპისგან დაშორების გამო მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ეს მოლაპარაკებები მინსკში გამართულიყო“, — აღნიშნა ტოკაევმა.

რა გამოდის? **პუტინი** ბელარუსთან აგვარებს ურთიერთობებს, ყაზახეთიც რუსეთს უჭერს მხარს, საქართველო კი უკრაინასთან ერთად „ოფსაიდშია“. სასაცილოდ გაისმა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს მუქარები ყაზახეთის მიმართ. ეს მით უფრო, რომ უკრაინას „შეშფოთებისა“ და „დემარშების“ გარდა არაფრის გაკეთება არ შეუძლია (ბოლო დრომდე ისიც ჩვენსავით „საერთაშორისო თანამეგობრობის“ იმედად იყო, მაგრამ ზელენსკის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ეყო გონიერება და „საერთაშორისო პარტნიორების“ ძახილის ნაცვლად პირდაპირი და გააზრებული დიალოგი დაიწყო რუსეთთან. პოზიტიურმა შედეგმაც არ დააყოვნა და, ჩვენებური ნაცების მსგავსი ელემენტების საბოტაჟი რომ არა, შედეგები უფრო სერიოზული ექნებოდა — რედ.) .

ყირიმის ინფორმაციისა და კავშირგაბმულობის მინისტრმა **სერგეი ზირიანოვმა** კი განაცხადა, რომ დასავლეთმა მაგალითი ყირიმის საკითხში ტოკაევისგან უნდა აიღოს. მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ ყირიმი რუსეთს რეფერენდუმის საფუძველზე შეუერთდა, ყირიმის რეფერენდუმი კი უკრაინის კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული.

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894